ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობა საქართველოში

2022

„კანონის უზენაესობის ცენტრი“

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

RLC
კანონის უზენაესობის ცენტრი

UNDP

კვლევა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კანონის უზენაესობის ცენტრის“ მიერ.

ანგარიშის ავტორები: ლონდა თოლორაია, თამარ დაუშვილი, თამარ ზუბაშვილი.

კვლევა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „კანონის უზენაესობის ცენტრი“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

„კანონის უზენაესობის ცენტრი“ მადლობას უხდის არასამთავრობო ორგანიზაციებს: „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს (WISG)“, „თანასწორობის მოძრაობას“, „იდენტობა იუსს“, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი

I.	შესავალი	7
II.	კვლევის მეთოდოლოგია	9
III.	საერთაშორისო რეგულაციები და შიდა კანონმდებლობა	11
IV.	ჯანდაცვის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	17
	შესავალი	17
	გამოვლენილი ხარვეზები	18
	დასკვნა	25
V.	ფსიქოლოგების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	27
	შესავალი	27
	გამოვლენილი ხარვეზები	27
	დასკვნა	28
VI.	სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	29
	შესავალი	29
	გამოვლენილი ხარვეზები	30
	დასკვნა	37
VII.	ადვოკატების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	40
	შესავალი	40
	გამოვლენილი ხარვეზები	41
	დასკვნა	42
VIII.	ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვის დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვა	44
	შესავალი	44
	გამოვლენილი ხარვეზები	44
	დასკვნა	45
IX.	სსიპ – იუსტიციის სახლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	47

	შესავალი	47
	გამოვლენილი ხარვეზები	48
	დასკვნა	48
X.	პერსონალურ მონაცემთა განახლება სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის ცვლილების დროს	49
	შესავალი	49
	გამოვლენილი ხარვეზები	50
	დასკვნა	52
XI.	სამუშაო ადგილზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	53
	შესავალი	53
	გამოვლენილი ხარვეზები	53
	დასკვნა	54
XII.	მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	55
	შესავალი	55
	არსებული გამოწვევები	55
	დასკვნა	58
XIII.	თემის წევრების მიერ პირადი მიზნით პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება და მათი ცნობიერება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე	59
	შესავალი	59
	არსებული გამოწვევები	59
	დასკვნა	62
XIV.	რეპვირება ლგბტ+ თემის წევრების პერსონალური მონაცემების არაკანონიერად დამუშავების ფაქტებზე	63
	შესავალი	63
	არსებული გამოწვევები	64
	დასკვნა	65
XV.	არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება	66
	შესავალი	66
	არსებული გამოწვევები	66
	დასკვნა	68

XVI. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა 69

შესავალი 69

საქმეები 70

საქმე №1 – საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება 70

საქმე №2 – ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში მონაცემების უკანონოდ მოპოვება 73

საქმე №3 – სოციალური ქსელით პაციენტის მონაცემების გასაჯაროება 74

საქმე №4 – სტომატოლოგიური კლინიკის მიერ პაციენტის მონაცემების გამჟღავნება 76

საქმე №5 – გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის პირადი მიზნით მოპოვება და გამჟღავნება 78

დასკვნა 80

XVII. შეჯამება 82

XVIII. რეკომენდაციები 84

I. შესავალი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობით. ამ უფლებების დაცვა ყველასთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, თუმცა ლგბტ+ თემის წევრთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მათი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას ისინი ხშირად ხდებიან ჩაგვრის, დისკრიმინაციის, ღირსების შემლახავი მოპყრობის, სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი.

ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (რომელთაც მიეკუთვნება ისეთი სახის ინფორმაცია, როგორიცაა: სქესობრივი ცხოვრება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაზარალებულად ცნობა ან/და მსხვერპლად აღიარება და სხვა) მუშავდება სხვადასხვა სფეროში: ჯანდაცვის სექტორში, სამართალდამცავ ორგანოებში, სასამართლოსა და სხვა. ასეთი სენსიტიური მონაცემების არაკანონიერად შეგროვებამ, გამოყენებამ, გაზიარებამ ან სხვა ფორმით დამუშავებამ შესაძლოა, გამოუსწორებელი ფიზიკური, მორალური თუ ქონებრივი ზიანი მიაყენოს თემის წევრებს და აისახოს მათ ურთიერთობაზე ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან, კოლეგებსა თუ საზოგადოების სხვა წევრებთან.

ცხადია, ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროა მათთვის მომსახურების გაწევისა თუ მათ მიმართ მართებული (სოციალურ-ეკონომიკური, განათლების, დასაქმების, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვისა და შესაძლებლობის განვითარების) პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით, თუმცა საჯარო და კერძო დაწესებულებებს, რომლებიც ამუშავებენ ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალურ მონაცემებს, ამ მონაცემების დამუშავებისას ეკისრებათ მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, ვინაიდან მონაცემთა დაუცველობა იწვევს თემის წევრთა ნდობის შესუსტებას ან გაქრობას შესაბამისი დაწესებულებისადმი, რაც უარყოფითად აისახება არა მხოლოდ მონაცემთა დაცვის, არამედ სხვა უფლებებზეც, რომელთა რეალიზებისთვის თემის წევრებმა უნდა მიმართონ სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულე-

ბას. ლგბტ+ თემის წევრებმა თავიანთი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, აივ სტატუსის შესახებ ინფორმაციისა თუ სხვა მონაცემების გამჟღავნების შიშის გამო, შესაძლოა, თავი შეიკავონ, მაგალითად, სამედიცინო დაწესებულებების, სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვისაგან, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უფლებებს (სიცოცხლის უფლებას, ჯანმრთელობის უფლებას და სხვა). ამიტომ, ლგბტ+ პირთა მონაცემების დაცვა მნიშვნელოვანია როგორც მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ასევე, სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობისთვის.

აღნიშნული კვლევის მიზანია საქართველოში ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის შესწავლა, მონაცემთა დამუშავების პროცესში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება, სხვადასხვა სფეროში თემის წევრების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია პერსონალური მონაცემების მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი, მონაცემთა დაცვის საკითხების შესახებ ლგბტ+ პირთა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები და მონაცემთა დამუშავების პროცესში მათი თვალით დანახული პრობლემები; ლგბტ+ თემის წევრების მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს არსებული პრაქტიკა, მათ შორის გამოტანილი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები სხვადასხვა სფეროს მიხედვით, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოში ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

II. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 20 პირთან, რომელთაგან 10 იყო ლგბტ+ თემის წევრი, ხოლო 10 – იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი, რომლებიც მუშაობენ ლგბტ+ თემის წევრთა უფლებების დაცვის საკითხებზე. ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა ონლაინ, ხოლო ნაწილი – პირადი შეხვედრების გზით.

ლგბტ+ თემის გამოკითხულ წევრთა შორის იყვნენ როგორც ტრანსგენდერი, ასევე გეი და ლესბოსელი ადამიანები. შესაბამისად, კვლევამ მოიცვა ყველა ის გამოწვევა, რასაც თემის სხვადასხვა ჯგუფის წევრები აწყდებიან სხვადასხვა სფეროში.

რაც შეეხება ორგანიზაციებს, კვლევის პროცესში ჩართულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების – „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“, „თანასწორობის მოძრაობის“, „იდენტობა იუსის“ – წარმომადგენლები: ორგანიზაციების ხელმძღვანელები, იურისტები, სოციალური მუშაკები.

ინტერვიუებს წინ უძღოდა კითხვარის შემუშავება, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სფეროში ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს: მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა ფორმას (შეგროვებას, გამოყენებას, გამჟღავნებას, გასაჯაროებას, ვიდეოჩაწერას და სხვა) და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. შეკითხვები შეეხებოდა, ასევე, მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებას და თემის წევრების მიერ პირადი მიზნით მონაცემთა გამჟღავნების საკითხებს. ასევე, კვლევის ფარგლებში გამოკითხული პირებისთვის დაისვა შეკითხვები მონაცემთა დაცვის საკითხებზე, თემის წევრების ცნობიერების დონისა და მონაცემების არაკანონიერად დამუშავების ფაქტებზე მათ მიერ გამოყენებული დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთან, კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების საჭიროებები, მონაცემთა დაცვის კუთხით.

ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის პარალელურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოდან გამოთხოვილი იქნა და გაანალიზდა ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და გადაწყვეტილებები (საზედამხედველო ორგანოს მიერ მოწოდებული იქნა ხუთი გადაწყვეტილება).

კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საერთაშორისო რეგულაციები და შიდა საკანონმდებლო აქტები.

III. საერთაშორისო რეგულაციები და შიდა კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლების ნაწილია.[1]

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებული კონვენციის (ე.წ. 108+ კონვენცია) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება განსაზღვრულ ან განმსაზღვრელ პირს („ინფორმაციის სუბიექტს“).[2]

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციის (GDPR) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს („მონაცემთა სუბიექტს“). იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი არის ის, ვისი პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ისეთი იდენტიფიკატორის გამოყენებით, როგორიცაა სახელი, პირადი ნომერი, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ, ონლაინ იდენტიფიკატორი ან ფიზიკური პირის იდენტობისათვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ფაქტორით.[3]

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის

1 *მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018 წლის გამოცემა, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2019, გვ. 20. იხილეთ: https://www.echr.coe.int/Documents/Handbook_data_protection_KAT.pdf*

2 *პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებული კონვენცია. იხილეთ: https://rm.coe.int/convention-108-convention-for-the-protection-of-individuals-with-regar/16808b36f1*

3 *პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (GDPR). იხილეთ: https://personaldata.ge/cdn/2018/11/GDPR-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98.pdf*

თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.[4]

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებული კონვენცია (ე.წ. 108+ კონვენცია) და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (GDPR), რომლებიც წარმოადგენენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტებს, ცალკე ჩამოთვლიან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს (ე.წ. „სენსიტიურ მონაცემებს“). განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის განმარტებას იცნობს ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებული კონვენციის (ე.წ. 108+ კონვენცია) მე-6 მუხლში ჩამოთვლილია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებსაც მიეკუთვნება: გენეტიკური მონაცემები; პერსონალური მონაცემები, რომლებიც უკავშირდება დანაშაულს, სისხლის სამართლის სამართალწარმოებას, ნასამართლობას და მათთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ზომებს; პირის უნიკალურად მაიდენტიფიცირებელი ბიომეტრიული მონაცემები; პერსონალური მონაცემები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებების, პროფესიული კავშირების წევრობის, რელიგიური ან სხვა მრწამსის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და **სქესობრივი ცხოვრების** შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (GDPR) მე-9 მუხლი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიაკუთვნებს: პირის რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობას; პოლიტიკურ შეხედულებებს; რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს; პროფესიული კავშირის წევრობას; გენეტიკურ და ბიომეტრიულ მონაცემებს, რომლის მიზანი ფიზიკური პირის უნიკალურად იდენტიფიცირებაა; ჯანმრთელობასთან, **ფიზიკური პირის სქესობრივ ცხოვრებასთან ან სექსუალურ ორიენტაციასთან** დაკავშირებულ მონაცემებს.

მაშასადამე, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებულ კონვენციაში (ე.წ. 108+ კონვენცია) სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე არ არის პირდაპირი მითითება, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე, თუმცა სქესობრივი ცხოვრება მიჩნეულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (GDPR), სქესობრივ ცხოვრებასთან ერთად სექსუალური ორიენტაცია მიჩნეულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად, მაგრამ გენდერულ იდენტობაზე არ არის ერთმნიშვნელოვანი მითითება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, **სქესობრივ ცხოვრებასთან,** ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე, ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული

4 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=23*

ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ქართულ კანონმდებლობაში არ არის პირდაპირი მითითება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე, თუმცა სქესობრივი ცხოვრება მიჩნეულია ასეთ მონაცემად.

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებულ კონვენციაში (ე.წ. 108+ კონვენცია) და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (GDPR), ისევე როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში, არ არის განმარტებული ტერმინი – „სქესობრივი ცხოვრება".

იმ საკითხის განსასაზღვრად, წარმოადგენს თუ არა სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა (ან უნდა წარმოადგენდეს თუ არა) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და მოიცავს თუ არა ტერმინი „სქესობრივი ცხოვრება" თავის თავში „სექსუალური ორიენტაციის" და „გენდერული იდენტობის" ტერმინებს, აუცილებელია ამ სახის მონაცემების განსაკუთრებული დაცულობის საჭიროების განსაზღვრა და ამ ტერმინების დეტალური განმარტება.

მონაცემების განსაკუთრებულ ხასიათს განსაზღვრავს მათი განსაკუთრებული დაცვის საჭიროება. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (GDPR) აღნიშნულია, რომ პერსონალური მონაცემები, რომლებიც, მათი ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად მგრძნობიარეა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებაში, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, რადგან მათი დამუშავების კონტექსტი შესაძლოა, მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებდეს ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს.[5] პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მოდერნიზებული კონვენციის (ე.წ. 108+ კონვენცია) განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ სენსიტიური მონაცემები უფრო მეტად უნდა იყოს დაცული, რადგან მათმა დამუშავებამ „შესაძლოა, გამოიწვიოს ინტერესებში, უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა". ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, „მაგალითად, როდესაც არსებობს დისკრიმინაციის პოტენციური რისკი, როდესაც ჩარევა ხდება მონაცემთა სუბიექტის ყველაზე ინტიმურ სფეროში, როგორიცაა პირის სექსუალური ცხოვრება ან სექსუალური ორიენტაცია." შესაბამისად, „მონაცემთა სუბიექტისთვის არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად" ასეთი დამუშავება „დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი გარანტიები, რომლებიც ავსებენ კონვენციის სხვა დამცავ დებულებებს, გათვალისწინებულია კანონით."[6]

ფაქტია, რომ როგორც სექსუალური ორიენტაციის, ასევე გენდერული იდენტობის შესახებ მონაცემების დამუშავებამ შეიძლება მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დააყენოს ლგბტ+ თემის წევრთა უფლებები, ვინაიდან ამ მონაცემების გამჟღავნების გამო, ისინი შეიძლება გახდნენ ჩაგვრის, დისკრიმინაციის, ღირსების შემლახავი მოპყრობის, სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი (ამის არაერთი მაგალითი ყოფილა საქართველოში). აქედან გამომდინარე, ეს მონაცემები ნამდვილად საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, ჩვეულებრივ მონაცემებთან შედარებით.

რაც შეეხება იმ საკითხს, მოიცავს თუ არა „სქესობრივი ცხოვრება" თავის თავში „სექსუალურ ორიენტაციას" და „გენდერულ იდენტობას", ამისთვის საჭიროა მათი მნიშვნელობის გააზრება.

„სექსუალური ორიენტაცია" არის ადამიანის უნარი, ჰქონდეს ღრმა ემოციური, სასიყვარულო თუ

---

5 *პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (GDPR), პუნქტი 51. იხილეთ: https://personaldata.ge/cdn/2018/11/GDPR-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98.pdf*

6 *The Difficulty of Defining Sensitive Data - The Concept of Sensitive Data in the EU Data Protection Framework, Paul Quinn and Gianclaudio Malgieri, გვ. 1585. იხილეთ: https://www.cambridge.org/core/journals/german-law-journal/article/difficulty-of-defining-sensitive-datathe-concept-of-sensitive-data-in-the-eu-data-protection-framework/5EC5932AAC5703E31D2C90045813F6C6*

სექსუალური მიზიდულობა და ინტიმური/სექსუალური კავშირი სხვა სქესის (ჰეტეროსექსუალი), იმავე სქესის (ჰომოსექსუალი, ლესბოსელი, გეი) ან ერთზე მეტი სქესის (ბისექსუალი) წარმომადგენელ პირებთან.[7] აღსანიშნავია, რომ „სექსუალური ორიენტაცია“ ყველაზე ახლოს არის „სქესობრივი ცხოვრების“ კატეგორიასთან და შესაბამისად, მონაცემთა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობის უმეტესობა ცნობს „სექსუალურ ორიენტაციას“ როგორც „სქესობრივი ცხოვრების“ ნაწილს და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (GDPR) აღიარებს როგორც „სქესობრივ ცხოვრებასთან“, ისე „სექსუალურ ორიენტაციასთან“ დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც განსაკუთრებულ კატეგორიებს. შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სქესობრივი ცხოვრება“ უნდა განიმარტოს ფართოდ და „სექსუალური ორიენტაცია“ მიჩნეული უნდა იქნეს „სქესობრივი ცხოვრების“ ნაწილად.

რაც შეეხება „გენდერულ იდენტობას“, ეს არის ადამიანის მიერ კაცის, ქალის ან სხვა სქესისადმი კუთვნილების ინდივიდუალური შინაგანი აღქმა.[8] „სექსუალური ორიენტაციისაგან“ განსხვავებით, მონაცემთა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობის უმეტესობა „გენდერულ იდენტობას“ პირდაპირ არ მიაკუთვნებს ე.წ. „სენსიტიურ მონაცემებს“,[9] თუმცა, გენდერული იდენტობის მონაცემის ბუნებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკაში უმრავლეს შემთხვევაში გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება უკავშირდება სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის დამუშავებასაც (ამასთან, ქართული კანონმდებლობა იძლევა „სქესობრივი ცხოვრების“ ფართოდ განმარტების შესაძლებლობას), „გენდერული იდენტობა“ უნდა განიხილებოდეს „სქესობრივი ცხოვრების“ ნაწილად და, მაშასადამე, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების საკითხებს, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციებისა და პირებისთვის ადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ წესებს და განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ამ წესების დარღვევისთვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამომწურავად ჩამოთვლის როგორც ე.წ. „ჩვეულებრივი“, ასევე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლებს. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ე.წ. „ჩვეულებრივი“ კატეგორიის, ხოლო მე-6 მუხლით – განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები.

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;[10] ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; თ) მონაცემთა დამუშავება

7 *„საპოლიციო ზომები ლგბტ+ პირთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსაკვეთად: ტრენინგი პოლიციის რეაგირების შესახებ“ ევროპის საბჭო, 2020 წლის დეკემბერი. იხილეთ: https://rm.coe.int/policing-hate-crime-against-lgbti-persons-geo/1680a2ef71*

8 *იქვე.*

9 *იხილეთ სტატია: https://iapp.org/news/a/does-brazils-lgpd-recognize-gender-identity-and-sexual-orientation-as-sensitive-personal-data/*

10 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანხმობა განიმარტება როგორც მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია, ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.*

აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად/მისთვის მომსახურების გასაწევად.

ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით[11] ან იმ შემთხვევაში, როცა: ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს; გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის ან ფუნქციონირებისათვის; დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე; ე) მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების, ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან; ვ) ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით; ზ) მონაცემები მუშავდება „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით; ზ[1]) მონაცემები მუშავდება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მიზნით; თ) მონაცემები მუშავდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში; ი) მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის; კ) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით; ლ) მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ზემოაღნიშნული საფუძვლ(ებ)ის არსებობისას ამ მონაცემების გასაჯაროებისა და მესამე პირისათვის გამჟღავნებისთვის ცალკე საფუძველი – მონაცემთა სუბიექტის თანხმობა არის აუცილებელი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერად მიჩნევისთვის საჭიროა არა მხოლოდ მონაცემთა დამუშავების საფუძვლების არსებობა, არამედ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა. კანონის მე-4 მუხლი ჩამოთვლის შემდეგ პრინციპებს: ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად; ბ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი

11 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით, ან მასთან გათანაბრებული ფორმით.*

კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი; დ) მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს; ე) მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მონაცემთა დამმუშავებელმა საჯარო და კერძო დაწესებულებებმა და პირებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოება. კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების მიხედვით, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და ვალდებულია, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ჩამოთვლის მონაცემთა სუბიექტის[12] უფლებებს. კანონის მე-15 მუხლის თანახმად, თუ მონაცემები გროვდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: ა) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი; ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი; გ) სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება. თუ სავალდებულოა – მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები; დ) მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. კანონის 21-26-ე მუხლების თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს: მონაცემთა დამმუშავებლისგან მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება; მონაცემთა დამუშავების თაობაზე მის მიერ მიცემულ თანხმობაზე უარის თქმისა და მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტის ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურების მოთხოვნის უფლება და მისი მონაცემების უკანონოდ დამუშავების შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ან სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს,[13] რომელიც 2022 წლის პირველი მარტიდან განეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას.[14]

---

12 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.*

13 *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241*

14 *„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლი. იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=7*

IV. ჯანდაცვის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

მონაცემები, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მათ შორის, ინფორმაცია სამედიცინო ჩივილების, დიაგნოზის, მკურნალობის, გამოკვლევის, გადატანილი დაავადების, სამედიცინო დაწესებულებისათვის მიმართვის შესახებ, წარმოადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით, ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემები ყოველდღიურად მუშავდება არაერთ დაწესებულებაში: მრავალპროფილურ საავადმყოფოებში, კლინიკებში, სპეციალიზებულ ცენტრებში, სტომატოლოგიურ კლინიკებში, ლაბორატორიებში, ასევე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის მწარმოებელი პირების მიერ და სხვა.

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება და როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით, ასეთ მონაცემებზე დაცვის მაღალი სტანდარტი ვრცელდება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა („პაციენტის უფლებების შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონები) ამომწურავად ადგენს პაციენტის ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნების დასაშვებ შემთხვევებს. ამასთან, მკაცრად

განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების გამწევი პირის ვალდებულებას, დაიცვას მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა პაციენტის შესახებ, ხოლო მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია, დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო.

ლგბტ+ თემის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო დაწესებულებები ხშირად ამუშავებენ ინფორმაციას არა მხოლოდ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, რომელთა უკანონო გამჟღავნება ან/და სხვა ფორმით უკანონო დამუშავება ზოგჯერ ძალიან მძიმე შედეგებს განაპირობებს – დაწყებული სტიგმატიზაციითა და დისკრიმინაციით, დამთავრებული ძალადობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანდაცვის სექტორში თემის წევრების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სამედიცინო დაწესებულებებისა და მათი მედიცინის მუშაკების, სხვა პერსონალის მიერ მონაცემების შეგროვება, გამჟღავნება და სხვაგვარი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით არაერთ ხარვეზზე ჯანდაცვის სექტორში: როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძვლების, ასევე, მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევის ფაქტებზე, მონაცემთა სუბიექტების არასათანადო ინფორმირებაზე მათი მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის მოპოვებისას. ასევე, ისაუბრეს სამედიცინო დაწესებულებების მიერ მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით მიღებულ არასაკმარის ზომებზე.

კვლევის ფარგლებში, ასევე, გამოიკვეთა სამედიცინო დაწესებულებები, რომელთა მომსახურებით ხშირად სარგებლობენ თემის წარმომადგენლები და აწყდებიან პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევის არაერთ შემთხვევას: ასეთ დაწესებულებად, უპირველეს ყოვლისა, დასახელდა სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“; ასევე, შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა, შპს წმიდა იოაკიმ და ანას სახელობის საპატრიარქოს სამშობიარო სახლი, თბილისის ბალნეოლოგიური სპა კურორტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი (რეგიონული ცენტრების ჩათვლით), „ნიუ ჰოსპიტალსი“, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი (ჯანმრთელობის კაბინეტები), „ევექსის კლინიკები“, „მედ ცენტრი“, „თბილისის ზღვის ჰოსპიტალი“.

წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა აღნიშნეს, რომ სამედიცინო დაწესებულებებში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ წერილობით თანხმობას გასცემენ გაუცნობიერებლად – არავინ უხსნის მათ ამ თანხმობის მნიშვნელობას, მონაცემების დამუშავების პროცედურებსა და წესებს, მათ უფლებებს მონაცემთა დამუშავების პროცესში. სამედიცინო დაწესებულებების მიერ ლგბტ+ თემის წევრების განსაკუთრებული კატეგორიის (მათ შორის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ) მონაცემების დამუშავებისას, ამ პაციენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ შედეგების თავიდან აცილების მხრივ, რაც ამ მონაცემების სხვისთვის ხელმისაწვდომობას ახლავს ხოლმე თან.

რეგისტრაციის პროცესში მონაცემთა გამჟღავნება

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა პირებმა ერთ-ერთ პრობლემად დაასახელეს მათი მონაცემების სამედიცინო დაწესებულების მიმღებში მესამე პირთა თანდასწრებით დამუშავება. კერძოდ, ერთ-ერთმა ტრანსგენდერმა ქალმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ რეგისტრაციის დროს ხშირად სამედიცინო დაწესებულების რეგისტრატორი ტრანსგენდერ ქალს/კაცს ხმამაღლა, სხვა პირთა თანდასწრებით მიმართავს იმ სახელით, რომელიც მითითებულია პირადობის მოწმობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის კარგადაა ცნობილი პაციენტის გენდერული იდენტობის შესახებ. შესაბამისად, ამ მიმართვის შედეგად ირგვლივმყოფებისთვის ცნობილი ხდება პაციენტის გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია, პაციენტის მხრიდან აღნიშნულის გაუმჟღავნებლობის სურვილის მიუხედავად.

„სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციის გავლისას იმ სახელით მომართვა, რომელიც არ შეესაბამება შენს ვიზუალურ მხარეს, ტრანსგენდერი ადამიანებისთვის არის უდიდესი სტრესი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

სამედიცინო ისტორიის შენახვა

პრობლემად დასახელდა სამედიცინო დოკუმენტების არასათანადო ფორმით შენახვა.

აღინიშნა, რომ კლინიკებში სამედიცინო ისტორიები (სადაც ყველა მონაცემი იწერება, რაც ანამნეზის შეკრებასთან არის დაკავშირებული) ინახება ღიად და კლინიკაში მომუშავე ნებისმიერ პირს მიუწვდება ხელი ამ დოკუმენტებზე.

გარდა ამისა, ზოგჯერ ეს დოკუმენტები სხვა პაციენტებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზეა განთავსებული.

„რამდენიმე კლინიკაში, მათ შორის, ევექსის კლინიკაში, იყო შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენლის პირადი საქმე, სადაც მითითებულია პირადი ნომერი, სახელი, გვარი და სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ღიად, სხვა საქმეებთან ერთად ექიმის მაგიდაზე იყო განთავსებული. შესაბამისად, ამ ოთახში შესული ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა ინფორმაცია ამ პაციენტების ექიმთან ვიზიტისა და გამოკვლევების შესახებ.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

სამედიცინო კონსულტაცია სხვა პირთა თანდასწრებით

კვლევის ფარგლებში გამოკითხული პირები ერთ-ერთ პრობლემად ასახელებენ სხვა პირთა (სხვა ექიმების, ასისტენტების, სხვა პაციენტების) თანდასწრებით კონსულტაციას.

მიუთითებენ, რომ არის შემთხვევები, როცა ვიზიტზე მისვლისას ექიმის ოთახში არიან სტაჟიორები, რომელთა შესახებ პაციენტისთვის წინასწარ არ არის ცნობილი და არც შემდგომ იღებს ნებართვას ექიმი სამედიცინო პროცედურების დროს მათ დასწრებაზე.

ამასთან, აღინიშნა, რომ ისეა მოწყობილი ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების ინფრასტრუქტურა, შეუძლებელია კონფიდენციალურობის დაცვა. კერძოდ, ერთ ოთახში განთავსებულია რამდენიმე ექიმი, რომლებიც ერთდროულად იღებენ პაციენტებს. შესაბამისად, ლგბტ+ პირის მიერ ექიმისთვის მიწოდებული ინფორმაცია ესმის იმავე ოთახში მყოფ სხვა ექიმს (უკეთეს შემთხვევაში) და ასევე, პაციენტს, რომელიც იმავე ოთახში სხვა ექიმთან იმყოფება კონსულტაციაზე.

სამედიცინო კონსულტაცია ღია კარში

ლგბტ+ თემის წევრებისა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა ექიმების მიერ პაციენტებისთვის კონსულტაციის გაწევა ოთახში, რომლის კარიც ღიაა. ამ გზით, ლგბტ+ თემის წევრების მიერ ექიმისთვის მიწოდებული ინფორმაცია (ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ) ხელმისაწვდომი ხდება ამავე ექიმთან რიგში მდგომი სხვა პაციენტებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, მუდმივად არიან ექიმის ოთახთან.

„ფსიქიატრი პაციენტებს იღებდა ოთახში, სადაც კარი იყო ღია. მოსაცდელი სკამებიც კართან იყო განლაგებული და ყველა იქ მყოფ მოქალაქეს (პაციენტებს, მესამე პირებს) შეეძლო მოესმინა კონსულტაციისას ლგბტ+ პირის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია. როგორც ჩანდა, ამ კლინიკაში ეს ჩვეულებრივ მიღებული პრაქტიკა იყო.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

აღინიშნა ისიც, რომ ღია კარში შეუფერხებლად შედიან სხვა ექიმები, მოქალაქეები, რაც ასევე სერიოზული პრობლემაა თემის წევრებისთვის, მათი მონაცემების დაცვის თვალსაზრისით.

ზედმეტი მოცულობით ინფორმაციის შეგროვება

ლგბტ+ თემის წევრები და ლგბტ+ თემის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ერთ-ერთ პრობლემად ასახელებენ ექიმების მიერ ისეთ დეტალებთან დაკავშირებით შეკითხვებს, რომლებიც არ არის საჭირო სამედიცინო მომსახურების გასაწევად.

„ზოგჯერ სამედიცინო პერსონალი პაციენტს უსვამს სექსუალური ცხოვრების შესახებ კითხვებს – „დამისახელე, ვინ არის შენი პარტნიორი?“ და სხვა. ამ ყველაფერს ისმენენ ზოგჯერ გარშემომყოფები და შესაბამისად, მათთვის ხელმისაწვდომი ხდება ამ პაციენტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. მსგავსი შემთხვევების გამო, გაუსაძლისიც კი არის ლგბტ+ თემის წევრებისთვის სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

ვიდეოგადაღება

კვლევის ფარგლებში აღინიშნა, ასევე, მედიცინის მუშაკების მიერ ვიდეოგადაღების შესახებ. კერძოდ, ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა განაცხადა, რომ „ნიუ ჰოსპიტალში“ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ მიყვანილ ნაცემ ტრანსგენდერ ქალს კლინიკის თანამშრომლები დასცინოდნენ და მობილური ტელეფონით უღებდნენ ვიდეოს.

ინფორმაციის გამჟღავნება/გასაჯაროება

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ლგბტ+ თემის წევრები ხშირად გამოხატავენ შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ლაბორატორიაში, შეგნებულად თუ უნებლიეთ მჟღავნდება ექიმების მხრიდან პაციენტების ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია.

ექიმების მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ერთ-ერთ ფორმად დასახელდა პაციენტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სხვა ექიმებისთვის/კლინიკის პერსონალისთვის გაზიარება და მათი თანდასწრებით გაჟღერება.

ერთ-ერთი გამოკითხული ლესბოსელი ქალი აღინიშნავს, რომ დაახლოებით 2 წლის წინ იმყოფებოდა გინეკოლოგთან გამოკვლევაზე ბათუმში, მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულება „მედ ცენტრში“. გამოკვლევის ოთახი იყო ერთიანი სივრცე, სადაც ე.წ. „შირმის“ (მოძრავი ფარდის) უკან უტარდებოდა გინეკოლოგიური შემოწმება, თუმცა ოთახის კარი იყო ღია და ბევრი ადამიანი (სამედიცინო პერსონალი, პაციენტი) შედიოდა და გადიოდა ოთახიდან. ლესბოსელ ქალს ექიმთან გასაუბრებისას მოუწია თავისი სექსუალური ორიენტაციისა და ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რამაც ექიმი აღაშფოთა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ ასეთი სექსუალური ურთიერთობის შესახებ (დეტალებზე ხაზგასმით) მანამდე არ სმენოდა. აღნიშნულით მან ხელმისაწვდომი გახადა ლესბოსელი ქალის შესახებ ინფორმაცია იმავე ოთახში, ფარდის იქით მყოფი პირებისთვის. ამავე გინეკოლოგმა სხვა ოთახში, კერძოდ, ექოსკოპიის ოთახში, ლესბოსელი ქალის ექოსკოპიური გამოკვლევისას, სადაც კლინიკის ასევე ძალიან ბევრი თანამშრომელი იმყოფებოდა და პაციენტები გადაადგილდებოდნენ, მოახდინა მისი ე.წ. ქამინგ აუთი სხვა ექიმებისა და პაციენტების თანდასწრებით.

ტრანსგენდერმა ქალმა აღნიშნა, რომ ჰორმონალურ თერაპიას გადიოდა, რის გამოც რეცეპტის გამოსაწერად მივიდა დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში. ამავე სამედიცინო დაწესებულებაში შემდგომი ვიზიტისას მას მისაღების ყველა თანამშრომელი ეკითხებოდა ჰორმონალური თერაპიის დაწყებაზე („რა ქენით ჰორმონებზე, იყიდეთ?“) მაშინ, როდესაც მათ არ უნდა სცოდნოდათ აღნიშნულის შესახებ.

მონაცემთა გამჟღავნების პრობლემაზე ისაუბრეს სტომატოლოგთან მიმართებითაც. კერძოდ, ლგბტ+ თემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც მომსახურების მისაღებად იმყოფებოდა სტომატოლოგიურ კლინიკაში, სტომატოლოგს ინფორმაცია მიაწოდა მისი აივ-დადებითი სტატუსის შესახებ (რადგან ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, კლინიკამ მიიღოს შესაბამისი ზომები – გამოიყენოს სპეციალური ხელსაწყოები, მოახდინოს მათი სპეციალური დეზინფიცირება). კლინიკიდან გამოსულ თემის წარმომადგენელს მოუწია კლინიკაში დაბრუნება, რადგან დოკუმენტი დარჩა სტომატოლოგის კაბინეტში. დაბრუნებისას კი შეესწრო, როგორ უყვებოდა სტომატოლოგი ტელეფონით მოსაუბრეს (თანამშრომელს), რომ მასთან იმყოფებოდა აივ ინფექციით დაავადებული პაციენტი, შესაბამისი პერსონალური მონაცემების მითითებით. გამოკითხულმა პირმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე თემის წარმომადგენელმა მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს, რომელმაც დაახლოებით 2 წლის შემდგომ დაადგინა დარღვევა და სიტყვიერი გაფრთხილება შეუფარდა ექიმს.

ექიმების მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ერთ-ერთ ფორმად დასახელდა პაციენტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე სხვა პაციენტების თანდასწრებით (დერეფანში, საავადმყოფოს მისაღებში, პალატაში) საუბარი.

„სამედიცინო პერსონალის მიერ ოთახიდან დერეფანში პირადი ინფორმაციის გაჟღერება ძალიან მიღებული პრაქტიკაა. მსმენია, მაგალითად, ასეთი ფაქტის შესახებ, რომ ექიმს საჯაროდ, სხვების თანდასწრებით, უთქვამს – „შიდსიანი მოვიდა“. – ლგბტ+ თემის წევრი.

„ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც ექიმმა საჯაროდ, საავადმყოფოს მისაღებში, მესამე პირების თანდასწრებით გაამჟღავნა ინფორმაცია სუიციდის რისკის მქონე ლგბტ+ თემის წევრის ამავე სამედიცინო დაწესებულებაში წინა ვიზიტების შესახებ.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„ექიმმა სხვა პაციენტებს გაუმჟღავნა ჩემი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, ექიმმა პალატაში, სადაც სხვა პაციენტებიც იმყოფებოდნენ, ისაუბრა ჩემს გენდერულ იდენტობაზე.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„ერთ-ერთ კლინიკაში იყო ასეთი შემთხვევაც, როცა აბორტის რიგში მყოფ ლესბოსელ ქალს დერეფანში გასძახეს, რომ შესულიყო ექიმთან, შემდეგი ფორმით – „აბორტი, შემოდი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ერთ-ერთი გამოკითხული პირის თქმით, შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში“ ხშირია ექიმების მიერ პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შემთხვევები. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ ლგბტ+ თემის წევრის კლინიკაში მიყვანისას გარე პერიმეტრზე ექიმს გადმოუძახია, რომ მას სერიოზული არაფერი არ ჭირს, ამ ეტაპზე ნემსის გაკეთება ეყოფა და განაგრძოს აივ ინფექციის წამლების დალევა. მისივე განმარტებით, ამგვარი შემთხვევების გამო, ტრანსგენდერი ადამიანები თავს არიდებენ ამ კლინიკას და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას უარს ეუბნებიან ზემოაღნიშნულ კლინიკაში გადაყვანაზე.

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა ექიმების მიერ იმ ტრანსგენდერი ადამიანების გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, რომლებსაც შეცვლილი აქვთ სახელი და გვარი, თუმცა არ შეუცვლიათ სქესი.

„მე შეცვლილი მაქვს სახელი და გვარი. პირადობის მოწმობაში მითითებულია ქალის სახელი, თუმცა სქესი არ მაქვს შეცვლილი. შესაბამისად, სქესის ჩანაწერი პირადობის მოწმობაში არის მამრობითი. გარკვეული ინციდენტისას მე „თბილისის ზღვის ჰოსპიტალში“ გადამიყვანა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ, სადაც რენტგენის გადაღებისას ექიმმა მომმართა „ბატონო .....“ . მომართვის ამ ფორმით ჩემ გარშემო მყოფი პირებისთვის იდენტიფიცირებადი გახადა ჩემი ტრანს ჯგუფისადმი კუთვნილება.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ერთ-ერთმა ტრანსგენდერმა ქალმა აღნიშნა, რომ ექიმმა არ გაითვალისწინა მისი თხოვნა, მიემართა იმ სახელით, რომელიც მის ვიზუალურ მხარეს შეესაბამებოდა და გაამჟღავნა ინფორმაცია მისი გენდერული იდენტობის შესახებ.

„მე თავს დამესხნენ ქუჩაში, რის გამოც გამოვიძახე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა. ამ დროს არ მქონდა სახელი და გვარი ოფიციალურად შეცვლილი. შესაბამისად, პირადობის მოწმობაში მეწერა მამაკაცის სახელი, თუმცა რეალურად ვატარებდი ქალის სახელს. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმმა მკითხა ნამდვილი სახელი და გვარი. მე მას ჩუმად ვუთხარი, რათა არ გაეგოთ სხვებს. ექიმმა კი შეგნებულად, ხმამაღლა გააჟღერა ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი და იქ მყოფ ყველა პირს გააგებინა ჩემ შესახებ ინფორმაცია. მე სასწრაფოს ექიმს ვუჩივლე და იგი ამის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა სოციალური ქსელის საშუალებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა გასაჯაროება.

შპს „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკამ“ თავის ოფიციალურ Facebook გვერდზე გამოაქვეყნა ტრანსგენდერი ქალის პერსონალური მონაცემები: სახელი და გვარი (რომელიც იყო მითითებული პირადობის მოწმობაში და რომლითაც მას იცნობდნენ ახლობლები), ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (სამედიცინო ჩივილები, კვლევის შედეგები, ექიმის შეფასება). ტრანსგენდერმა ქალმა ზემოაღნიშნული დარღვევის შესახებ განცხადებით მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რომელთანაც დავობდა ორ დარღვევაზე: სამედიცინო დაწესებულების მიერ ტრანსგენდერი ქალის ე.წ. ქამინგ აუთზე (ვინაიდან სამედიცინო დაწესებულების მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. პოსტში მითითებული იყო როგორც ტრანსგენდერი ქალის ფსევდონიმად გამოყენებული, ასევე, პირადობის მოწმობაში აღნიშნული სახელი და გვარი) და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებაზე. ასევე,

ვინაიდან არსებობდა ტრანსგენდერი ქალის ნათესავების მხრიდან სოციალურ ქსელში სამედიცინო დაწესებულების მიერ გავრცელებული განცხადებისა (ე.წ. პოსტის) და მასში მითითებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რისკი, ტრანსგენდერმა ქალმა მყისიერად მიმართა სამედიცინო დაწესებულებას მისი წაშლის მოთხოვნით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა სამედიცინო დაწესებულება ცნო სამართალდამრღვევად ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების გასაჯაროების ნაწილში და მას დაავალა ე.წ. პოსტის წაშლა.

დასახელდა, ასევე, ისეთი შემთხვევაც, როდესაც კლინიკის ექიმმა სოციალურ ქსელში კლინიკის მიმართ გამოთქმული კრიტიკის (რომელიც ეხებოდა ამ კლინიკაში ტრანსგენდერი ქალისთვის შექმნილ პირობებს) პასუხად გაასაჯაროვა ტრანსგენდერი ქალის მკურნალობის შესახებ ინფორმაცია.

მონაცემთა დამუშავება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა უმრავლესობამ მიუთითა, რომ მონაცემთა დაცვის კუთხით ყველაზე პრობლემური სამედიცინო დაწესებულებაა სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) მაშინ, როცა ამ ცენტრში ყველაზე მაღალია მიმართვიანობა ლგბტ+ თემის წევრების მხრიდან, როგორც მედიკამენტების, ასევე, სხვადასხვა სამედიცინო სერვისის მიღების მიზნით და ამ ცენტრში მუშავდება ყველაზე სენსიტიური მონაცემები, რომლებიც უკავშირდება აივ ინფექცია/შიდსს.

კვლევაში ჩართული პირები ცენტრთან მიმართებით არაერთ პრობლემაზე მიუთითებენ, მონაცემთა დაცვის კუთხით.

„ცენტრი არის ყველაზე პრობლემური ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისთვის სამედიცინო სფეროში. ამ ცენტრს აქვს ბევრი ცუდი პრაქტიკა. აქ ერთი მხრივ პრობლემურია ე.წ. ქამინგ აუთი, ხოლო მეორე მხრივ, აივ ინფექციის დიაგნოზის გამჟღავნება.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

„ცენტრის მედიცინის მუშაკები არ უფრთხილდებიან პერსონალურ მონაცემებს და არ აქვთ შეგრძნება, რომ აუცილებელია ამ მონაცემების დაცვა.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ცენტრის ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიები.

ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხული პირების შეფასებით, ცენტრში სივრცეების დაყოფის ფორმა იწვევს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ავტომატურად გამჟღავნებას: აივ ინფიცირებულთა და აივ ინფექციის პრევენციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართათვის გამოყოფილია ცალ-ცალკე სივრცე/ოთახი, მედიკამენტების გასატანად. შესაბამისად, ყველამ იცის, რომ კონკრეტული ოთახიდან გამოსულმა ადამიანმა აიღო კონკრეტული მედიკამენტი. თემის წევრების აზრით, ეს იწვევს მათი დაავადების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას („მედიკამენტები რომ გამოგაქვს, ეს ნიშნავს იმას, რომ მათით სარგებლობ“).

„მედიკამენტების შესახებ ინფორმაციაც არის პერსონალური ინფორმაცია (რა მედიკამენტებს იღებ), რომლის სხვისთვის გაზიარება შეიძლება არ უნდოდეს თემის წევრს. შესაბამისად, ეს არღვევს ლგბტ+ პირის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„ამ უკანასკნელ სივრცეში თუ დგახარ/ელოდები რიგს და დაგინახა ვინმემ, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ აივ-დადებითი და ელოდები წამალს. იყო მოთხოვნა, რომ ერთ სივრცეში მომხდარიყო ორივე კატეგორიის ბენეფიციარების მომსახურება, რათა ე.წ. დაავადებულთა სივრცე გამქრალიყო და ე.წ. ქამინგ აუთის შემთხვევებს არ ჰქონოდა ადგილი, თუმცა ეს პრაქტიკა დღემდე არ შეცვლილა.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„ვინაიდან მედიკამენტები გაიცემა მხოლოდ ბენეფიციარებზე, ჩემთვის ნათელია, რომ შესაბამის რიგში მდგომ ადამიანებს დადასტურებული აქვთ აივ ინფექცია. მე რიგში ვნახე ჩემი თანამშრომელი და სწორედ აქედან გავიგე, რომ მას ჰქონდა აივ ინფექცია/შიდსი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ცენტრის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აღინიშნა ისიც, რომ შენობაში არ არის საკმარისი ოთახები ექიმებისთვის და ერთ ოთახში შესაძლოა, რამდენიმე ექიმი იყოს განთავსებული. ერთ ექიმთან კონსულტაციის დროს კი მინიმუმ მეორე ექიმისთვის, რომელიც იქ ყოველთვის იმყოფება, ხელმისაწვდომი ხდება ლგბტ+ თემის წევრის მთელი სამედიცინო ისტორია, ანალიზების პასუხები და ა.შ. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე პაციენტი ერთდროულად იმყოფება ერთ სივრცეში და, პრაქტიკულად, ყველაფერს ისმენენ ერთმანეთის შესახებ.

„ხშირია ტესტირების შედეგების სხვა პირების თანდასწრებით გაჟღერება. იყო შემთხვევები, როდესაც ერთდროულად რამდენიმე ადამიანს ჩაუტარდა ტესტირება. ასევე, ზოგჯერ სამედიცინო პერსონალი პაციენტს უსვამს სექსუალური ცხოვრების შესახებ კითხვებს. ამ ყველაფერს ისმენენ გარშემომყოფები და შესაბამისად, მათთვის ხელმისაწვდომი ხდება ამ პაციენტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

გამოითქვა პრეტენზიები იმასთან დაკავშირებითაც, რომ პაციენტებს იღებენ სივრცეში, რომლის კარი ღიაა, ოთახის გარეთ კი მუდმივად დგას რიგი და რიგში მყოფთ ჩვეულებრივ ესმით ექიმსა და პაციენტს შორის საუბარი.

პრობლემად დასახელდა, აგრეთვე, ცენტრის მედიცინის მუშაკების მიერ მონაცემების მესამე პირთათვის გამჟღავნება. აღინიშნა, რომ ხშირია ექიმების მიერ ლგბტ+ თემის წევრების მონაცემებზე საჯაროდ საუბრის, ასევე, პაციენტების სახელების, გვარების, აივ სტატუსის შესახებ ინფორმაციის დერეფანში გადაძახების შემთხვევები (მაგ: „ეს გივი რომ დადებითია, ხომ გახსოვს?“ და ა.შ.) მაშინ, როდესაც დერეფანში ყოველთვის რიგია. შესაბამისად, იქ მყოფი პირებისთვის ხელმისაწვდომი ხდება ექიმების მიერ გაჟღერებული ინფორმაცია.

„ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია სხვა პირთა აივ სტატუსით, ცენტრში მისვლით დიდი მოცულობის ინფორმაციას მიიღებს ამ ინფექციით დაავადებულთა შესახებ.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„ბენეფიციარის თანხლებისას, ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც ცენტრის მედიცინის მუშაკს ოთახიდან დაუძახებია რიგში მდგომი პაციენტისთვის ან დერეფანში გამოსულა და სხვების თანდასწრებით გაუჟღერებია სახელსა და გვართან ერთად აივ სტატუსის შესახებ ინფორმაცია (რომ აივ დადებითია ან საეჭვოა აივ დადებითზე და კვლავ გადასამოწმებელია).“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

„ცენტრის მოსაცდელში ვიდექი, როდესაც ერთ-ერთმა ექიმმა დაიძახა პაციენტის სახელი, გვარი და იქვე ახსენა CD4-ის ანალიზის შედეგი. CD4-ის ანალიზს, როგორც წესი, აივ დადებითი ადამიანი იღებს“. – ლგბტ+ თემის წევრი.

აღინიშნა, რომ პრობლემურია ცენტრის მედიცინის მუშაკების მიერ აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოზის, მათ შორის, პაციენტის ოჯახის წევრებისთვის გამჟღავნებაც.

„ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელი მივიდა ცენტრში აივ ინფექცია/შიდსზე ტესტირების ჩასატარებლად. კლინიკის წარმომადგენელი (ექიმი ან ექთანი), რომელიც იცნობდა თემის წევრის დედას, დაუკავშირდა მას ტელეფონით და შეატყობინა მისი შვილის ცენტრში ვიზიტისა და აივ ინფექცია/შიდსზე ტესტირების შესახებ.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ასევე, გამოიკვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების კონფიდენციალურობის დაცვის პრობლემები.

„ანალიზის პასუხზე მივედი შიდსის ცენტრში. მედიცინის მუშაკს წინ ედო სია, რომელშიც მითითებული იყო პაციენტების სახელები, გვარები და ინფორმაცია მათი აივ სტატუსის შესახებ (ვის დაუდასტურდა, ვის არ დაუდასტურდა აივ ინფექცია). შესაბამისად, მარტივად შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, წაეკითხა სიაში მითითებული კონკრეტული პირის ვინაობა და მისი სტატუსის შესახებ ინფორმაცია.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

გამოკითხულთა მიერ ასევე აღინიშნა, რომ აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებზე მედიკამენტების გაცემისას ცენტრი აწარმოებდა ჟურნალს, რომელშიც სახელისა და გვარის გასწვრივ აწერდა ხელს მედიკამენტების მიმღები ყველა პირი. მედიკამენტის მიმღებისთვის ხელმისაწვდომი იყო მონაცემები ჟურნალში ხელმომწერი სხვა ბენეფიციარების შესახებ, რომლებიც მის წინ იყვნენ მისულნი მედიკამენტების ასაღებად და იმავე გვერდზე ჰქონდათ ჟურნალში ხელი მოწერილი. ზოგჯერ ცენტრის თანამშრომელი აფარებდა ხელს ფურცელზე და ხელმოწერის სვეტის გარდა არ ჩანდა სხვა მონაცემები, მაგრამ ბენეფიციართა ნაწილს ხელმოწერის გრაფაში სრულად/გარკვევით ჰქონდა დაფიქსირებული თავისი სახელი და გვარი. შესაბამისად, მედიკამენტის მიმღებისთვის ცნობილი ხდებოდა შიდსით დაავადებულ სხვა ბენეფიციართა მონაცემები. ეს პრაქტიკა რამდენიმე თვის წინ შეიცვალა და ხელმოწერა უკვე ელექტრონულად ფიქსირდება, მონიტორზე, რომელზეც აღარ ჩანს სხვისი მონაცემები. აღსანიშნავია, რომ თემის წევრთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ჟურნალის გაუქმების შესახებ (რაც შესაძლოა იყოს თემის წევრების მიერ ცენტრისთვის მიმართვის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან ამ საკითხს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ასახელებდნენ).

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო დაწესებულებებში ლგბტ+ თემის წევრების მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით მუშავდება.

კერძოდ, რიგ შემთხვევებში მონაცემებს ამუშავებენ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევით, რითაც ილახება მათი ღირსება (პაციენტის გენდერული იდენტობის საჯაროდ ხაზგასმა, პაციენტის დიაგნოზის დერეფანში გამოცხადება, მისი ინტიმური ცხოვრების დეტალების სხვებთან განხილვა); ასევე, მუშავდება ზედმეტი მოცულობის მონაცემები, რომლებიც არ არის საჭირო სამედიცინო მომსახურების მისაღებად (პარტნიორის ვინაობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა).

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს მონაცემთა დამუშავებას კანონიერი საფუძვლის გარეშე (ლგბტ+ პირების მობილური ტელეფონით გადაღება, მონაცემების გასაჯაროება სოციალური ქსელის მეშვეობით, ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებისთვის, მათ შორის ოჯახის წევრების, სხვა ექიმების/კლინიკის თანამშრომლებისა და პაციენტებისთვის).

უმეტეს შემთხვევაში არ არის მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები – არ არის უზრუნველყოფილი მონაცემთა დაცვა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნებისა და გამოყენებისაგან (პაციენტების ისტორიები და სამედიცინო ჩანაწერები ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის, ექიმთან დიალოგი მიმდინარეობს ღია კარში ან/და ოთახში სხვა ექიმებისა და პაციენტების თანდასწრებით, სამედიცინო მომსახურება წარმოებს არასათანადო სივრცეებში, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ლგბტ+ თემის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებას ან/და ე.წ. ქამინგ აუთს).

ამასთან, სამედიცინო დაწესებულების მიერ ხშირად წერილობითი თანხმობის მოპოვებისას არ ხდება ლგბტ+ პირების სათანადო/ჯეროვანი ინფორმირება მათი მონაცემების დამუშავების თაობაზე, მაშინ, როდესაც თანხმობის ნამდვილობისთვის თანხმობა ასევე უნდა ეფუძნებოდეს იმ ფაქტებისა და შედეგების გაცნობას და გააზრებას, რომლებსაც გამოიწვევს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ სამედიცინო დაწესებულებებისა და მედიცინის მუშაკების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაუცველობა, ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, განაპირობებს ლგბტ+ თემის წევრთა მიერ აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიღებასა და კონკრეტულ პროგრამებში მონაწილეობაზე უარის თქმას, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს საბოლოოდ ლგბტ+ პირის ჯანმრთელობაზე და ჯანდაცვის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებასა და ეფექტიანობაზე.

ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მონაცემების გამჟღავნების მრავალი შემთხვევისა და მედიცინის მუშაკების მიმართ ნდობის ნაკლებობის გამო, ლგბტ+ თემის წარმომადგენლები ხშირად აზუსტებენ ინფორმაციას მათი უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან: როგორ იქნება დაცული ექიმთან მათი კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია; აქვს თუ არა ექიმს უფლება, კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია გაუმხილოს პაციენტის დედას ან სხვა ნათესავს, ინფორმაციის გამჟღავნების შიშის გამო კი, შესაბამისი ნდობის არარსებობის პირობებში, შესაძლოა, საერთოდ არ მიმართონ ან დროულად არ მიმართონ სპეციალისტს.

აღინიშნა ისიც, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ე.წ. ქამინგ აუთის თავიდან აცილების მიზნით ხშირად ერიდებიან სამედიცინო დაწესებულებებში გამოჩენას და მიმართავენ თვითმკურნალობას, რაც უარყოფითი შედეგებით სრულდება ხოლმე მათი ჯანმრთელობისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებები და მედიცინის მუშაკები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს. აუცილებელია, დაიცვან პაციენტის მიერ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და გაამჟღავნონ/გაასაჯაროონ ისინი მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას; მონაცემები დაამუშაონ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით, მათ შორის მხოლოდ საჭირო მოცულობით, რაც აუცილებელია კონკრეტული სამედიცინო მომსახურების გასაწევად. მნიშვნელოვანია, წერილობითი თანხმობის მოპოვებისას მოახდინონ თემის წევრების სათანადო, ჯეროვანი ინფორმირება მათი მონაცემების დამუშავების თაობაზე. ამასთან, მათ სრულად უნდა გააცნობიერონ და შეაფასონ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები და მიიღონ ადეკვატური და ქმედითი ზომები მათ დასაცავად.

V. ფსიქოლოგების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

აღსანიშნავია, რომ ლგბტ+ თემის წევრებს, მათი მოწყვლადობისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ხშირად უწევთ ფსიქოლოგის მომსახურებით სარგებლობა. ლგბტ+ პირთა მიერ ფსიქოლოგთან ვიზიტზე/სეანსზე გაჟღერებული ინფორმაცია კი უმეტესად უკავშირდება პირადი ცხოვრების ისეთ დეტალებს, როგორიცაა საკუთარი სხეულის აღქმა, სექსუალური ორიენტაცია, სექსუალური ცხოვრების ინტიმური დეტალები, სოციუმიდან გარიყულობა, სამსახურში დისკრიმინაცია, ძალადობა, მკურნალობის მიმდინარეობა და სხვა. აღნიშნული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამოყენება ან გამჟღავნება, მათი სენსიტიურობის გათვალისწინებით, შეიძლება განსაკუთრებული ზიანის მომტანი იყოს ლგბტ+ პირისთვის.

ამიტომ, ფსიქოლოგი ვალდებულია, გაითვალისწინოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები და ლგბტ+ პირის მონაცემები დაამუშაოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობისას და პრინციპების დაცვით. ფსიქოლოგს ასევე ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და მონაცემების დამუშავებისას გაითვალისწინოს მონაცემთა უსაფრთხოების ზომები.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ ფსიქოლოგების მიერ, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ლგბტ+ პირთა მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით ვლინდება გარკვეული პრობლემები.

აღინიშნა, რომ ზოგჯერ ფსიქოლოგები პირდაპირ თუ არაპირდაპირ ასაჯაროებენ ინფორმაციას თავიანთი პაციენტებისა და მათ მიერ მოყოლილი ისტორიების შესახებ.

„ძალიან ხშირად ფსიქოლოგები ინტერვიუებში, სოციალურ ქსელში (ე.წ. პოსტებში) და თავიანთ ნაშრომებში/წიგნებში ჰყვებიან პაციენტების ამბებს, სადაც არ არის მითითებული პაციენტების სახელები და გვარები, თუმცა იმდენად დეტალურად ჰყვებიან ისტორიებს, არა-პირდაპირ შესაძლებელია პაციენტების იდენტიფიცირება. ზოგჯერ ფსიქოლოგები იღებენ თანხმობას პაციენტებისაგან, თუმცა მათი თანხმობის შემთხვევაშიც არ არის გამართლე-ბული ასეთი ისტორიების გასაჯაროება.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამ-ჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

აღინიშნა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პაციენტის მიერ გამხელილ ინფორმაციას ფსიქო-ლოგი უზიარებდა სხვა პირს, პირადი სარგებლისა თუ ნაცნობობის გამო.

„ერთ-ერთი ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობდა ლგბტ+ თემის წევრებთან, სეანსზე გაჟღე-რებულ ინფორმაციას უყვებოდა სხვა პირებს. ამ ისტორიებს იგი იყენებდა თავისი პირადი ინტერესებისთვის. სხვათა შორის, იგი ახლა ერთ-ერთ საჯარო უწყებაშია დასაქმებული ფსიქოლოგად და აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიცია-ტივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

„დედამ ნაცნობ ფსიქოლოგთან მიიყვანა ლგბტ+ პირი. აღნიშნული ფსიქოლოგი სეანსების შემდეგ პაციენტის დედას უყვებოდა მისი შვილის ამბებს.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატი-ვების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა გაიხსენა ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქოლოგი სათემო ორ-განიზაციის შეხვედრაზე აღმოჩნდა ლგბტ+ თემის იმ წევრთან ერთად, რომელსაც ადრე უწევდა კონსულტაციას. ფსიქოლოგმა სხვების თანდასწრებით დაუწყო საუბარი თემის წევრს იმ საკი-თხებზე, რომლებზეც უსაუბრიათ კონსულტაციის დროს და ამ გზით გაამჟღავნა მისი პირადი ხასიათის ინფორმაცია.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ ფსიქოლოგების მხრიდან ფიქსირდება ლგბტ+ თე-მის წევრების მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევა, მათ შორის ღირსების შემლახავი ფორმით. აღნიშნული ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და წარმოადგენს ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას. ლგბტ+ თემის წევრებს, რომლებმაც გაანდვეს ინფორმაცია ფსიქოლოგს პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალების შესახებ, ჰქონდათ ლეგიტიმური მოლო-დინი, რომ მათ მიერ გამხელილი ინფორმაცია დაცული იქნებოდა მესამე პირთათვის გამჟღა-ვნებისგან.

ზემოთ მითითებულის მსგავსი ფაქტები იწვევს ნდობის შესუსტებას ფსიქოლოგების მიმართ. ლგბტ+ პირებმა შესაძლოა, საჭიროებისას აღარ მიმართონ მათ მომსახურების მისაღებად.

გამოკითხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ ლგბტ+ თემის წევრების ფსიქოლოგთან მისვლას ისე-დაც აქვს თავისი ბარიერები, ვინაიდან ხშირია ჰომოფობიური განწყობა ფსიქოლოგების მხრი-დან. ამიტომ, მონაცემების გამჟღავნების/გასაჯაროების შიში დამატებით დაბრკოლებას ქმნის თემის წევრებისთვის ფსიქოლოგის მომსახურებით სარგებლობისას.

სწორედ ამიტომ, ფსიქოლოგებმა უნდა დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მათ შორის, დასაბუთებული აუცილებლობისას შეაფასონ ის რისკი, რაც ლგბტ+ თემის წევრების მონაცემების დამუშავებას ახლავს და მხოლოდ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მიიღონ გადაწყვეტილება მათი მონაცემების გასაჯაროების შესახებ.

VI. სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

სამართალდამცავი ორგანოს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა საპოლიციო ღონისძიებასა და დანაშაულის გამოძიებასთან. აღნიშნული ფუნქციების შესრულებისას სამინისტრო ამუშავებს პროცესის მონაწილეთა მოცულობით ინფორმაციას, მათ შორის პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, საკონტაქტო ინფორმაციას, თითის ანაბეჭდს, ასევე, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ნასამართლობის, დაზარალებულის სტატუსის, მსხვერპლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რომლებიც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება. სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ხშირად ხდება ჩარევა ადამიანის პირად ცხოვრებაში. ამასთან, კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილებების ფარგლებში, სამინისტროს აქვს როგორც ღია, ასევე ფარული წყაროებიდან მონაცემთა მოპოვების, გამოყენების, გაზიარებისა და სხვაგვარი დამუშავების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ზრდის მონაცემების არაკანონიერი, არამიზნობრივი და საჭიროზე მეტი მოცულობით დამუშავების რისკს.

ამგვარი მონაცემების არაკანონიერად დამუშავებამ შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზიანოს ლგბტ+ თემის წევრთა უფლებები: გამოიწვიოს მათი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა ან/და სტიგმატიზაცია, მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, ძალადობა და ა.შ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა,[15] ვრცელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია, მათ შორის, გამოძიებისას შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები აწარმოოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის გათვალისწინებით და ლგბტ+ პირთა მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი აუცილებლობისას, მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, რომელთაც დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად აქვთ მინიჭებული წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, ვალდებულნი არიან, ეს მონაცემები დაამუშაონ მხოლოდ ამ მიზნით და დაიცვან მათი კონფიდენციალურობა.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არაერთ ხარვეზზე სამინისტროში: როგორც მონაცემთა დამუშავების საფუძვლების, ასევე, მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევის ფაქტებზე. ამასთან, ისაუბრეს სამინისტროს მიერ მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით მიღებულ არასაკმარის ზომებსა და სამინისტროს თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევაზე. პრობლემად დაასახელეს სენსიტიური მონაცემების შემცველ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლით (გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა) გათვალისწინებული მექანიზმის გამოუყენებლობა.

გამოკითხვა სხვა პირთა თანდასწრებით

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა გამოკითხვის პროცესის სხვა პირთა თანდასწრებით წარმართვა. კერძოდ, აღინიშნა, რომ პოლიციის განყოფილებებში, როგორც წესი, ლგბტ+ თემის წევრების გამოკითხვა მიმდინარეობს ერთიან სივრცეში, სადაც იმყოფებიან სხვა გამომძიებლები და მოქალაქეები. პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევისა და გამჟღავნების არაერთი შემთხვევა უკავშირდება სწორედ პოლიციის განყოფილებების საერთო ოთახში გამოკითხვის პროცესს.

გამოკითხვის დროს ლგბტ+ თემის წევრებს უწევთ თავიანთი სახელის, გვარის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გაჟღერება და მათ არ აქვთ სურვილი, ეს ინფორმაცია გამომძიებლის გარდა სხვა პირმაც მოისმინოს. აღინიშნა ისიც, რომ ასეთ სივრცეებში ხდება ლგბტ+ თემის იმ წევრების გამოკითხვაც, რომლებიც გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. შესაბამისად, მათ უწევთ სხვა პირთა თანდასწრებით საქმის დეტალებზე საუბარი. გარდა იმისა, რომ ეს წარმოადგენს კანონის დარღვევას, თემის წევრებისთვის დაკავშირებულია დიდ სტრესთან.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვეულებრივი ამბავია, როცა ლგბტ+ თემის წევრის გამოკითხვის პროცესს ესწრებიან სხვა გამომძიებლები. განსაკუთრებით პრობლემური და სენსიტიურია ეს საკითხი იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ე.წ. ქამინგ აუთი არ აქვთ გაკეთებული.“
– ლგბტ+ თემის წევრი.

15 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.*

აღინიშნა ისიც, რომ ზოგჯერ გამოკითხვის პროცესი შესაძლოა მიმდინარეობდეს იზოლირებულ (და არა საერთო) სივრცეში, მაგრამ მას მაინც ესწრებოდნენ პოლიციის სხვა თანამშრომლები და არ იყოს შეზღუდული გამოკითხვის ოთახში სხვა პირთა შესვლა-გასვლა.

„ჩემი მეგობარი, რომელიც თემის წარმომადგენელია, იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. მე ამ საქმეზე მოწმე ვიყავი. ჩვენ შეგვიყვანეს დაკითხვის ოთახში, თუმცა ამ დაკითხვას ესწრებოდა ძალიან ბევრი ადამიანი. დაკითხვისას ისმებოდა კითხვები, მათ შორის, სექსუალური ძალადობის განხორციელების დეტალების შესახებ. მე გავაპროტესტე სხვა პირების თანდასწრებით დაკითხვის ჩატარება. ჩემი დაზარალებული მეგობარი ამის გამო გახდა ცუდად და გადავატანინეთ დაკითხვის პროცესი. შემდგომ დაკითხვაზე დაზარალებულს უკვე ადვოკატიც ახლდა და უფრო ადეკვატურ გარემოში წარიმართა პროცესი.“ – არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა იუსის“ წარმომადგენელი.

სხვა გამომძიებელთა დასწრება გამოკითხვის პროცესზე მონაცემებს ხელმისაწვდომს ხდის არაუფლებამოსილი პირებისთვის, რომლებმაც, თავის მხრივ, შესაძლოა, ეს ინფორმაცია გამოიყენონ არასამსახურებრივი მიზნით.

„ყოფილა შემთხვევა, როდესაც პოლიციის მუშაკმა (რომელიც ლგბტ+ პირის საქმესთან შემხებლობაში არ იყო, თუმცა იმავე განყოფილებაში მუშაობდა, სადაც გამოკითხვაზე იმყოფებოდა იგი) მისწერა თემის წარმომადგენელს მობილური ტელეფონის ნომერზე და მათ შორის შეახსენა მისი განყოფილებაში ყოფნის ფაქტი („კაი ახლა, ვიცი ყველაფერი, შენ ის არ ხარ, რომ გცემეს და იმ დღეს რომ იყავი ჩვენთან?“). ასეთი ფაქტების გამო თემის წარმომადგენლები ხშირად არ მიმართავენ პოლიციას.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ლგბტ+ თემის წევრებმა დამატებით პრობლემად გამოკვეთეს ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოკითხვის პროცესს პოლიციის სხვა მუშაკების გარდა, მოქალაქეებიც ესწრებიან.

„ერთია, როცა სხვა პოლიციელები ესწრებიან გამოკითხვის პროცესს და მეორეა, როცა მოქალაქეებიც იმყოფებიან ამ სივრცეში. თითქმის ყველა რაიონულ პოლიციაშია ეს პრობლემა, გამონაკლისია შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის გზატკეცილზე მდებარე შენობა, სადაც არის იზოლირებული ოთახის გამოყენების საშუალება, მოთხოვნის შემთხვევაში.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

„ბათუმის პოლიციის მე-2 განყოფილებაში გამომძიებელი ხალხით სავსე ოთახში ეკითხებოდა არასრულწლოვანს, იყო თუ არა იგი ლგბტ+ თემის წარმომადგენელი და სთხოვდა განმარტებებს.“– არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა იუსის“ წარმომადგენელი.

„ერთ შემთხვევაში, ჰომოფობიური მოტივით მუქარის ფაქტზე, სამი ლგბტ+ თემის წევრი იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე (მათ შორის, ერთ-ერთს არ ჰქონდა გაკეთებული ე.წ. ქამინგ აუთი, ერთი არასრულწლოვანი იყო). ერთ სივრცეში, მათ გვერდზე, მათი გამოკითხვის პარალელურად იკითხებოდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი გოგონა. მათთვის ხელმისაწვდომი გახდა ერთმანეთის პერსონალური მონაცემები. ორგანიზაციამ აღნიშნულის შესახებ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს და მიაწოდა ინფორმაცია განყოფილებისა და გამოკითხვის დროის შესახებ, თუმცა ორგანიზაციისთვის უცნობია რეაგირების თაობაზე ინფორმაცია.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

„ერთ-ერთ საქმეზე, როდესაც გამომძიებელი კითხავდა და ლგბტ+ პირი ჰყვებოდა მასზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის თაობაზე (მას არ ჰქონდა ე.წ. ქამინგ აუთი გაკეთებული), პარალელურად იმავე სივრცეში მიმდინარეობდა თაღლითობის საქმეზე სხვა ქალბატონის გამოკითხვა, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ლგბტ+ პირის საქმის დეტალების შესახებ.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

გამოკითხულთა განცხადებით, დიდი პრობლემა ექმნებათ ტრანსგენდერ ადამიანებს, რომელთა პირადობის მოწმობაში მითითებული სახელის ბევრი ადამიანის თვალწინ გაჟღერება აიდენტიფიცირებს მათ, როგორც ტრანსგენდერ ადამიანებს (ვიზუალური/გარეგანი გამოხატულების ოფიციალურ სახელთან შეუსაბამობის გამო. მაგალითად, უწერია კაცის სახელი და გამოიყურება, როგორც ქალი).

„იყო შემთხვევა, როდესაც ორი ტრანსგენდერი ქალი მივიდა პოლიციის განყოფილებაში ქურდობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ვინაიდან მათი გარეგანი გამოხატულება/ვიზუალი არ შეესაბამებოდა პირადობის მოწმობაში მითითებულ სახელებს, ერთმა პოლიციელმა ხაზი გაუსვა ამ გარემოებას მეორე პოლიციელთან შემდეგი სიტყვებით: – „ნახე, რა სახელები უწერიათ და როგორ გამოიყურებიან“ და დაიწყეს მათი დაცინვა. ამ ფაქტით მთელმა განყოფილებამ გაიგო მათი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია, მაშინ როცა პოლიციელების მიერ პირადობის მოწმობაში მითითებული სახელების გაჟღერებისაგან თავის შეკავების შემთხვევაში, ვერავინ მიხვდებოდა, რომ ისინი იყვნენ ტრანსგენდერი ქალები.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

აღინიშნა ისიც, რომ ზოგჯერ გამოკითხვის პროცესში პოლიციის თანამშრომლები ამოწმებენ ამ პირის შესახებ ყველა ინფორმაციას მონაცემთა ბაზებში და ბაზაში მითითებულ მონაცემებს (მაგალითად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ) ამბობენ ხმამაღლა, იქ მყოფი მოქალაქეების თანდასწრებით.

„ხშირად უთქვამთ ჩემთვის პოლიციის განყოფილებაში, რომ მონაცემთა ბაზაში გამოუჩნდათ ჩემი ძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ხოლმე 17 მაისზე, რათა ხაზი გაუსვან ჩემს გენდერულ იდენტობას თუ სექსუალურ ორიენტაციას. ინფორმაციის გაჟღერება ხდება ხმამაღლა, მაგალითად, შემდეგი რეპლიკით: „ოჰ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამოგივარდა. 17 მაისს ხარ დაკავებული. დროშას ხატავდი კედელზე?...“ თან ეს ხდება ხოლმე სხვების თანდასწრებით, მათ შორის, ჩემს თანმხლებ პირებთან ერთად, რომლებმაც ზოგჯერ საერთოდ არ იციან ჩემი ძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა პირებმა მიუთითეს, რომ ისინი მოითხოვენ ხოლმე ცალკე ოთახში გამოკითხვას, განსაკუთრებით ისეთ საქმეებთან მიმართებით, რომლის დროსაც უნდა გაცხადდეს ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან პირადი ცხოვრების სხვა სენსიტიური დეტალების შესახებ, თუმცა პოლიციის ზოგიერთ განყოფილებაში ასეთი ოთახების გამოყოფის საშუალება ფიზიკურად არ არის.

„ერთ შემთხვევაში, სექსუალური ძალადობის საქმეზე სექსსამუშაოში ჩართული დაზარალებული ტრანსგენდერი ქალის დამატებითი გამოკითხვა მოხდა პოლიციის განყოფილებაში, საერთო ოთახში, სადაც ტელევიზორი იყო ჩართული და 50 პირი იმყოფებოდა. ტრანსგენდერი ქალის ადვოკატმა შესთავაზა გამომძიებელს, რომ გამოკითხვა მომხდარიყო განყოფილების უფროსის ან მოადგილის ოთახში, მაგრამ უთხრეს, რომ არ იყო თავისუფალი ოთახი.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

რამდენიმე გამომძიებლის ჩართულობა გამოძიების პროცესში

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა პოლიციის რამდენიმე მუშაკის არაოფიციალური ჩართულობა გამოძიების პროცესში, მათ შორის გამოძიების დაწყებამდე – საჩივრის მიღების ეტაპზე.

„პოლიციის განყოფილებაში ერთსა და იმავე ფაქტზე გამომკითხა სხვადასხვა პირმა: ჯერ უბნის ინსპექტორმა, შემდგომ განყოფილების ხელმძღვანელმა, რადგან უბნის ინსპექტორმა განმიმარტა, რომ ხელმძღვანელის ნებართვა სჭირდებოდა ამ საჩივრის მისაღებად. ასევე, ჩემს გამოკითხვას ესწრებოდნენ ჩემთვის უცნობი პირები (განყოფილების ხელმძღვანელმა მითხრა, რომ ისინი მისი მოადგილეები იყვნენ), რაც დამატებით პრობლემას წარმოადგენს მონაცემების დაცვის კუთხით. უმთავრესი მიზეზი, რატომაც თემის წარმომადგენლები არ მიდიან პოლიციაში, არის მათ შორის სწორედ ის, რომ ხდება მათი „იძულებითი ქამინგ აუთი“, გამოკითხვაში ერთვება ან/და გამოკითხვის პროცესს ესწრება არა მხოლოდ საქმის გამომძიებელი, არამედ სხვა პირებიც, ისე, რომ ვერც იგებენ, ვინ არიან და რატომ უნდა გაუმჟღავნონ ყველა პირს საქმის დეტალები.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

აღინიშნა, რომ თუ გამოკითხვა ხდება ერთიან სივრცეში, როგორც წესი, იქ მყოფი ყველა გამომძიებელი ჩართულია გამოკითხვის პროცესში და სვამს კითხვებს. მიუთითეს ისეთ შემთხვევებზეც, როცა ლგბტ+ თემის წარმომადგენლის გამოკითხვა არ მიმდინარეობს ერთიან სივრცეში, იგი შეჰყავთ განცალკევებულ ოთახში, თუმცა მის გამოკითხვაში მაინც ერთვებიან სხვა პირები.

„ლგბტ+ თემის წარმომადგენელმა, რომელიც რეგიონიდან იყო ჩამოსული და არ ჰქონდა ე.წ. ქამინგ აუთი გაკეთებული, გამოძალვისა და სექსუალური ძალადობის ფაქტზე მიმართა პოლიციას. მისი განცხადების მიღებამდე აღნიშნულ პირს ჯერ გაესაუბრა პოლიციის უფროსი, შემდეგ – მისი მოადგილე, შემდგომ – ორი გამომძიებელი, რომლებიც უნდა ჩართულიყვნენ საქმეში. ყველა მათგანმა გამოჰკითხა დეტალები. აღმოჩნდა, რომ ამ ორ გამომძიებელს აღარ ეცალა საქმის გამოსაძიებლად და საქმეში ჩართეს სხვა გამომძიებელი. ამდენად, გამოვიდა, რომ ლგბტ+ პირის გამოკითხვის პროცესში მონაწილეობდა და მისი პერსონალური მონაცემების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ფლობდა, მინიმუმ, ხუთი ადამიანი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოძიება დაწყებული.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

„ხშირად ყოფილა ქუთაისის პოლიციაში შემთხვევა, როდესაც საქმის გამომძიებელს თემის წარმომადგენლის დაკითხვის პროცესში დაუძახია სხვა თანამშრომლისთვის (თითქოს დახმარების მიზნით, სინამდვილეში კი – ჩვენების მოსმენის მოტივით) მაშინ, როდესაც ლგბტ+ თემის წარმომადგენელი ჩვენებას აძლევდა პირადულ და სენსიტიურ საკითხებზე (ძალადობა, მუქარა), რისი ხშირად გამეორებაც და მით უმეტეს რამდენიმე ადამიანისთვის მოყოლა მისთვის კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

პრობლემად დასახელდა სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებლების ხშირად შეცვლა, ასევე, საგამოძიებო მოქმედებების სხვადასხვა გამომძიებლის მიერ ჩატარება. აღნიშნული გზით ლგბტ+ თემის წევრის ამბავს, მათ შორის ინფორმაციას მისი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ, იგებს რამდენიმე პირი, რაც ზრდის ამ მონაცემების არაკანონიერად დამუშავებისა და კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეებს. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით პრობლემურია ეს რეგიონებში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. შესაბამისად, გამოკითხული პირების მოსაზრებით, მონაცემების გამჟღავნების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებელთა რაოდენობა.

„მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებელთა რაოდენობა. არ იგულისხმება რთული საქმეები, სადაც რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის (ძალადობა) საქმეზე არ არის საჭირო ხუთი გამომძიებლის ჩართვა და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების სხვადასხვა გამომძიებლის მიერ ჩატარება.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

„ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ლგბტ+ თემის წევრის საქმე მოიცავდა სენსიტიურ დეტალებს (მას ჰქონდა აივ სტატუსი, იყო სექსსამუშაოში ჩართული და მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ არ იცოდნენ მისმა ნათესავებმა). როცა თემის წარმომადგენელი მივიდა პირველად გამოკითხვაზე, გაესაუბრა ერთი გამომძიებელი, ხოლო მეორე გასაუბრებაზე დახვდა სხვა გამომძიებელი. აღნიშნულმა მისი აღშფოთება გამოიწვია, რადგან არ უნდოდა, დამატებით კიდევ სხვა ადამიანი გასცნობოდა მისი საქმის დეტალებს. იქვე მჯდომმა გამომძიებელმა ქალმა კი რეპლიკის სახით უთხრა, რომ იქ ყველა გამომძიებელი იყო და ყველამ ყველაფერი იცოდა ერთმანეთის საქმეებზე.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

საგამოძიებო მოქმედების ოქმების მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა გამოკითხვის ოქმების გამომძიებლის მაგიდაზე, თვალსაჩინო ადგილზე, მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსება.

„ისე დევს ხოლმე ოქმები გამომძიებლის მაგიდაზე, რომ ხშირ შემთხვევაში ძალიან მარტივად კითხულობ, თუ რა ჩვენება მისცა კონკრეტულმა ადამიანმა, თავისი პირადი ნომრით, სახელით, გვარით, დაბადების თარიღით. ანალოგიური პრობლემაა პოლიციის ყველა განყოფილებაში. გასულ დღეებში გამოკითხვაზე ყოფნის დროს გამომძიებლის მაგიდაზე განთავსებული იყო გამოკითხვის ოქმი, რომელშიც ხელმისაწვდომი იყო არა მხოლოდ პროცესის მონაწილის დემოგრაფიული მონაცემები, არამედ ჩვენების მთლიანი შინაარსი.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

ინფორმაციის გაჟღერება

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა თემის წევრების პოლიციაში მისვლისას პოლიციის მუშაკების ურთიერთგადაძახილი (ოთახიდან ოთახში, სართულიდან სართულზე), რომ პოლიციის შენობაში მივიდნენ თემის წარმომადგენლები. თემის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ ქუთაისში პოლიციის თითქმის ყველა განყოფილებაშია ეს ვითარება. ეს გადაძახილი იწვევს ე.წ. ქამინგ აუთს, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც თემის წევრის ვიზუალური მხარე არ შეესაბამება მის ოფიციალურ სახელს. აღინიშნა ისიც, რომ ასეთი გადაძახილის დროს ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებებზეც მიუთითებენ (მაგალითად, „ის არის მოსული „იდენტობიდან“, თავში რომ ჩაარტყეს“).

„არაერთხელ შევსწრებივარ გადაძახილს პოლიციელებს შორის, როცა ერთმანეთს ატყობინებენ ლგბტ+ პირების განყოფილებაში მისვლის შესახებ. რამდენიმე თვის წინ მე შევესწარი ლგბტ+ პირებზე თავდასხმას და როცა პოლიციის განყოფილებაში მივედი გამოკითხვაზე თემის სხვა წევრებთან ერთად, პოლიციის თანამშრომლებმა გამოაცხადეს – ლგბტ+ თემის წევრები მოვიდნენო.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ასევე, პრობლემად დასახელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელთა მიერ ლგბტ+ თემის წევრებისა და მათი უფლებების დამცველებისთვის თემის სხვა წევრების შესახებ შეკითხვების დასმა (მაგალითად, ასახელებენ კონკრეტულ სახელებსა და გვარებს და ეკითხებიან, იცნობენ თუ არა მათ, როგორც თემის წევრებს, როგორც პარტნიორებს). აღინიშნა ისიც, რომ ზოგჯერ პოლიციის თანამშრომლები თემის წევრის თანმხლებ ადვოკატს საჯაროდ, თემის ამ წევრის, სხვა მოქალაქეებისა თუ გამომძიებლების თანდასწრებით, ეკითხებიან თემის სხვა წევრებზე, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენენ ისინი ამავე განყოფილებაში (მაგ.: „იმას (სახელის და გვარის მითითებით) მომიყვან?“).

პოლიციის მუშაკების მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ სხვა პირთათვის ინფორმაციის გამჟღავნებაც დასახელდა ერთ-ერთ გამოწვევად. მიუთითეს ისეთ შემთხვევაზე, როცა ტრანსგენდერ ქალს გამოკითხვისას გამომძიებელმა მოუყვა მეორე ტრანსგენდერი ქალის სისხლის სამართლის საქმის დეტალები. ასევე, აღინიშნა შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა მედიცინის მუშაკს.

„თემის წარმომადგენელი, რომელიც ჰომოფობიურ ნიადაგზე გახდა ძალადობის მსხვერპლი, გადაიყვანეს კლინიკაში. ამ პირის დასაკითხად კლინიკაში მივიდა პოლიცია, რომელმაც დაკითხვისას იქ მყოფ სამედიცინო პერსონალს გაუმჟღავნა, რა იყო მისი ცემის მიზეზი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

აღინიშნა ისიც, რომ ზოგჯერ პოლიციის მუშაკები ლგბტ+ თემის წევრებს, სხვა სივრცეში შეხვედრის დროს, მესამე პირთა თანდასწრებით ახსენებენ ისეთ დეტალებს, რომლებიც იწვევს მათ ე.წ. იძულებით ქამინგ აუთს და მათი სხვა პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას.

„ყოფილა შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომელი საჯარო სივრცეში შეხვედრია თემის წარმომადგენელს, მისალმებია (გამოსცნაურებია) მას სხვების თანდასწრებით და შეუხსენებია, რა ვითარებაში არიან შეხვედრილები.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ერთიან საინფორმაციო ბანკზე არასამსახურებრივი მიზნით წვდომა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გამჟღავნება, პირადი მიზნებით გამოყენება.

„ტრანსგენდერი ქალის ძმას ჰყავდა საცოლე, რომელიც იყო პოლიციის თანამშრომლის შვილი. ამ პოლიციელმა, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არასამსახურებრივი მიზნით გადაამოწმა მისი (ტრანსგენდერი ქალის) გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია (სისხლის სამართლის საქმეში ელექტრონულად მოიძია ინფორმაცია) და შემდგომ ეს ინფორმაცია გაუმჟღავნა (მონაცემთა ბაზის ე.წ. „სქრინშოთები“ გაუგზავნა) ტრანსგენდერი ქალის დედას. აღნიშნული შემთხვევა შეისწავლა როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებით, გარკვეული სამართალდარღვევა გამოვლინდა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრა სამართალდამრღვევს. რაც შეეხება გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებას, პოლიციელის ქმედება მიჩნეულ იქნა დისციპლინურ გადაცდომად და იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

დასახელდა ერთი ისეთი შემთხვევაც, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან ძმამ მოიპოვა ინფორმაცია თავისი დის სექსუალური ორიენტაციის შესახებ (ლესბოსელი ქალი გამოკითხული იყო ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა მის ლგბტ+ თემის წარმომადგენელ მეგობრებს), რაც გახდა შემდგომ ოჯახში ძალადობის მიზეზი.

აღინიშნა ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამომძიებელმა (რომელიც არ იყო ამ სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელი და მხოლოდ მუშაობდა იმავე განყოფილებაში, სადაც ტრანსგენდერი ქალი გამოიკითხა) დაურეკა თავის ახლობელს და გაუმჟღავნა ლგბტ+ პირის გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ მონაცემი, აგრეთვე, მის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული სხვა ინფორმაცია.

„გარკვეული ინციდენტის გამო, აღმოვჩნდი პოლიციის განყოფილებაში. გამომძიებელმა დამკითხა საერთო სივრცეში, სადაც სხვა გამომძიებლებიც ისხდნენ, მათ შორის ის გამომძიებელიც (სამი მაგიდის იქით), რომელიც მეორე დღეს ტელეფონით დაუკავშირდა თავის ნაცნობს და გაუმჟღავნა ჩემი გენდერული იდენტობის შესახებ და ასევე, ჩემ მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია. კერძოდ, უთხრა, რომ პოლიციის განყოფილებაში გასულ ღამეს იმყოფებოდა მისი მოგვარე და თანასოფლელი ტრანსგენდერი ქალი, რომელსაც ინციდენტი შეემთხვა კლიენტთან, ვინაიდან სექს-სამუშაოში იყო ჩართული. ნაცნობი, რომელსაც გამომძიებელმა დაურეკა, აღმოჩნდა ჩემი და.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

კვლევის ფარგლებში ისაუბრეს ასევე შემთხვევაზე, როდესაც საქმის გამომძიებელმა ერთ-ერთი გამოკითხული ლგბტ+ პირის გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ მის ნათესავს გაუმჟღავნა ინფორმაცია.

„ორი ტრანსგენდერი ქალი გააუპატიურეს და სცემეს. აღნიშნულზე დაიწყო გამოძიება და დაიკითხნენ ეს პირები პოლიციის განყოფილებაში. საქმის გამომძიებელი იცნობდა ერთ-ერთი ტრანსგენდერი ქალის ნათესავს. გამომძიებელი დაუკავშირდა ამ უკანასკნელს და უთხრა, რომ პოლიციის განყოფილებაში გაუპატიურების საქმეზე იმყოფებოდა მისი ნათესავი, რომელიც იყო ტრანსგენდერი ქალი და თურმე სექს-სამუშაოშიც ყოფილა ჩაბმული. ეს ინფორმაცია ამ დრომდე არ იცოდა ამ ადამიანის ოჯახმა.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ის უფლებამოსილია, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, რომ მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. თუ, გაფრთხილების მიუხედავად, პროცესის მონაწილე გაამჟღავნებს სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაციას, მას სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის (გამოძიების მონაცემის გახმაურება) საფუძველზე, შესაძლოა, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

კვლევის ფარგლებში აღინიშნა, რომ მაშინ, როდესაც პროცესის მონაწილეებს გამოძიების მონაცემების გამჟღავნების გამო შეიძლება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ, გამომძიებელთა მიერ სისხლის სამართლის საქმის დეტალების გამჟღავნება ხშირ შემთხვევაში რჩება რეაგირების გარეშე.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული პირები იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელშიც ფიგურირებს სენსიტიური მონაცემები, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გამომძიებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის გამოყენებას და პროცესის მონაწილის გაფრთხილებას, არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები. ამ მუხლის გამოყენების პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეებზე არ არის დანერგილი, თუმცა ხშირად არსებობს მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

შემაკავებელ ორდერში ზედმეტი მოცულობის პერსონალური მონაცემების მითითება

მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით, გამოკითხულ პირთა კრიტიკას იწვევს შემაკავებელი ორდერის ფორმა. მაგალითად მოჰყავთ ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციის მუშაკმა მსხვერპლის

მისამართი მიუთითა შემაკავებელ ორდერში. ორდერის ასლი გადაეცა მოძალადეს მაშინ, როდესაც მსხვერპლს გამოკითხვის ოქმშიც და განცხადებაშიც დაფიქსირებული ჰქონდა მოთხოვნა, რომ, მიუხედავად ასეთი ველის არსებობისა („შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 2 ივლისის №491 ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ფორმა 2018 წლის ივლისამდე მოიცავდა ველს მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ), პოლიციას არ დაეფიქსირებინა მისი ფაქტობრივი მისამართის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი ძალადობის თავიდან არიდების მიზნით.

აღნიშნულ ფაქტზე იმსჯელა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმაც, რომელმაც დარღვევა არ დაადგინა (იმ მოტივით, რომ ოქმის ფორმა ითვალისწინებდა ამგვარს ველს), თუმცა მიუთითა იმგვარი მექანიზმის არსებობის მნიშვნელობაზე, რომელიც უზრუნველყოფდა მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებას ოქმის შევსების პროცესში, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ოქმში მისამართის ველის სავალდებულოდ შევსებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2018 წლის 13 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №81 ბრძანებით განახლდა შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები, რომლებიც აღარ ითვალისწინებს მსხვერპლის ფაქტობრივი მისამართის შესახებ ინფორმაციის ველს.

ვიდეოგადაღება

კვლევის ფარგლებში ასევე აღინიშნა, რომ ზოგჯერ პოლიციის განყოფილებაში თანამშრომლები მიმართავენ ლგბტ+ პირთა ვიდეოგადაღებას მობილური ტელეფონით.

„ლგბტ+ თემის წევრი მივიდა პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში განცხადების შესატანად, მისი პირადი მონაცემების გასაჯაროების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. იგი დაიბარეს პოლიციის უფროსთან, სადაც ამ უკანასკნელის გარდა დახვდა სამი პირი, რომლებზეც პოლიციის უფროსმა უთხრა, რომ იყვნენ მისი მოადგილეები. გარდა იმისა, რომ ტრანსფობიური და სხვადასხვა სახის კომენტარები იყო მის მიმართ, საუბრის მიმდინარეობის დროს ერთ-ერთი მოადგილე ტელეფონით უღებდა განმცხადებელს ვიდეოს და დანარჩენებთან ერთად დასცინოდა. თემის წევრმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც შეატყობინა, რომ დარღვევა არ დადგინდა, თუმცა მისცეს გაფრთხილება.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს მნიშვნელოვან პრობლემებზე სამინისტროში ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში.

სამინისტროს/სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ხშირად ხდება ლგბტ+ პირთა მონაცემების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არასამსახურებრივი (პირადი) მიზნით დამუშავება (მონაცემთა ბაზებში მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით გადამოწმება; ლგბტ+ პირის გამოკითხვისას მოყოლილი ან/და სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა ინფორმაციის მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, ნათესავების, თემის წევრების, მედიცინის მუშაკებისა და სხვა პირებისთვის გამჟღავნება; გამოსაკითხი ლგბტ+ პირის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გაჟღერება; მობილური ტელეფონით ლგბტ+ პირის გადაღება).

რიგ შემთხვევებში ლგბტ+ თემის წევრთა მონაცემები მუშავდება მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევით, მათ შორის კანონიერი მიზნის გარეშე და ღირსების შემლახავი ფორმით (ლგბტ+ პირის გამოკითხვის პროცესში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობით; გენდერულ იდენტობასა თუ სექსუალურ ორიენტაციაზე საჯაროდ ხაზგასმით; გამოკითხვაზე მისული ლგბტ+ პირისათვის ინტიმური ცხოვრების დეტალების სხვების თანდასწრებით გამოკითხვით).

ამასთან, უმეტეს შემთხვევაში არ არის მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები: არ არის უზრუნველყოფილი მონაცემთა დაცვა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნებისა და გამოყენებისაგან (გამოძიების დაწყებამდე, ასევე გამოძიების პროცესში, საქმეში არაოფიციალურად ჩართულია რამდენიმე გამომძიებელი; სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებელი იცვლება ხშირად ან/და საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს სხვადასხვა გამომძიებელი); მოწმისა და დაზარალებულის გამოკითხვა მიმდინარეობს საერთო სივრცეში, სხვა გამომძიებლებისა და მოქალაქეების თანდასწრებით; გამოკითხვის ოქმები განთავსებულია ღიად, გამომძიებლის მაგიდაზე და ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის).

აღნიშნული ეწინააღმდეგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებს და წარმოადგენს ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას, ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

ასევე, პრობლემად დასახელდა სენსიტიური მონაცემების შემცველ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემების გაუმჟღავნებლობის შესახებ პროცესის მონაწილეების გაფრთხილების მექანიზმის გამოუყენებლობა.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ რეგიონში ლგბტ+ თემის წევრებს ყოველთვის აქვთ იმის შიში, რომ პოლიციიდან გაჟონავს ინფორმაცია და მათი ახლობლებისთვის ან/და ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდება მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ. ამიტომ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების/გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, ხშირ შემთხვევაში უარს ამბობენ პოლიციისთვის მიმართვაზე, განსაკუთრებით ლგბტ+ თემის ის წარმომადგენლები, რომლებსაც არ აქვთ ე.წ. ქამინგ აუთი გაკეთებული. ეს შიში, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში რეალურია (განსაკუთრებით რეგიონებში), არის ხელისშემშლელი ფაქტორი მათი უფლებების აღდგენის პროცესში.

როგორც ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, თუ რეგიონში მცხოვრები ლგბტ+ თემის წარმომადგენელი გადაწყვეტს, მიმართოს პოლიციას კონკრეტულ ფაქტზე, მონაცემების გასაჯაროების თავიდან არიდების მიზნით, ორგანიზაცია წინასწარ უკავშირდება ხოლმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს, რათა თემის წარმომადგენელს დახვდეს პოლიციის განყოფილებაში შესაბამისი გარემო და არ გახდეს მისი მონაცემები საჯარო. ზოგჯერ აღნიშნული დეპარტამენტის ჩართულობა საკმარისია თემის წევრების დასარწმუნებლად, რომ მათ მიმართონ პოლიციას, თუმცა ხანდახან ეს ჩარევაც არ ჭრის, იმდენად მაღალია მონაცემების გასაჯაროების შიში.

ამგვარი ფაქტები უარყოფით გავლენას ახდენს ლგბტ+ პირის უფლებების რეალიზებასა და სამართალდამცავი ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიების ეფექტიანობაზე, ისევე, როგორც ამცირებს ლგბტ+ თემისა და, ზოგადად, საზოგადოების ნდობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.

ამიტომ, სამინისტრომ და სამინისტროს თანამშრომლებმა განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინონ ლგბტ+ პირთა მონაცემების დამუშავებისას და მონაცემთა შეგროვება, გამოყენება, გამჟღავნება და სხვაგვარი დამუშავება განახორციელონ მხოლოდ შესაბამისი

სამართლებრივი საფუძვლისა და კანონიერი მიზნის არსებობისას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების სხვა პრინციპების დაცვით. ამასთან, სამინისტრომ უნდა შეაფასოს ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკი და მიიღოს ადეკვატური უსაფრთხოების ზომები მონაცემების დასაცავად.

VII. ადვოკატების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

ადვოკატს, ბრალდებულისა თუ სხვა პირის უფლებების დაცვის პროცესში, შეხება აქვს პროცესის სხვადასხვა მონაწილესთან, მათ შორის დაზარალებულებთან, მოწმეებთან, ფსიქოლოგებთან, სოციალურ მუშაკებთან. მისთვის ხელმისაწვდომია, ასევე, სისხლის სამართლის საქმის მასალები. შესაბამისად, ადვოკატებს ხელი მიუწვდებათ პროცესის მონაწილეების პერსონალურ მონაცემებზე, მათ შორის მათი პირადი ცხოვრების დეტალებზე.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, იმოქმედოს კანონიერად, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. ამავე კანონის 1-ლი მუხლის მეორე პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატი საქმიანობისას ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს; ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ იკრძალება კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

ამდენად, ადვოკატი, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ამუშავებს მონაცემებს, ვალდებულია, მონაცემთა დამუშავების პროცესი შეუსაბამოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და პირის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლ(ებ)ის არსებობისას და პრინციპების დაცვით.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ ადვოკატების მიერ, პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში, ლგბტ+ პირთა მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით ვლინდება გარკვეული სახის პრობლემები.

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა ბრალდებულთა ადვოკატების მიერ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ პერსონალური მონაცემების გასაჯაროება. კერძოდ, აღინიშნა, რომ როგორც სასამართლო განხილვის დროს, ასევე საჯაროდ, ადვოკატები აპელირებენ პროცესის მონაწილის სექსუალურ ორიენტაციაზე ან/და გენდერულ იდენტობაზე, როცა ამ გარემოებას სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაციისა და სასჯელისთვის მნიშვნელობა არ აქვს (დანაშაული არ არის ჩადენილი ზემოაღნიშნული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) და ადვოკატის მიერ აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – პროცესის მონაწილის დისკრედიტაციას.

მათ შორის, სასამართლო სხდომებზე ადვოკატები შეკითხვებს სვამენ პირადი ცხოვრების ისეთი დეტალების შესახებ, რომლებსაც კავშირი არ აქვს სისხლის სამართლის საქმესთან.

„სასამართლო სხდომაზე ხშირად ადვოკატების მიერ ისმება კითხვები, რომლებსაც შეხება არ აქვს საქმესთან. კითხვებით ხდება ხაზგასმა მოწმეთა სექსუალურ ორიენტაციაზე ან გენდერულ იდენტობაზე (მაგ: „ცოლი გყავს თუ ქმარი?“, „როგორი ორიენტაციის ხართ?“). სამწუხაროდ, დაზარალებულს და მოწმეს არ აქვთ ამგვარი კითხვების განრიდების უფლება. დაზარალებულისა და მოწმის ადვოკატებიც არ არიან აღჭურვილნი ამგვარი უფლებამოსილებით. მოსამართლის როლი ამ პროცესში პასიურია და შესაბამისად, სრულად მხარეებზეა დამოკიდებული არარელევანტური კითხვების განრიდება. ჩვენ წინასწარ ვაფრთხილებთ მოწმეებს, რომ მსგავსი კითხვების დასმისას მიმართონ მოსამართლეს კითხვის განრიდების თხოვნით და უთხრან, რომ ეს მათი პირადი ინფორმაციაა, რომელიც არაფერ კავშირში არ არის საქმესთან.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

„გასული წლის დეკემბერში 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენების შესახებ მიმდინარეობდა დაზარალებულის გამოკითხვა სასამართლოში. აღნიშნულ პროცესს ესწრებოდა ძალიან ბევრი ადამიანი (ჟურნალისტები, ბრალდებულების ოჯახის წევრები, ადვოკატები, სხვა პირები). ბრალდებულებს წაყენებული ჰქონდათ ბრალი ძალადობის მუხლით (ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში), თუმცა კითხვას – „დიდი ხანია იყო თუ არა დაზარალებული ლესბოსელი“ – არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან. მისასალმებელია, რომ ამ შეკითხვაზე რეაგირება ჰქონდა როგორც პროკურორს, ასევე, მოსამართლეს – მოსამართლემ ადვოკატს მიუთითა, რომ არარელევანტური შეკითხვა იყო და მსგავსი შეკითხვა აღარ დაესვა.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

„ერთ-ერთ საქმეზე ადვოკატმა პირდაპირ სასამართლო პროცესზე, საჯაროდ, გაამჟღავნა მოწმეების სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია, მაშინ როდესაც ამ საკითხს არანაირი შემხებლობა არ ჰქონდა საქმესთან. მიუხედავად მოწმეების პროტესტისა, მოსამართლემ არ განარიდა სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული კითხვები, მაშინ როცა ადვოკატი ამ ფაქტს იყენებდა მოწმეების დისკრედიტაციის მიზნით.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წელს ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ბრალდებულის ადვოკატმა საჯაროდ, მედიასთან გაამჟღავნა გარდაცვლილი პირის სექსუალური ორიე-

ნტაციის შესახებ ინფორმაცია. ადვოკატის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროების ფაქტზე ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. ორ წელიწად-ნახევრის შემდგომ ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა, რომ ადვოკატი იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და დარღვევა არ იკვეთებოდა (პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოსთვის დამატებით არ მომხდარა მიმართვა).

გამოწვევად დასახელდა ასევე ადვოკატების მიერ ლგბტ+ პირთა მონაცემების გასაჯაროება სოციალური ქსელის საშუალებით. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა იუსის“ წარმომადგენელმა ადვოკატის მხრიდან მონაცემთა არაკანონიერი გასაჯაროების მაგალითად დაასახელა სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმე, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა. აღნიშნულ საქმეში ბრალდებული გამართლდა, რის შემდგომაც მისმა ადვოკატმა იურიდიული კომპანიის ოფიციალურ Facebook გვერდზე (რომელზეც წვდომა აქვს ათასამდე მომხმარებელს) გამოაქვეყნა ე.წ. პოსტი და მიუთითა დაზარალებულისა და მისი დის სექსუალური ორიენტაციის შესახებ. დაზარალებულის შემთხვევაში სახელი და გვარი აღნიშნული იყო ინიციალების სახით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქი არის პატარა და სტატუსში სახელით და გვარით იყო მითითებული იმ სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ვინაობა, რომლებიც მოწმეებს წარმოადგენდნენ ამ საქმეზე (ასევე, აღნიშნული იყო, რომ დაზარალებულს დახმარებას უწევდა ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაცია), ყველასთვის ცნობილი გახდა, ვისზე იყო საუბარი.

„ერთია, როცა პროცესის მონაწილეები სასამართლო სხდომის დარბაზში საუბრობენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს თანხმობას ან სურვილს, რომ ეს ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ასევე, ლგბტ+ თემის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატმა წარადგინა სამართალდამცავ ორგანოში დაცული ისეთი ინფორმაცია, რომელზეც მას ხელი არ მიუწვდებოდა და არ წარუდგენია მისი კანონიერად მოპოვების დოკუმენტაცია.

„სასამართლო პროცესზე ადვოკატმა წარმოადგინა 9-10 წლის წინ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაცია (რომელიც იყო შეწყვეტილი), რომლის ფიგურანტი იყო ერთ-ერთი მოწმე და რომელზეც ადვოკატს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდა წვდომა. ამ ინფორმაციის მოპოვება ადვოკატს შეეძლო მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებიდან.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

დასკვნა

ადვოკატების მიერ სოციალური ქსელისა და მედიის საშუალებით ინფორმაციის გასაჯაროების ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ მათ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია გაასაჯაროვეს არაეთიკური, ღირსების შემლახავი ფორმით, შესაბამის პირთა თანხმობის გარეშე. ამასთან, არ იკვეთებოდა მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული არც სხვა სამართლებრივი საფუძველი.

დამატებით გასათვალისწინებელია, რომ მედიისთვის ინტერვიუს მიცემისას ან/და სოციალური ქსელის საშუალებით ინფორმაციის გასაჯაროება ამ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის პირთა ფართო წრისთვის, მაშინ როცა, მაგალითად, საქმის სასამართლო განხილვის დროს მისი გასაჯაროება ხდება სასამართლო სხდომის დარბაზში, პირთა შეზღუდული წრის თანდასწრებით. ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობა, მით უფრო ისეთი სენსიტიური ინფორმაციის გავრცელება, როგორიცაა პირის სექსუალური ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა, ზრდის მონაცემთა სუბიექტისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ადვოკატმა ზედმიწევნით შეასრულოს კანონმდებლობის მოთხოვნები და ლგბტ+ პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები გაასაჯაროოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

ღია სასამართლო სხდომებზე ადვოკატების მიერ მოწმეთა და დაზარალებულთა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ მონაცემების გასაჯაროებასა და ამ ინფორმაციის გასაჯაროებისკენ მიმართული შეკითხვების დასმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუმცა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად და ღირსების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, ადვოკატებმა უზრუნველყონ პროცესის მონაწილეთა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის ღია სასამართლო სხდომაზე გასაჯაროება ან/და მისი გასაჯაროებისკენ მიმართული შეკითხვების დასმა მხოლოდ კანონიერი მიზნითა და პროპორციული მოცულობით.

VIII. ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვის დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვა

შესავალი

სასამართლოში საქმის განხილვა უკავშირდება საქმის მონაწილე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რაც ხშირად მოიცავს სენსიტიურ დეტალებს მათი პირადი ცხოვრების შესახებ.

სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისთვის ლგბტ+ პირებისთვის არსებითია მათი პერსონალური მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიების შექმნა სასამართლოში.

გამოვლენილი ხარვეზები

როგორც ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, ლგბტ+ თემის წევრებს სასამართლოში საქმეების განხილვისას აქვთ პერსონალური მონაცემების დაცვის პრობლემა, ვინაიდან ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი ე.წ. იძულებითი ქამინგ აუთისაგან დაცვის მექანიზმებს.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის წარმართვის შესაძლებლობას პერსონალური

მონაცემების დაცვის მიზნით,[16] შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები სასამართლოში უმეტესად წარიმართება ღია სასამართლო სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ, პერსონალური მონაცემების, საიდუმლოების დაცვის მიზნით).

„არ მქონია შემთხვევა, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს დაეკმაყოფილებინოს სხდომის დახურვის შესახებ დაყენებული შუამდგომლობა ლგბტ+ პირის საქმეზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხი ეხებოდა ე.წ. ქამინგ აუთით მიყენებულ ზიანს, თუ სხვა განსაკუთრებით სენსიტიურ საკითხებს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეებს, ტრანსგენდერი კაცის გენდერის სამართლებრივი აღიარების საქმეზე მოსამართლემ გაითვალისწინა მოსარჩელის არასრულწლოვანი შვილების ინტერესები და დააკმაყოფილა შუამდგომლობა სხდომის დახურვის შესახებ. მეორე ანალოგიური შინაარსის საქმეზეც, მიუხედავად იმისა, რომ არ ფიგურირებდნენ არასრულწლოვანები, მოსამართლემ იგივე პრაქტიკა გაავრცელა. თუმცა, ცხადია, ყველა შემთხვევაში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია ვერ იქნება მგრძნობიარე ამ საკითხების მიმართ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდეს დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის წარმართვის შესაძლებლობას, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. ქამინგ აუთი არის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და სასამართლოსთვის მიმართვის ერთ-ერთი მთავარი ბარიერი ლგბტ+ თემში.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

„ტრანსგენდერმა ქალმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ და მოითხოვა კომპენსაცია მისი გენდერული იდენტობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების გამო. მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ სასამართლოს საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ღია სხდომაზე საქმის განხილვის შიშის გამო, ტრანსგენდერი ქალი დასთანხმდა სამედიცინო დაწესებულებასთან მორიგებას, კომპენსაციის სანაცვლოდ.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სხდომის დახურვის გარანტიის არარსებობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე აფერხებს ლგბტ+ პირთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენებას, მათი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შიშის გამო. ხოლო ღია სასამართლო სხდომები, რომლებზეც განიხილება ე.წ. ქამინგ აუთით მიყენებული ზიანისა თუ ლგბტ+ პირთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ხშირ შემთხვევაში ხდება ლგბტ+ პირების ე.წ. იძულებითი ქამინგ აუთის მიზეზი.

16 *„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცალკეული მუხლები ითვალისწინებს დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვას, თუმცა არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლით).

პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალების შემცველი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვის დროს ლგბტ+ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვა, თუ მას მიაჩნია, რომ ამით ილახება მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება.

ამდენად, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გაითვალისწინონ იგივე გარანტია, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული (დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის შესაძლებლობა, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით).

IX. სსიპ – იუსტიციის სახლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

სსიპ – იუსტიციის სახლი, სხვადასხვა საჯარო სერვისის შეთავაზების პროცესში, მათ შორის სახელის/გვარის და/ან სქესის ჩანაწერის შეცვლასთან დაკავშირებით, ამუშავებს (მოიპოვებს, ინახავს) მოქალაქეების პერსონალურ ინფორმაციას. ამასთან, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში აღნიშნული მონაცემების შეცვლის პროცედურა მოიცავს იუსტიციის სახლისთვის/იუსტიციის სახლის ოპერატორისთვის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის წარდგენას და პერსონალური მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებას ოპერატორის მხრიდან, რა დროსაც კომუნიკაციის პროცესში ლგბტ+ პირს შესაძლოა დასჭირდეს თავისი გენდერული იდენტობის, გენდერის დადასტურების ქირურგიული ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება. აღნიშნული მონაცემის უკანონო/შემთხვევითი გამოყენება ან გამჟღავნება შესაძლოა განსაკუთრებული ზიანის მომტანი იყოს ლგბტ+ პირისთვის, მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს ე.წ. ქამინგ აუთი არ აქვს გაკეთებული. ამიტომ, არსებითად მნიშვნელოვანია იუსტიციის სახლმა აღნიშნული მონაცემები დაამუშაოს კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ იუსტიციის სახლის მხრიდან ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდება მონაცემების გამჟღავნების შემთხვევები. ამასთან, არ არის მიღებული ზომები მონაცემების უსაფრთხოების დასაცავად.

კერძოდ, ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა იუსტიციის სახლებში სახელისა და სქესის ჩანაწერის ცვლილებისას ოპერატორთან კომუნიკაციის შინაარსის კონფიდენციალურობის დაცვა. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ოპერატორების სამუშაო მაგიდები (სადაც ხდება მოქალაქეების მიღება და მომსახურება) ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან, რაც პრობლემას ქმნის სახელის ან/და სქესის ჩანაწერის შეცვლის პროცედურის გავლისას. კერძოდ, როდესაც ლგბტ+ თემის წევრი სახელის ან/და სქესის ჩანაწერის შეცვლის სურვილის შემთხვევაში საბუთებს წარუდგენს მომსახურების გამწევ იუსტიციის სახლის ოპერატორს, ოპერატორი მას უსვამს შეკითხვებს, მათ შორის აზუსტებს, ნამდვილად უნდა თუ არა ამ პირს სახელის, სქესის ჩანაწერის შეცვლა და იღებს პასუხებს, რომლებიც ხშირად მოიცავს გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციას ან/და ხაზს უსვამს მას. ეს საუბარი ესმის, მინიმუმ, გვერდით მჯდომ ოპერატორს და მოქალაქეს, რომელსაც აღნიშნული ოპერატორი ემსახურება.

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა იუსტიციის სახლის თანამშრომლის მიერ ლგბტ+ პირის მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნების შესახებ ისაუბრა.

„3-4 წლის წინ იყო ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც ტრანსგენდერი ქალი, რომელსაც სახელი ჰქონდა შეცვლილი, მივიდა იუსტიციის სახლში პასპორტის ასაღებად. ოპერატორი, რომელმაც მომსახურება გაუწია ტრანსგენდერ ქალს, იყო მისი თანასოფლელი. იუსტიციის სახლის ამ თანამშრომელმა მისი შეცვლილი მონაცემისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია გაუმჟღავნა ტრანსგენდერი ქალის მშობლებს, რამაც ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნა მას.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ შესაბამის სივრცეებში ოპერატორების მიერ მოქალაქეთათვის მომსახურების გაწევის პროცესში სსიპ – იუსტიციის სახლს არ აქვს მიღებული მონაცემთა დაცვის სათანადო ზომები. შესაბამისად, ასეთ სივრცეებში მომსახურების მიღება მუდმივად წარმოშობს ლგბტ+ პირების მონაცემების უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების, მოპოვებისა და გამოყენების რისკს. ამასთან, სსიპ – იუსტიციის სახლის თანამშრომლის მხრიდან ფიქსირდება ლგბტ+ პირის მონაცემების გამჟღავნება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არასამსახურებრივი მიზნით, პირადი ინტერესით, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სსიპ – იუსტიციის სახლის თანამშრომლები, რომელთაც სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად აქვთ მინიჭებული წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, ვალდებულნი არიან, დაიცვან კანონის მოთხოვნები და სამსახურში მოქმედი რეგულაციები მონაცემთა კონფიდენციალურობის შესახებ[17]. ამასთან, სსიპ – იუსტიციის სახლმა უნდა შეაფასოს მონაცემთა დამუშავების რისკები და მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მათი უსაფრთხოების დასაცავად.

17 *„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის №875/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 01 ივნისის №434/ს ბრძანება, მე-13 მუხლი. იხილეთ: https://psh.gov.ge/res/editor/chven_shesaxeb/shinaganawesi_-_2020.pdf*

X. პერსონალურ მონაცემთა განახლება სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის ცვლილების დროს

შესავალი

მონაცემთა სიზუსტისა და ნამდვილობის პრინციპი (მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც უნდა გაითვალისწინონ მონაცემთა დამუშავებისას.

ზუსტი და განახლებული მონაცემების დამუშავების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფლება, მოითხოვონ თავიანთი პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, წაშლა და სხვა. კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების შესაბამისად, ამ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი. თუ მონაცემთა დამმუშავებელი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის გარეშე თავად მიიჩნევს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები არასრულია, არაზუსტია ან არ არის განახლებული, მან შესაბამისად უნდა გაასწოროს ან განაახლოს მონაცემები და ეს აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.[18]

მონაცემების სიზუსტე აუცილებელია მონაცემთა სუბიექტების პერსონალური ინფორმაციის სათანადოდ დასაცავად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ლგბტ+ თემის წევრებისთვის განსაკუთრებულად სენსიტიურია სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის ცვლილებისას ამ მონაცემების დროულად გასწორება, რადგან უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული უკავშირდება მათი გენდერული იდენტობის და ე.წ. ქამინგ აუთის საკითხებს.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ლგბტ+ თემის წევრები ერთ-ერთ პრობლემად ასახელებენ სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის ოფიციალურად შეცვლის შემდგომ (კანონმდებლობის შესაბამისად) მათი პერსონალური მონაცემების განახლებას.

კერძოდ, აღინიშნა, რომ სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის შეცვლის შემდგომ მონაცემები საჯარო დაწესებულებების ნაწილში ავტომატურად იცვლება (მაგალითად, ასეთად დასახელდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, სადაც ამომრჩეველთა სიები ახლდება ავტომატურად), ხოლო ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში, რომლებსაც აქვთ წვდომა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე, ეს მონაცემები ავტომატურად არ იცვლება.

მაგალითად, ტრანსგენდერი ქალი, რომელმაც შეიცვალა პირადობის მოწმობის მონაცემები (სახელი, გვარი, სქესის შესახებ ჩანაწერი), ერთ-ერთ ბანკში მივიდა განვადების გაკეთების მიზნით. ბანკში განახლებული იყო მისი მონაცემები, ვინაიდან მას უკვე მიმართული ჰქონდა მონაცემების ცვლილების მოთხოვნით, თუმცა, როდესაც განვადების გაფორმების პროცესში ბანკმა შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია კლიენტის შემოსავლების შესახებ, ბანკს მიეწოდა ინფორმაცია მისი ძველი პერსონალური მონაცემების მითითებით. ტრანსგენდერი ქალის მიმართვის შემდგომ შემოსავლების სამსახურმა, წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ჩაასწორა მისი პერსონალური მონაცემები, თუმცა მისი არასწორი მონაცემების დამუშავებამ საფრთხის ქვეშ დააყენა მისი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახურში, ძველი მონაცემების არსებობის გამო, პრობლემა შეექმნა ტრანსგენდერი ქალის ფინანსურ მენეჯერს თანხების გადარიცხვისას, რადგან მისი ამჟამინდელი პერსონალური მონაცემები არ ემთხვეოდა შემოსავლების სამსახურის ბაზაში დაფიქსირებულ ძველ მონაცემებს.

„ტრანსი მამაკაცი, რომელსაც სახელი ჰქონდა შეცვლილი, მივიდა ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში COVID-19-ის საწინააღმდეგო აცრის ჩასატარებლად. აღმოჩნდა, რომ ბაზაში რეგისტრირებული იყო ძველი სახელით. მონაცემების განსხვავების გამო, კლინიკის თანამშრომელმა დერეფანში, ყველას თანდასწრებით გააჟღერა ტრანსი მამაკაცის ძველი და ახალი სახელის შესახებ ინფორმაცია და იქ მყოფი ადამიანების თანდასწრებით ცდილობდა, გაერკვია, რა მოხდა. მის იდენტობაზე ხაზგასმა იმდენად მძიმე იყო მისთვის, რომ აპირებდა, უარი ეთქვა აცრაზე.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

18 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება შეიძლება, შეიზღუდოს, თუ ამ უფლების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას: სახელმწიფო უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს; საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს; დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას; ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს; მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.*

რაც შეეხება კერძო დაწესებულებებს, ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ მონაცემების განახლების მოთხოვნით კერძო დაწესებულებებს მიმართავენ ინდივიდუალურად. მიმართვის შემთხვევაში (ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე) ზოგიერთი კერძო დაწესებულება უპრობლემოდ ცვლის მონაცემებს (მაგალითად, ბანკები, სასწავლო დაწესებულებები), ხოლო ნაწილი უარს ამბობს მონაცემების განახლებაზე.

თუმცა აღინიშნა, რომ თემის წევრებს, ზოგადად, არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეცვლის შემთხვევაში თავად უნდა მიმართონ კერძო დაწესებულებებს და მოითხოვონ მონაცემების ცვლილება.

„ერთ-ერთ ბანკში მომსახურების მიღებისას ტრანსგენდერ ქალს მიმართეს ძველი პირადობის მოწმობაში დაფიქსირებული სახელით (მამაკაცის სახელით), მაშინ, როდესაც მას 2 წლის წინ ჰქონდა შეცვლილი სახელი და განახლებული იყო ასევე პირადობის მოწმობა. ბანკის მომსახურე პერსონალმა მას ანახა, რომ მათ ბაზაში არ იყო ცვლილება განხორციელებული. თემის წევრს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს მონაცემები იუსტიციის სახლის მიერ არ მიეწოდებოდა ბანკებს და არ ახლდებოდა ავტომატურად ისინი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ლგბტ+ თემის წევრთა (ტრანსი ადამიანების) მიერ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა სააფთიაქო ქსელებში მონაცემთა განახლება. აღინიშნა, რომ სახელის ცვლილებაზე უარს ამბობს ზოგიერთი სააფთიაქო ქსელი იმ მიზეზით, რომ ფასდაკლების ბარათის აღების დროს დაფიქსირებული იყო სხვა სახელი. კერძოდ, გამოკითხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ:

- „პსპ“-ს სააფთიაქო ქსელის მიერ დაყოვნების გარეშე ხდება მათ ბაზაში დაფიქსირებული პერსონალური მონაცემების გასწორება/განახლება;
- „ჯი-პი-სისა“ და „ფარმადეპოს“ საფთიაქო ქსელებში უკვე დარეგისტრირებულ მონაცემებს ვერ ცვლიან, ტოვებენ ბაზაში, თუმცა გასცემენ საგამონაკლისო წესით ფასდაკლების ახალ ბარათს, რომელზეც არ გადმოდის წინა ფასდაკლების ბარათის ისტორია.

  მსგავს შემთხვევაში ტრანსგენდერ ადამიანებს აფრთხილებენ, რომ აფთიაქში მომსახურების მიღებისას წარადგინონ მხოლოდ ახალი ბარათი, რადგან პირადი ნომრის გაცხადებისა და ბაზაში ამ ნომრით გადამოწმების შემთხვევაში (ვინაიდან პირადი ნომერი მიბმულია ძველ მონაცემებზე) დაფიქსირდება ძველი მონაცემები.

  გარდა იმისა, რომ ამის გამო ბევრჯერ ექმნებათ უხერხული პრობლემები, ტრანსგენდერი პირებისთვის ეს დიდი დაბრკოლებაა ფასდაკლების ბარათითა და შეღავათებით სარგებლობის კუთხითაც, ვინაიდან ისინი მუდმივად მოიხმარენ მედიკამენტებს, სახელის ცვლილებაზე უარი კი განაპირობებს, ფაქტობრივად, წინა სახელით დაგროვებული შეღავათების (ქულების) ანულირებას;
- „ავერსის“ საფთიაქო ქსელი არც მონაცემებს ასწორებს და არც ახალ ფასდაკლების ბარათს გასცემს შეცვლილ სახელზე.

საფთიაქო ქსელის მიერ მონაცემთა განახლებაზე უარი უარყოფითად აისახება მედიკამენტების ხელმისაწვდომობაზე – ტრანსგენდერმა პირებმა შესაძლოა, უარი თქვან იმ აფთიაქში მედიკამენტის შეძენაზე, სადაც მათთვის უფრო ხელსაყრელ ფასად არის ეს შესაძლებელი, ხოლო მისი მომსახურებით სარგებლობისას, საფთიაქო ქსელის მიერ მონაცემთა განახლებაზე უარის თქმის გამო, ტრანსგენდერ პირებს აფთიაქში ყოველი ვიზიტისას, ზოგჯერ სხვა პირთა თანდასწრებით, უწევთ იმ სახელის მოსმენა, რომელიც ოფიციალურად აქვთ შეცვლილი. ეს იწვევს მათი გენდერული იდენტობის გამჟღავნებასაც, ე.წ. იძულებით ქამინგ აუთს.

„წინა მონაცემების მუდმივი გახსენება არის ძალიან სტრესული. ტრანსგენდერმა პირმა შეიძლება თავი შეიკავოს აფთიაქისთვის მიმართვისაგან სწორედ იმის გამო, რომ იქ მისი ძველი მონაცემებია დაფიქსირებული.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

აღინიშნა ისიც, რომ თემის წევრები განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ დაწესებულებებს უნდა მიმართონ პერსონალური მონაცემების შეცვლის შემდგომ და რა დოკუმენტები უნდა წარადგინონ მონაცემთა განახლების მიზნით.

დასკვნა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის შეცვლის შემდგომ აღნიშნული მონაცემები საჯარო დაწესებულებების ნაწილში ავტომატურად იცვლება, ხოლო ნაწილი ელოდება მონაცემთა სუბიექტის მიმართვას.

მნიშვნელოვანი ხარვეზები ვლინდება კერძო დაწესებულებებში ლგბტ+ პირთა მონაცემების განახლების მიმართულებით. კერძოდ, სააფთიაქო ქსელების ნაწილი, მონაცემთა სუბიექტის მიმართვის მიუხედავად, უარს აცხადებს პერსონალური მონაცემების განახლებაზე. სააფთიაქო ქსელების უარი მათ ბაზაში მონაცემების განახლებაზე, მათ მიერ მონაცემების არასათანადოდ განახლება ან/და არასწორი მონაცემების დამუშავება, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული უფლებების უხეშ დარღვევას, რაც სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების გარდა, ხშირად ქმნის უხერხულობას, იწვევს თემის წევრების ე.წ. ქამინგ აუთს და დაკავშირებულია სტრესთან, მათი გენდერული იდენტობის შეუსაბამო სახელის მოსმენის გამო, მომსახურების მიღებისას.

ლგბტ+ პირთა უფლებების რეალიზებისა და მონაცემთა სიზუსტის პრინციპის გათვალისწინებით, საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, კერძო და საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ მონაცემების განახლება და სწორი მონაცემების დამუშავება.

ამასთან, მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღოს შესაბამისი ზომები და უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის ცვლილების შემდგომ მონაცემთა სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში განახლების პროცედურების შესახებ.

XI. სამუშაო ადგილზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

შრომითი ურთიერთობების პროცესში კადრების შერჩევის, დასაქმების, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის, ორგანიზაციის უსაფრთხოების დაცვისა თუ სხვა მიზნებით მუშავდება მოცულობითი ინფორმაცია პირის შესახებ, მათ შორის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოსურათი, განათლების, კვალიფიკაციის, შეფასების შესახებ ინფორმაცია, ნასამართლობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები და სხვა. პირის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში. ამიტომ, არსებითად მნიშვნელოვანია შრომითი ურთიერთობის პროცესში ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების სათანადოდ დამუშავება (შესაბამისი მიზნისა და კანონიერი საფუძვლის არსებობისას) და დაცვა, ვინაიდან ლგბტ+ პირები, გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის გამო, შესაძლოა, გახდნენ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის, ბულინგის მსხვერპლნი. დამსაქმებელმა პატივი უნდა სცეს ლგბტ+ პირთა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს.

გამოვლენილი ხარვეზები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პირთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სამუშაო ადგილზე თემის წევრები იძულებული არიან, დაფარონ ინფორმაცია თავიანთი სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ, ვინაიდან ამ ტიპის პერსონალური მონაცემის

იდენტიფიცირება, როგორც წესი, არის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო დასაქმების შემდგომ ამ ინფორმაციის გავრცელება (რომლის წყარო შეიძლება იყოს სხვა თანამშრომელი) ხდება სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი.

დასახელდა არაერთი შემთხვევა, როცა ლგბტ+ თემის წევრი სამსახურიდან გაათავისუფლეს იმის გამო, რომ სამუშაო ადგილზე გავრცელდა ინფორმაცია პირის სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის შესახებ. თუმცა, როგორც წესი, გათავისუფლების ოფიციალური მიზეზი ყოველთვის არის სხვა და დამსაქმებელი არასოდეს ასახელებს აღნიშნულს გათავისუფლების რეალურ საფუძვლად. აღინიშნა ისიც, რომ ზოგჯერ თემის წევრი იძულებული ხდება, ამ ნიშნის გამო, სამსახურში შექმნილი მტრული გარემოს გათვალისწინებით, თავად დატოვოს სამსახური.

„თანამშრომელმა მის კოლეგა ტრანს ქალს სოციალურ ქსელში აღმოუჩინა ქალის ანგარიში (ის მუშაობდა, როგორც ბიჭი, თუმცა სოციალურ ქსელში ანგარიში გაკეთებული ჰქონდა, როგორც ქალს) და სამსახურში ყველას მოუყვა ამის შესახებ. ბულინგის გამო, ის იძულებული გახდა, წამოსულიყო სამსახურიდან.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„თემის ერთ-ერთმა წევრმა სამსახური დატოვა იმის გამო, რომ მას სამსახურში შეექმნა მძიმე გარემო, მას შემდეგ, რაც კოლეგებს გაანდო ინფორმაცია თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. სწორედ ამის გამო, ძალიან ბევრი ცდილობს არ გაამჟღავნოს ეს პერსონალური მონაცემები, სამსახურის შენარჩუნების მიზნით.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

დასახელდა ისეთი შემთხვევაც, როცა გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შემდგომ გათავისუფლების რეალური მიზეზი პირდაპირ უთხრა ხელმძღვანელმა ტრანსგენდერ ქალს.

„ჩემი მეგობარი ტრანსი ქალი, რომელმაც ე.წ. ქამინგ აუთი გააკეთა, ხელმძღვანელობამ გამოუშვა სამსახურიდან, იმ მიზეზით, რომ კლიენტები მსგავსი ადამიანისგან მომსახურების მიღებას არ ისურვებდნენ. ძირითადად, ტრანსებს საერთოდ არ ასაქმებენ.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ დამსაქმებელი ორგანიზაციები ხშირად ათავისუფლებენ ლგბტ+ პირს სამსახურიდან, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალური მონაცემების დამუშავება მიზნად არ უნდა ისახავდეს და არ უნდა იწვევდეს შრომითი ურთიერთობების პროცესში რაიმე სახის დისკრიმინაციას.

თანამშრომლის მიერ მეორე თანამშრომლის გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით კი აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნით დამუშავებაზე, თუ მათი დამუშავება არ უკავშირდება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.[19]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ორგანიზაცია, ასევე ორგანიზაციის თანამშრომლები, სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მონაცემების დამუშავებისას ვალდებულნი არიან, პერსონალური მონაცემები დაამუშაონ მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

19 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლი. იხილეთ: https://matsne.gov.ge/document/view/1561437?publication=23*

XII. მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

შესავალი

მედიასაშუალებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ აქვთ ვალდებულება, მიაწოდონ საზოგადოებას ყველა ინფორმაცია და გააცნონ ის საკითხები, რომლებიც მათ აინტერესებთ, თუმცა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური.[20] ამიტომ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დაბალანსებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტური საქმიანობისას, განსაკუთრებით ლგბტ+ პირთა ინტერვიუების გაშუქების, მათ შესახებ სიუჟეტების, რეპორტაჟების, გადაცემების მომზადებისას, ამ ჯგუფის მოწყვლადობისა და მათი სტიგმატიზების საფრთხის გათვალისწინებით.

არსებული გამოწვევები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ლგბტ+ თემის წევრებმა და ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს მედიასაშუალებების მხრიდან ლგბტ+ პირთა მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

20 *საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლი. იხილეთ: https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36*

კერძოდ, თემის წევრთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ბოლო დროს მედიამ გაუმჯობესა ლგბტ+ თემის წევრების საკითხების გაშუქების სტანდარტი, თუმცა კვლავ რჩება პრობლემები ამ სფეროში. აღინიშნა, რომ მედიას უყვარს ლგბტ+ თემის საკითხების იმაზე მძაფრად გაშუქება, ვიდრე რეალურად არის. სწორედ ამ მიზნით ხდება ხოლმე თემის წევრების პერსონალური მონაცემების გასაჯაროება.

გამოკითხულებმა დაასახელეს მედიის მიერ რეპორტაჟის, გადაცემის გაშუქებისას თემის წევრების პირდაპირი თუ არაპირდაპირი იდენტიფიცირების რამდენიმე მაგალითი, მათ შორის ნამდვილი სახელისა და გვარის მითითების გზით, რამაც ფართო საზოგადოებისთვის გახადა ცნობილი ინფორმაცია მათი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის შესახებ.

„ერთ-ერთ შოუში მიწვეული ჰყავდათ ტრანსგენდერი ქალი, რომელიც მისი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციას მალავდა თავის სოფელში. იგი ვიზუალურად ისეთი შეცვლილი იყო, რომ ვერავინ იცნობდა. გადაცემის მსვლელობისას ტიტრებში დაიწერა ამ ტრანსგენდერი ქალის ნამდვილი სახელი და გვარი. სწორედ ამ გზით გახდა ცნობილი მისი ოჯახისა და თანასოფლელებისთვის მისი გენდერული იდენტობის შესახებ. იგი ამ რეპორტაჟის შემდეგ სოფელში ვეღარ ჩადიოდა.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა გაიხსენა რამდენიმე წლის წინ მომხდარი ფაქტი, როდესაც სატელევიზიო შოუში გასული მასალის საფუძველზე გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაცია მისი გენდერული იდენტობის შესახებ.

„ჩემი მეგობარი მიიწვიეს ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში, რომელიც შეეხებოდა ლგბტ+ თემის მიმართ დამოკიდებულებებს. გადაცემის ჩაწერაზე მე გავყევი ჩემს მეგობარს, როგორც სტუმარი. ამასთან, ვუთხარი შოუს წამყვანს, რომ მე საერთოდ არ უნდა გამოვჩენილიყავი კადრში. გადაცემის ჩაწერისას მოხდა ინციდენტი, კერძოდ, გადაცემის ერთ-ერთი მონაწილე შეურაცხყოფას აყენებდა ლგბტ+ თემის წარმომადგენლებს, რის გამოც კამათში ჩავერთე მე. გადაცემამ სატელევიზიო ეთერში სრულად გაუშვა ინციდენტი, სადაც ვჩანდი მეც, ჩემი ჩაცმულობაც. გადაცემა ხელმისაწვდომს ხდიდა ჩემს გენდერულ იდენტობას, რომ მე ვიყავი ტრანსგენდერი ქალი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

დამატებით აღინიშნა ერთი შემთხვევა, როდესაც ტრანსგენდერი ქალის სუიციდის მცდელობა მედიამ გააშუქა იდენტიფიცირებადი ფორმით.

ერთ-ერთ პრობლემად მიუთითებენ თემის წევრების არასათანადო წესით დაბლარვას, რაც მარტივად ხდის შესაძლებელს პირის ამოცნობას. აღინიშნა ისეთი ფაქტის შესახებაც, როდესაც ჟურნალისტისაგან ლგბტ+ თემის წევრმა მიიღო მისი სახის დაფარვის/დაბლარვის, ასევე ხმის შეცვლის გარანტია, თუმცა ეს დაპირება არ შესრულდა.

„რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობას იღებდნენ თემის წევრები, რომლებსაც უნდა მოეყოლათ მათი პირადი ისტორიები. შეთანხმების თანახმად, მათი ვიზუალი უნდა ყოფილიყო დაბლარული და ხმა შეცვლილი. როდესაც გამოვიდა გადაცემის ანონსი, ისეთი ბლარი ედო კადრს, რომ მარტივად იყვნენ თემის წევრები იდენტიფიცირებადი, არც ხმა იყო შეცვლილი. ეს პრომო ხელმისაწვდომი იყო დაახლოებით 2 საათის განმავლობაში, ვიდრე არ მოხდა გადაცემასთან დაკავშირება და მისი ჩანაცვლება.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ზოგჯერ მედია არ აჩვენებს ლგბტ+ თემის წევრის სახელსა და გვარს, ვიზუალურ გამოსახულებას, თუმცა სიუჟეტში აღწერილია ისეთი დეტალები, რომლებიც მარტივად ხდის შესაძლებელს თემის წევრის იდენტიფიცირებას.

„რამდენიმე თვის წინ ხუთი ტრანსგენდერი ადამიანის თავდასხმის ფაქტზე მომზადებულ სიუჟეტებში იმდენად დეტალურად იყო აღწერილი თავდასხმის ადგილი და მიმდებარე სივრცე (რომელიც ამავდროულად იყო ტრანსგენდერი ადამიანის საცხოვრებელი ადგილი), რომ დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა ტრანსგენდერი ადამიანის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

ასევე მიუთითებენ, რომ მედიის მიერ ლგბტ+ თემის წევრის საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, ქუჩა, სახლი, ბინა, ეზო) პირდაპირ არის ხოლმე ნაჩვენები და მარტივად ამოსაცნობია, თემის რომელ წევრზეა საუბარი. აღინიშნა ისიც, რომ საცხოვრებელი ადგილის ჩვენება საფრთხის შემცველია არა მხოლოდ თემის წევრებისთვის, არამედ იმ ადამიანებისთვისაც, რომლებმაც ფართი, საცხოვრებელი ადგილი მიაქირავეს/სარგებლობაში გადასცეს თემის წევრებს.

„ბოლო შემთხვევა იყო ახლახან, ასაკოვან ქალს მის სახლში შეფარებული ჰყავდა ტრანსგენდერი ქალები. აღნიშნული ბინის მეპატრონემ მედიის წარმომადგენლებს დაუფიქსირა, რომ არ სურდა, ახლო ნათესავებს გაეგოთ ამის შესახებ და იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა გადაღებას, თუ არ გამოჩნდებოდა სიუჟეტში მისი სახე და არ იდენტიფიცირდებოდა სახლი. თხოვნის მიუხედავად, ისე გაშუქდა სიუჟეტში სახლი, რომ ეს ქალბატონი იცნეს მისმა ნათესავებმა, რის გამოც ურეკავდნენ და ლანძღავდნენ მას. მაშინ, როცა არსებობს თემის წევრებზე ძალადობის საფრთხე, მსგავსი ფაქტები პრობლემურია მათთვის. ეს პრობლემას ქმნის ასევე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ტრანს ადამიანებზე აქირავებენ ბინას, მით უფრო იმ პირობებში, როცა უდიდესი გამოწვევაა თემის წევრების მიერ ბინის ქირაობა.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ორ ლესბოსელ ქალს დაესხნენ თავს. სოციალურ ქსელში დაიდო ამაზე ინფორმაცია, რასაც მოჰყვა კიდევ უფრო მეტი აგრესია საზოგადოების მხრიდან, მძიმე კომენტარები, რომ მოსაკლავები არიან და ა.შ. თემის წევრებმა, მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მედიასთან ურთიერთობაზე/ინტერვიუზე თქვეს უარი. მედიამ მათგან დამოუკიდებლად დაადგინა ლესბოსელი ქალების ადგილსამყოფელი და მივიდნენ ადგილზე. თან ძალიან ბევრი იყვნენ და თითქმის მთელმა სამეზობლომ გაიგო, რა საკითხზე იყვნენ მისულები. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთ ლესბოსელ ქალს მასთან ერთად არასრულწლოვანი ბავშვი ჰყავდა. სიუჟეტებში ხელმისაწვდომი გახდა ლესბოსელი ქალების საცხოვრებელი ქუჩა, სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი. ამასთან, კადრები ვითომ დაბლარული იყო, თუმცა პირების იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი. ვინც ნახავდა ამ კადრებს, ყველასთვის იდენტიფიცირებადი გახდებოდა ეს ორი ადამიანი და თუ ვინმემ არ იცოდა მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, შეიტყობდა ამ კადრებით. მათ მოუწიათ საცხოვრებელი მისამართის შეცვლა.“ – ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელი.

გამოკითხულთა მიერ ასევე აღინიშნა, რომ მაშინ, როცა თემის წევრების უსაფრთხოებისა და მათზე თავდასხმის პრევენციის მიზნით, თემის წევრების მონაწილეობით ღონისძიებები და შეკრებებიც კი უმეტესად გასაიდუმლოებულია, მედიას ზოგჯერ გაუსაჯაროებია მათი ადგილსამყოფელი (მაგალითად, აქციის გაშუქებისას მედიის წარმომადგენლებს გაუმჟღავნებიათ ლგბტ+ თემის წევრების შეკრების, გადაადგილების/ლოკაციის შესახებ ინფორმაცია და ძალადობრივი ჯგუფებისთვის (მაგ.: „ქართული მარშისთვის“), რომლებიც ეძებდნენ თემის წევრებს, ხელმისაწვდომი გაუხდია ეს ინფორმაცია).

აღინიშნა, რომ მედია ლგბტ+ თემის საკითხების გაშუქებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, ვინაიდან, თემის წევრის თანხმობის შემთხვევაშიც კი ძალიან დიდი რისკის მატარებელი შეიძლება იყოს ამოსაცნობი ფორმით საკითხის გაშუქება. მითითებული იქნა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მედიასთან ითანამშრომლა თემის წარმომადგენელმა, თუმცა შემდგომ ამ უკანასკნელმა მოითხოვა მედიის მიერ გაშუქებული მასალის/ჩანაწერის წაშლა, ვინაიდან

მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვა ბევრი უარყოფითი კომენტარი. ამასთან, ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა იმ ადამიანებისთვის, რომლებთანაც არ ჰქონდა ე.წ. ქამინგ აუთი გაკეთებული ლგბტ+ თემის წევრს.

„წინასწარ კი რთულია იმის გაცნობიერება, რა რეაგირება შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს და როგორი ფსიქოლოგიური ზიანი შეიძლება მიადგეს თემის წევრს მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებით.“ – ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ წარმომადგენელი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ მედიის/ჟურნალისტების მხრიდან ხშირად ხდება ლგბტ+ პირთა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, მათ შორის აღნიშნულ პირთა თანხმობის გარეშე, არასათანადო მოცულობით და ფორმით (სიუჟეტში, რეპორტაჟში, გადაცემაში ლგბტ+ პირის გამოსახულების, ხმის არასათანადო წესით დაბლარვა; ზოგჯერ მისი სახელის/გვარის მითითება; საცხოვრებელი ადგილის/საცხოვრებელ ადგილის/ბინის, მისი მიმდებარე ტერიტორიის, ასევე, სხვა ადგილსამყოფლის შესახებ დეტალების გაშუქება; კონფიდენციალურობის დაცვის დაპირების მიუხედავად, გადაცემაში ლგბტ+ პირის ამოსაცნობი ფორმით ჩვენება; სიუჟეტში ლგბტ+ პირის სუიციდის მცდელობის იდენტიფიცირებადი ფორმით გაშუქება).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მედიასაშუალებებზე გავრცელების შეზღუდვის მიუხედავად,[21] მნიშვნელოვანია, მედიასაშუალებებმა (ჟურნალისტებმა) შეასრულონ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები, ფიზიკური პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის[22] მე-10 პრინციპის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და იგი არ უნდა შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.[23]

ჟურნალისტებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ლგბტ+ პირებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისას და დაიცვან ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, რათა არ მოხდეს სხვის პირად ცხოვრებაში დასაბუთებული აუცილებლობის გარეშე შეჭრა, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება ლგბტ+ პირების მეტად სენსიტიური საკითხების გაშუქებას.[24]

განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც, ლგბტ+ პირის პერსონალური მონაცემები არ უნდა გასაჯაროვდეს პირის თანხმობის გარეშე. ამასთან, მნიშვნელოვანია, ჟურნალისტებმა გაითვალისწინონ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების მეთოდი. ინფორმაციის გავრცელებამდე აუცილებელია, ჟურნალისტმა სათანადოდ გააანალიზოს, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ლგბტ+ პირისთვის ინფორმაციის გასაჯაროებას და ამ ინფორმაციის ლგბტ+ პირის პირად ცხოვრებაზე პოტენციური ზემოქმედების რისკის შეფასების შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების/არგასაჯაროების შესახებ.

---

21 *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის (გარდა მე-17 მუხლისა) მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე.*

22 *საქართველოში 2009 წლიდან მოქმედებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. იხილეთ: https://www.qartia.ge/ka/qartia*

23 *ქარტიის პრინციპები. იხილეთ: https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula*

24 *ბალანსის პრაქტიკის შექმნის პროცესში განსაკუთრებული როლი ჰკისრია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, როგორც თვითრეგულირების მექანიზმს.*

XIII. თემის წევრების მიერ პირადი მიზნით პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება და მათი ცნობიერება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე

შესავალი

ლგბტ+ თემის წევრები ხშირად ერთმანეთის შესახებ ფლობენ იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე ეს გარეშე პირებისთვის არის ხელმისაწვდომი. ლგბტ+ პირთა უფლებების რეალიზების, მათი ე.წ. იძულებითი ქამინგ აუთისგან დაცვის და აღნიშნულის თანმდევი შედეგების (რაც ხშირად უკავშირდება ძალადობას, სიცოცხლის მოსპობის მუქარას, საცხოვრებელი ადგილის დატოვებას, სამსახურიდან გათავისუფლებას და ა.შ.) თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია ლგბტ+ თემის წევრებმა გააცნობიერონ გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის შესახებ სენსიტიური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნებას ან გასაჯაროებას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, ლგბტ+ პირები ფლობდნენ სათანადო ცოდნას პერსონალურ მონაცემთა შესახებ.

არსებული გამოწვევები

ლგბტ+ თემის წევრების მიერ მონაცემების გასაჯაროება/გამჟღავნება

ლგბტ+ თემის წევრები და ასევე, ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ძალიან ხშირია თემის წევრების მიერ პირადი მოტივებით, ერთმანეთის სექსუალური ორიენტაციისა თუ პირადი ცხოვრების სხვა დეტალების შესახებ

ინფორმაციის გამჟღავნება, გასაჯაროება. ლგბტ+ თემის წევრები ერთმანეთის ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებს, დამსაქმებელსაც კი უმჟღავნებენ თემის სხვა წევრების გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციას და ზოგჯერ, ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად სოციალური ქსელის საშუალებით უგზავნიან ამ ინფორმაციის დამადასტურებელ ფოტოებს.

ე.წ. ქამინგ აუთის შემთხვევების ნახევარზე მეტი ხორციელდება ლგბტ+ თემის წევრების მხრიდან. პერსონალური მონაცემების გასაჯაროების მუქარა, შანტაჟი არის ჩვეულებრივ მიღებული თემში.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

„თემის ერთმა წევრმა მეორის დედას მისწერა, რომ შენს შვილს ბიჭები მოსწონსო. ამ შემთხვევაში მშობელმა არ დაიჯერა ეს ფაქტი. მონაცემების გამჟღავნების მიზეზი ძირითადად არის ხოლმე შურისძიება, გაბრაზება.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

თემის წევრები ასევე ავრცელებენ ერთმანეთის სამედიცინო დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას.

„შიდსის დიაგნოზთან მიმართებით უფრო მეტად აცნობიერებენ თემის წევრები, რომ ამ მონაცემებზე საუბარი არ არის სწორი. თუმცა, ისინი თავისუფლად საუბრობენ სხვა დაავადებებზე. საერთოდ არ აქვთ შეგრძნება, რომ ეს შესაძლოა იყოს სხვისი პერსონალური მონაცემი.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ზოგჯერ პერსონალურ მონაცემებს (ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციის შესახებ, სამედიცინო დიაგნოზის შესახებ) თემის წევრები ერთმანეთის შანტაჟისთვის იყენებენ.

„არის ამ სახის მუქარები – „თუ ამას არ გააკეთებ, მე გავასაჯაროებ ინფორმაციას შენი დაავადების, სექსუალური ორიენტაციის შესახებ.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

აღინიშნა, რომ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ სხვა მონაცემების (მაგ.: აივ სტატუსის შესახებ ინფორმაციის) გავრცელებისას მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შემთხვევაში თემის წევრები მიმართავენ ხოლმე საგამოძიებო ორგანოს. ასეთ ფაქტებზე გამოძიება იწყება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა). საგამოძიებო ორგანოს მიმართავენ, ასევე, ლგბტ+ თემის წევრების ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების გახმაურების მუქარით გამოძალვის შემთხვევებზეც. ამასთან, გამოკითხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ ამგვარი მიმართვები არ არის ხშირი, ვინაიდან თემის წევრები ერთმანეთის მონაცემების გავრცელებისას ან ასეთი მუქარისა და დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისას ცდილობენ, რომ თემის შიგნით, ერთმანეთს შორის მოაგვარონ საკითხი.

2020 წლის 23 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ გაფორმდა მემორანდუმი.[25] აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ გამოქვეყნებული 2020 წლის ანგარიშის თანახმად, 2020 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა) გამოძიება დაიწყო მხოლოდ 3 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო, ამავე კოდექსის 181-ე მუხლით (გამოძალვა)

25 *თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ. იხილეთ: https://www.geostat.ge/media/35290/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98--GEO.pdf*

– გამოძიება სისხლის სამართლის არც ერთ საქმეზე არ დაწყებულა.[26] 2021 წლის ანგარიშის თანახმად, 2021 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა) გამოძიება დაიწყო მხოლოდ 4 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო ამავე კოდექსის 181-ე მუხლით (გამოძალვა) – ასევე, 4 სისხლის სამართლის საქმეზე.[27] აღსანიშნავია, რომ ანგარიშში არ არის დიფერენცირებული და იდენტიფიცირებადი არც ერთ ზემოაღნიშნულ მუხლთან მიმართებით: რამდენი მათგანი შეეხებოდა სექსუალური ორიენტაციის შესახებ მონაცემების ხელყოფას; რამდენი მათგანი შეეხებოდა გენდერული იდენტობის შესახებ მონაცემების ხელყოფას; რამდენი მათგანი შეეხებოდა სექსუალური ორიენტაციის შესახებ მონაცემების გახმაურების მუქარით გამოძალვას და რამდენი მათგანი შეეხებოდა გენდერული იდენტობის შესახებ მონაცემების გახმაურების მუქარით გამოძალვას. ასევე, არ არის დიფერენცირებული, რამდენ შემთხვევაში დადგინდა თემის წევრის მხრიდან ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენის ფაქტი.

ლგბტ+ პირთა ცნობიერება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე

კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დაცვის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრების გამართვის მიუხედავად, თემის წევრების ცნობიერება პერსონალური მონაცემებისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ არის ძალიან დაბალი.

ასევე, ლგბტ+ თემის წევრებს, როგორც წესი, არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, ვის უნდა მიმართონ მათი პერსონალური მონაცემების დარღვევის შემთხვევაში. მათი უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას, რომ არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო, მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის ასეთი ორგანოს არსებობისა და მისი მანდატის შესახებ. ლგბტ+ თემის წევრები მათი უფლებების დარღვევის დროს, ძირითადად, იძახებენ საპატრულო პოლიციას ან უკავშირდებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ პოლიციის მუშაკი არღვევს ეთიკურ ნორმებს. აღინიშნა ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გარშემო განვითარებული მოვლენების შემდეგ უფრო მეტმა ადამიანმა გაიგო პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისა და საზედამხედველო ორგანოს არსებობის შესახებ, თუმცა მათაც არ აქვთ ინფორმაცია საზედამხედველო ორგანოსათვის მიმართვის მექანიზმების (როგორ ხდება მიმართვა, რა პროცედურებია გასავლელი) შესახებ.

ლგბტ+ თემის წევრებმა და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ლგბტ+ თემის წევრების ცნობიერების ამაღლება მონაცემთა დაცვის საკითხებზე. მათი აზრით, ეფექტიანი იქნება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საინფორმაციო გასვლითი შეხვედრების ორგანიზება, რომლებზეც პრობლემები განიხილება კონკრეტული მაგალითებისა და ქეისების მიხედვით.

  ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ძალიან რთულია თემის წევრებისთვის ტრენინგის ორგანიზება და გამართვა, რადგან შესაძლოა, მათი უმრავლესობა არ მივიდეს დაგეგმილ ტრენინგზე. ამიტომ, უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს თემის იმ წარმომადგენლების გადამზადება, რომლებიც თემში აქტიურები არიან და თემის წევრები ენდობიან. მათ პერიოდულად აქვთ შეხვედრები ქვიარ სივრცეებში, სადაც თემის წარმომადგენლებთან ერთად განიხილება სხვადასხვა საკითხი;

- საინფორმაციო ბროშურების დამზადება, რომლებიც შეიძლება განთავსდეს ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების ოფისებში და მათი საშუალე-

26 *დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის 2020 წლის ერთიანი ანგარიში. იხილეთ: https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf*

27 *დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის 2021 წლის ერთიანი ანგარიში. იხილეთ: https://www.geostat.ge/media/43558/diskriminaciis-niSniT_2021.pdf*

ბით მიეწოდოთ თემის წევრებს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობასა და დაცვის შესაბამის მექანიზმებზე;

- საინფორმაციო კამპანია ონლაინსივრცეში – როგორც წესი, ძალიან ბევრი ადამიანი ნახულობს და ამ გზით უფრო ეცნობიან თემის წევრები ინფორმაციას. ეფექტიანი იქნება საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება (და შემდგომ გავრცელება), რომლებიც იქნება არა მხოლოდ გრაფიკული, არამედ შინაარსობრივად დატვირთული და მასში მოცემული იქნება ინფორმაცია მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესახებ;
- საინფორმაციო სტიკერების დამზადება და განთავსება ისეთ სივრცეებში (მაგალითად, ღამის კლუბებში, კაფეებში), სადაც იკრიბებიან თემის წევრები.

დასკვნა

თემის წევრების მიერ ერთმანეთის მონაცემების გასაჯაროება/გამჟღავნებასთან დაკავშირებით (რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა) უნდა აღინიშნოს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე, როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან. ამდენად, აშკარად პირადი მიზნით მონაცემთა დამუშავება, თუ ეს არ უკავშირდება ფიზიკური პირის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას, არ ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროში და შესაბამისად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ამასთან, დანაშაულს წარმოადგენს პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, გამოძალვა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.[28] კვლევამ, მათ შორის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ ანგარიშებმა აჩვენა, რომ თემის წევრები, შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაშიც კი, პერსონალური მონაცემების ხელყოფის ან გახმაურების მუქარით გამოძალვის ფაქტებზე, ნაკლებად მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოს.

ლგბტ+ პირთა პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციისა და მასზე სათანადო რეაგირების მიზნით, მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე, მათ შორის, მის მნიშვნელობაზე, მონაცემთა დაცვის შესაბამის მექანიზმებსა და მონაცემთა ხელყოფის სამართლებრივ შედეგებზე.

28 *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 157-ე, 181-ე მუხლები. იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=241*

XIV. რეკომენდაცია ლგბტქ+ თემის წევრების პერსონალური მონაცემების არაკანონიერად დამუშავების ფაქტებზე

შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი ამ კანონით გათვალისწინებული უფლება, შეუძლია, დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართოს: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს[29] ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

29 *პირველი საზედამხედველო ორგანო საქართველოში, რომელიც ახორციელებდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს, შეიქმნა 2013 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სახით. 2019 წლის 10 მაისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამონაცვლე გახდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. ხოლო, 2022 წლის 1 მარტიდან ამ ფუნქციას ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. იხილეთ: https://personaldata.ge/ka/about-us#*

არსებული გამოწვევები

გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ ლგბტ+ თემის წევრები, პოლიციის მუშაკების/გამომძიებლების მხრიდან მათი მონაცემების უკანონოდ დამუშავების შემთხვევებში, უმეტესწილად არ მიმართავენ რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოს (ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, სასამართლოს), ვინაიდან ამას აღიქვამენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთან დაპირისპირებად. თუმცა, ასეთი სურვილის არსებობისას, მიმართვიანობას აფერხებს ხოლმე შესაბამის ფაქტზე საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა.

რაც შეეხება სამედიცინო პერსონალის მხრიდან გადაცდომას თუ დარღვევას, ასეთ დროსაც ლგბტ+ თემის წევრები, ძირითადად, თავს იკავებენ შესაბამისი ორგანოებისთვის (ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსთვის, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთვის, სასამართლოსთვის) მიმართვისაგან, ვინაიდან ერიდებიან ექიმებთან ურთიერთობის დაძაბვას. კერძოდ, აღინიშნა, რომ თემის წევრების დიდი ნაწილის მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიმართონ კერძო კლინიკის ექიმებს. ამის გამო, მათ მუდმივად უწევთ კონტაქტი იმ კლინიკებთან/ექიმებთან, სადაც სახელმწიფო აფინანსებს გარკვეულ კვლევებს (როგორიცაა, მაგალითად, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“). ამიტომ, ურჩევნიათ, თვალი დახუჭონ ასეთ დარღვევებზე.

„მომსახურე პერსონალისთვის თუნდაც ზრდილობიან ფორმაში მითითება გარკვეულ გადაცდომებზე, იწვევს მათ გაღიზიანებას, უხერხულ კომუნიკაციას და ურთიერთობის გაფუჭებას. სწორედ ამის გამო ხშირად თავი შემიკავებია ამ საკითხის წამოწევისაგან.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

ასევე, აღინიშნა სხვა ბარიერების შესახებაც, რომელთა გამოც შეიძლება, არ მიმართონ შესაბამის ორგანოს.

„უმეტეს შემთხვევაში ლგბტ+ თემის წევრები არ ფლობენ ინფორმაციას პერსონალური მონაცემების შესახებ, მათ შორის, როდის ირღვევა ეს უფლება, რომელ ორგანოს და როგორ უნდა მიმართონ ამ დროს. თუმცა ინფორმაციის არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება, არ მიმართონ თემის წევრებმა შესაბამის ორგანოს, რადგან თემის წევრები ერიდებიან თავიანთი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მეორადად გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სტიგმატიზებასთან.“ – ლგბტ+ თემის წევრი.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა შემთხვევები, როცა ექიმის მიერ პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტზე ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს, თუმცა, ვინაიდან საქმის განხილვა საბჭოში წლების განმავლობაში მიმდინარეობს (2-3 წელი), ლგბტ+ თემის წევრს საქმისადმი ინტერესიც აღარ აქვს. სწორედ ამიტომ თემის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საბჭოსადმი მიმართვა არის არაეფექტიანი და ამ მიზეზის გამოც არიდებენ ხოლმე თავს ამ მექანიზმის გამოყენებას.

კვლევის ფარგლებში ასევე აღინიშნა, რომ ადვოკატების მიერ მონაცემთა უკანონოდ დამუშავების შემთხვევებზეც მიუმართავთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისთვის, თუმცა ასეთ ფაქტებზე მიმართვიანობის მაჩვენებელიც, ზემოაღნიშნული ბარიერების გამო, დაბალია.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ მონაცემთა დამმუშავებლების მიერ ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების არაკანონიერად დამუშავების, მათ შორის გასაჯაროებისა და გამჟღავნების ფაქტებზე დაბალია მიმართვიანობა შესაბამისი ორგანოებისადმი. უმეტეს შემთხვევაში ლგბტ+ თემის წევრები არ ფლობენ ინფორმაციას პერსონალური მონაცემებისა და მათი უკანონო დამუშავებისგან დაცვის მექანიზმებისა და მათი გამოყენების პროცედურების შესახებ, ან ასეთი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, არ აქვთ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ან თავს იკავებენ ამ მექანიზმების გამოყენებისაგან.

ის, რომ ლგბტ+ პირები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას – რა შემთხვევაში ირღვევა მათი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ან/და რა შემთხვევაში შეუძლიათ, დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ორგანოებს, ან ნაკლებად იყენებენ ამ მექანიზმებს, ხელს უშლის მათი კანონით გარანტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების რეალიზებას და მონაცემთა დაცვის სტანდარტის გაუმჯობესებას, პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების შემთხვევებზე ეფექტიანი კონტროლის გზით.

ლგბტ+ პირთა პირადი ცხოვრების პატივსაცემად და პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, მათი ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე, მათ შორის, ამ სფეროში თემის წევრების უფლებების, ამ უფლებების დაცვის მექანიზმებისა და მათი გამოყენების მნიშვნელობის შესახებ.

ამასთან, მნიშვნელოვანია ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების არაკანონიერად დამუშავების ფაქტების განმხილველი ორგანოების თანამშრომელთა გაძლიერება, ამ ტიპის საქმეთა განხილვის თავისებურებებთან დაკავშირებით.

XV. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება

შესავალი

ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციები წლის განმავლობაში თემის ასეულობით წევრს ემსახურებიან და სთავაზობენ სხვადასხვა სახის სერვისს. შესაბამისად, ორგანიზაციები ამუშავებენ მათ პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ეს ორგანიზაციები არიან შუამავლები სხვა დაწესებულებებსა და თემის წევრს შორის, რაც, ასევე, სერვისის მიწოდებას ისახავს მიზნად.

არსებული გამოწვევები

როგორც კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ორგანიზაციებმა მიუთითეს, სწორედ იმიტომ, რომ სენსიტიურ მონაცემებთან აქვთ შეხება, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თემის წევრების მონაცემების უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის საკითხებს: ბენეფიციარებისთვის სერვისების მიწოდებისას, შესაბამის ფორმებში არ მიუთითებენ მათ სახელებსა და გვარებს. იწერება მხოლოდ ინიციალები, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ბენეფიციარი იყოს მომსახურების გამწევისთვის იდენტიფიცირებადი; ცდილობენ, პერსონალური მონაცემები არ იყოს ქაღალდზე და მაქსიმალურად გაციფრულდეს; თემის წევრების შესახებ მონაცემები, როგორ წესი, შეჰყავთ ელექტრონულ პროგრამაში, სადაც მინიმალიზებულია მონაცემების რაოდენობა; მონაცემებზე წვდომა აქვს პირთა შეზღუდულ წრეს, მხოლოდ მკაცრი სამსახურებრივი საჭირო-

ებიდან გამომდინარე; ორგანიზაციები უზრუნველყოფენ შესაბამისი ინვენტარის (მაგ.: სეიფის) შეძენას, რათა სათანადოდ იყოს დაცული ქაღალდზე არსებული მონაცემები; დონორების დახმარებით სხვადასხვა სახის პროექტის განხორციელების დროს, პროექტის ბენეფიციართა სიები თუ შეფასებები მთლიანად კოდირებულია (მაგ.: პირადი ნომრის რამდენიმე ციფრია მითითებული). დონორი ორგანიზაციებიც არასოდეს მოითხოვენ იმ ბენეფიციარების სახელებისა და გვარების მითითებას, რომლებზეც გაიცა დახმარება.

ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტებში განმტკიცებულია კონფიდენციალურობის პრინციპი, რომლის დაცვასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, ბენეფიციარი ფსიქოლოგის სერვისის მიღებისას ხელს აწერს თანხმობის ფორმას თავისი მონაცემების დამუშავების შესახებ. ამავე ფორმაში მითითებულია კონფიდენციალურობის შესახებ. აღნიშნული ხელწერილი ხელმისაწვდომია მხოლოდ მომსახურების გამწევი ფსიქოლოგისათვის და სხვისთვის შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი იმ შემთხვევაში, როცა ეს თემის წევრის სასიცოცხლო ინტერესს ეხება.

ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის დროს ხდება შეთანხმება იმასთან დაკავშირებითაც კი, რომ ქუჩაში ან სხვა გარემოში შეხვედრისას ორგანიზაციის წარმომადგენელმა არ გამოააშკარაოს მათი ნაცნობობა (მაგალითად, არ მიესალმოს), რათა არ მოხდეს ამ პირის თემის წევრად იდენტიფიცირება.

ორგანიზაციების მიერ თემის წევრებთან გამართული შეხვედრების ამსახველი ინფორმაციაც კი დაცულია, მათ შორის ორგანიზაციების გვერდები დახურულია და არ ტვირთავენ შეხვედრების ამსახველ ფოტოებს.

ზემოაღნიშნული ზომების პარალელურად გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციების ნაწილში არ არის დანერგილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა მონაცემთა დამუშავების პროცესი და გაწერილი იქნებოდა მათი დამუშავების საფუძვლები და მიზნები, შენახვის ვადები, მათ დასაცავად მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ამ უფლებების რეალიზების მექანიზმები, მონაცემთა უკანონო დამუშავების შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები/წესები, დამუშავების პროცესში ჩართულ პირთა უფლება-მოვალეობები.

ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ აღინიშნა ისიც, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე თანამშრომელთა ნაწილს გავლილი აქვს ტრენინგი, თუმცა ორგანიზაციაში ახალი თანამშრომლების შედინების პარალელურად, საჭიროდ მიიჩნევენ, ორგანიზაციის თანამშრომელთა გადამზადებას ჰქონდეს სისტემური სახე.

ორგანიზაციებმა მიუთითეს, რომ, ვინაიდან ძალიან ბევრ სენსიტიურ ინფორმაციას ფლობენ, მიესალმებიან არასამთავრობო სექტორის (მათ შორის, რეგიონებში) გაძლიერებას მონაცემთა დაცვის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან მათთან დაცულ პერსონალურ მონაცემებს, საჭიროა თანამშრომელთა პერიოდული გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, მონაცემთა დამუშავების შიდა პროცესების კიდევ უფრო დახვეწა, მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

„არა მხოლოდ ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების, არამედ ზოგადად არასამთავრობო სექტორის გაძლიერებაა საჭირო მონაცემთა დაცვის საკითხებზე, რათა ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს სათანადოდ ჰქონდეს გაცნობიერებული მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა, მათ შორის ორგანიზაციის შიგნით.“ – ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

დასკვნა

ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ დამუშავებული მონაცემების კატეგორიის, შინაარსის, მოცულობისა და მათი უკანონოდ დამუშავების რისკის გათვალისწინებით, საჭიროა ორგანიზაციების გაძლიერება მონაცემთა დაცვის მიმართულებით. რეკომენდებულია: მონაცემთა დამუშავების პროცესების აღწერა, მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, მონაცემთა უსაფრთხოების სათანადო ზომების დანერგვა და ასევე, მონაცემთა დაცვის საკითხებზე თანამშრომლების პერიოდული გადამზადება/მათი ცნობიერების ამაღლება.

XVI. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა

შესავალი

ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების შემთხვევებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს რეაგირების პრაქტიკის გაცნობისა და ანალიზის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან 2022 წლის 27 ივნისს გამოთხოვილ იქნა, ერთი მხრივ, ინფორმაცია 2013 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების შესახებ *(შეუსწავლია თუ არა საზედამხედველო ორგანოს ლგბტ+ თემის წარმომადგენლის პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევები (რაოდენობისა და შედეგების მითითებით))*, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილებები იმ საქმეებზე, რომლებიც ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების ცალკეულ ანგარიშებშია მოხსენიებული, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ შესწავლილი ლგბტ+ თემის წევრების საქმეები. [30]

---

30 *სამართალწარმოების ანგარიში „დისკრიმინაცია და ძალადობა ლგბტქი ადამიანთა მიმართ", „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი" WISG, 2019, გვ.22-23, 24-25, 31-32. იხილეთ: https://women.ge/data/docs/annual-reports/WISG_samartalwarmoebis%20angarishi_2019_GE.pdf*

2018 წლის ეროვნული ანგარიში „გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებების (განსაკუთრებით, ჯანმრთელობის უფლების) დარღვევის შესახებ", მარიამ კვარაცხელია და არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობა", 2019, გვ.10. იხილეთ: http://www.equality.ge/wp-content/uploads/2019/09/GEO_%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-2018.pdf

2019 წლის ეროვნული ანგარიში „გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებების დარღვევის შესახებ", ანა აფციაური და არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობა", 2019, გვ. 21-22. იხილეთ: http://www.equality.ge/wp-content/uploads/2019/12/2019-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო არ აწარმოებს სტატისტიკას ლგბტ+ თემის წარმომადგენლების პერსონალური მონაცემების დამუშავების საქმეების რაოდენობის შესახებ და შესაბამისად, ვერ წარმოადგინეს ინფორმაცია 2013 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე ასეთი საქმეების რაოდენობის შესახებ.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა წარმოადგინა ლგბტ+ პირების იმ საქმეებზე გამოთხოვილი გადაწყვეტილებები დეპერსონალიზებული ფორმით (სულ 5 გადაწყვეტილება), რომლებიც მითითებული იყო ზემოაღნიშნულ ანგარიშებში.[31] მათ შორის, ერთ საქმეზე, რომლის განხილვა დასრულდა საიდუმლო საქმისწარმოების ფარგლებში, სამსახურმა გამოგზავნა მხოლოდ გადაწყვეტილების არასაიდუმლო ნაწილი.

ქვემოთ მოცემულია ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები (საქმეები) დამუშავებული სახით. კერძოდ, ზედმეტი ინფორმაციის დამუშავების გამორიცხვისა და საქმეში არსებული საყურადღებო საკითხების წარმოჩენის მიზნით, საქმეებში მითითებული გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები და თარიღები შეცვლილია/ამოღებულია, მასში მითითებული სამართლებრივი ნორმები კი მოცემულია საქმის განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეული საქმე შედგება რამდენიმე ნაწილისაგან – ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება, ინსპექტორის გადაწყვეტილება.

საქმეები

საქმე №1 – საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 1 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა მოქალაქემ თავისი მშობლებისთვის მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის გამჟღავნების ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით.

აღნიშნული პირი (შემდგომში – განმცხადებელი) მიუთითებდა, რომ ის გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მშობლების მხრიდან, რის გამოც 2018 წლის 17 იანვარს დატოვა სახლი და გადავიდა მეგობართან. 2018 წლის 19 იანვარს მან მიმართა პოლიციას და ფაქტის შეტყობინებისას მოითხოვა, რომ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაცია არ გადასცემოდათ მის მშობლებს (აღნიშნული მოთხოვნა დაფიქსირებული იყო როგორც მის განცხადებაში, ასევე გასაუბრების ოქმში), ვინაიდან არსებობდა მის მიმართ ძალადობის განმეორების საფრთხე. 2018 წლის 22 იანვარს აღნიშნული პოლიციის განყოფილებიდან საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა სხვა განყოფილებაში, სადაც განყოფილების თანამშრომელთან გასაუბრებისას ასევე დააფიქსირა განმცხადებელმა მოთხოვნა ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

2018 წლის 24 იანვარს განმცხადებლის მშობლების მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლის საფუძველზეც მშობლებს აეკრძალათ იმ საცხოვრებელთან, სამსახურსა და ადგილებთან მიახლოება, სადაც იმყოფებოდა მსხვერპლი. შემაკავებელ ორდერში დაფიქსირებული იყო მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაციაც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენისას შეივსო ყველა სავალდებულო ველი, მათ შორის მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის. კანონმდებლობის შესაბამისად

31 *ანგარიშებში მითითებულ საქმეებში განმცხადებლები იდენტიფიცირდებიან, როგორც ლგბტ+ პირები.*

კი, შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი გადაეცა განმცხადებელს (რომელსაც ორდერის ხელმოწერისას რაიმე შენიშვნა/პრეტენზია არ გამოუთქვამს), ხოლო ერთი ეგზემპლარი – მოძალადეებს, რომელთათვისაც სწორედ აღნიშნული შემაკავებელი ორდერიდან გახდა ცნობილი შვილის ფაქტობრივი მისამართი. სამინისტროს განმარტებით, შემაკავებელი ორდერის გაცნობისას განმცხადებელს განემარტა, რომ დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი ასევე გადაეცემოდათ მოძალადეებს.

განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებელმა დამატებით მიუთითა, რომ, მიუხედავად მისი დაჟინებული მოთხოვნისა, მშობლების მიმართ 2018 წლის 24 იანვარს პოლიციის მიერ გამოცემულ შემაკავებელ ორდერში მაინც ჩაიწერა მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი. მისთვის არ განუმარტავთ შემაკავებელი ორდერის შინაარსი და მიუხედავად იმისა, რომ ხელი მოაწერა ორდერს, არც კი შეუნიშნავს, მასში ასახული თუ იყო მისამართი. მშობლებისგან მომდინარე ძალადობისა და თავდასხმის განმეორების შიშის გამო, ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, სრულად გაეაზრებინა ყველა პროცესუალური დეტალი, რომელიც პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს, მათ შორის შემაკავებელ ორდერში მისამართის მითითების შემთხვევაშიც. ამასთან, მას წინასწარ ჰქონდა გაცხადებული პოლიციისთვის, რომ მშობლებისთვის არ მიეწოდებინათ ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაცია, თუმცა, მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა, პოლიციელებმა ვერ შეძლეს, სათანადოდ შეეფასებინათ ინფორმაციის გამჟღავნების რისკი, რითაც საფრთხე შეუქმნეს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ის გათვალისწინებულია კანონით ან/და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე, ამ კანონით დადგენილი წესით – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად კი, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელ ორდერში მიეთითება: მისი გამოცემის თარიღი და ადგილი; გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას; მოძალადის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი; იმ მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მოძალადეს, მათ შორის, მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდების საკითხი, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა; მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურსა და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხი, ასევე, სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის. შემაკავებელ ორდერში შესაძლებელია, მიეთითოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა მოქმედების აკრძალვა, ძალადობის ფაქტის ადეკვატურად. შემაკავებელი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე. იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ჰბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს, ერთი ეგზემპლარი კი რჩება მის გამომცემ ორგანოში.

ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები დამტკიცებულია „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 2 ივლისის №491 ბრძანებით და შეიცავს საინფორმაციო ველებს მსხვერპლის დემოგრაფიული მონაცემების, მათ შორის მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

აღნიშნულ სამართლებრივ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, ინსპექტორმა აღნიშნა, რომ სამართალდამცველების მიერ მოძალადეებისთვის დაწესებული აკრძალვის შინაარსიდან გამომდინარე, მათთვის მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ანუ იმ ტერიტორიის დაკონკრეტება, სადაც მათ ეკრძალებოდათ მიახლოება, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ლეგიტიმურად და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად მონაცემთა დამუშავების საფუძვლად.

თუმცა ინსპექტორმა აქვე აღნიშნა, რომ ვინაიდან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (ისევე, როგორც №491 ბრძანება) არ მოითხოვს შემაკავებელ ორდერში მსხვერპლის ყველა დემოგრაფიული მონაცემის, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის, სავალდებულო წესით და სრულად მითითებას, ამასთან, შემაკავებელ ორდერში (ასევე შემაკავებელი ორდერის ოქმში) მსხვერპლის პერსონალური მონაცემების მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, ასევე, სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოძალადის მიმართ შერჩეულ დროებითი ღონისძიებების სახეზე, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრისას, შემაკავებელ ორდერსა და შემაკავებელი ორდერის ოქმში მსხვერპლის მონაცემების მითითებისას (გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება მოძალადისთვის) მნიშვნელოვანია, სამართალდამცავმა ორგანომ ინდივიდუალურად და სათანადოდ შეაფასოს მსხვერპლის ნება და ინტერესი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ მონაცემის (მაგ: საცხოვრებელი მისამართის) კონფიდენციალურობა შესაძლოა წარმოადგენდეს მსხვერპლის უსაფრთხოებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის დამატებით საშუალებას. ამასთან, სამართალდამცავმა ორგანომ ნათლად და გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს მონაცემთა სუბიექტს მისი მონაცემების დამუშავების საჭიროება და შესაძლო შედეგი.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ განცხადების განხილვის ფარგლებში არ დადგინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დარღვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, მიეღო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებისას მოძალადეებისათვის გასამჟღავნებელი მონაცემების მოცულობის შეფასებას, მსხვერპლის სათანადო ინფორმირებას მონაცემთა გამჟღავნების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.[32]

32 *საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის №81 ბრძანებით განახლდა შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები, რომლებიც აღარ ითვალისწინებს მსხვერპლის ფაქტობრივი მისამართის შესახებ ინფორმაციის ველს. იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0*

საქმე №2 – ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში მონაცემების უკანონოდ მოპოვება

ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის ივლისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა მოქალაქემ (შემდგომში – განმცხადებელი), რომელიც მიუთითებდა, რომ რამდენიმე დღის წინ მას სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით დაუკავშირდა დედა და გაუგზავნა ე.წ. სქრინშოთი, რომელშიც ასახული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მისი პერსონალური მონაცემები, მათ შორის 2017 წელს მის მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. განმცხადებლის მოსაზრებით, ზემოთ დასახელებული ე.წ. სქრინშოთი შესაძლოა, მოეპოვებინა და გაევრცელებინა სამინისტროს თანამშრომელს, რომელიც იცნობდა მას და მის ოჯახს.

განცხადების განხილვის ფარგლებში სამინისტრომ განმარტა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატიდან მიღებული წერილის საფუძველზე, ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში განმცხადებლის მონაცემების გადამოწმების კანონიერების შესწავლის მიზნით სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობდა სამსახურებრივი შემოწმება. აღნიშნული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 27 ივნისს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში განმცხადებლის მონაცემები არასამსახურებრივად დაათვალიერა/მოიპოვა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, მასზე განპიროვნებული ერთჯერადი რიცხვითი პაროლის გენერირების მოწყობილობის (DIGIPASS) მეშვეობით (გადამოწმდა ორჯერ). სამინისტროს მიერ წარმოდგენილ გენერალური ინსპექციის დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში ინსპექტორ-გამომძიებელმა დაადასტურა სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში განმცხადებლის მონაცემების დათვალიერებისა და მოპოვების ფაქტი, თუმცა მოცემული ინფორმაციისთვის ფოტოსურათის გადაღებისა და მესამე პირისთვის გადაცემის ფაქტი ვერ გაიხსენა. აღნიშნული განმარტება არ გაიზიარა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, ვინაიდან ის შესაძლოა, მოგონილი ყოფილიყო პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად. სამინისტრომ ინსპექტორ-გამომძიებლის ქმედება მიიჩნია დისციპლინურ გადაცდომად და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 29 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

განმცხადებელმა, ოჯახის წევრებთან არსებული დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინებით, უარი განუცხადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს, რომ კონტაქტი დაემყარებინათ მის დედასთან და სხვა ნათესავთან, რომლის დახმარებითაც გახდა ზემოაღნიშნული ე.წ. სქრინშოთი ხელმისაწვდომი განმცხადებლის დედისთვის. სწორედ ამ მიზეზის გამო, ინსპექტორმა ვერ შეძლო დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, განმცხადებლის დედისთვის მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

სამართლებრივი შეფასება

განცხადების განხილვის ფარგლებში გამოკვლეული მტკიცებულებებით ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ 2018 წლის 27 ივნისს სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული განმცხადებლის მონაცემები არასამსახურებრივი მიზნით გადაამოწმა სამინისტროს თანამშრომელმა, რაც ინსპექტორმა შეაფასა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავებად.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში განმცხადებლის მონაცემებზე უკანონო წვდომისა და გამჟღავნების ფაქტი, განცხადების განხილვის ფარგლებში, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი მტკიცებულებების სრულად მოპოვება (მათ შორის, განმცხადებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვერ გამოიკითხა და საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე ახსნა-განმარტება ვერ ჩამოერთვა განმცხადებლის

დედას და ნათესავს), რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა განმცხადებლის დედისთვის მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით დამატებითი გარემოებების დადგენა. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე და 237-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ ნაწილში ინსპექტორმა ვერ დაადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე განმცხადებლის მონაცემების მოპოვებისთვის სამინისტროს თანამშრომელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრა.

საქმე №3 – სოციალური ქსელით პაციენტის მონაცემების გასაჯაროება

ფაქტობრივი გარემოებები

მოქალაქის (რომელიც წარმოდგენილი იყო უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით) 2018 წლის 12 თებერვლის განცხადების საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შეისწავლა ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების (შემდგომში – კლინიკა) მიერ მისი (შემდგომში – განმცხადებელი) პერსონალური მონაცემების სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით გასაჯაროების ფაქტი.

როგორც განცხადების განხილვის ფარგლებში შემოწმებით დადგინდა, 2018 წლის დასაწყისში ერთ-ერთი მედიასაშუალების ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც განმცხადებელი აღწერდა ქუჩაში მის ცემასთან დაკავშირებულ და შემდგომ კლინიკაში (განმცხადებლის განმარტებით, კლინიკაში არ აღმოუჩინეს შესაბამისი დახმარება) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ამბებს, თუ როგორ გახდა კლინიკიდან გამოსული ორი უცხო პირის მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი.

სტატიის ინტერნეტსივრცეში გავრცელების შემდეგ კლინიკის Facebook გვერდზე მომხმარებლებმა დაიწყეს კლინიკის გვერდის უარყოფითი შეფასება და კლინიკის მისამართით შეურაცხმყოფელი კომენტარების გამოქვეყნება.

კლინიკა მიიჩნევდა, რომ მედიის საშუალებით განმცხადებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო სიცრუე და რეპუტაციის დაცვისა და მომხდარი მოვლენების შესახებ საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სოციალურ ქსელ Facebook-ის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა კლინიკის გარე ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პოზიცია, რომელშიც მითითებული იყო განმცხადებლის ვინაობა, დეტალურად იყო აღწერილი მისი ცემისა და კლინიკაში მიყვანის ფაქტი, სამედიცინო ჩივილები, მისთვის ჩატარებული კვლევის შედეგი და ექიმების შეფასებები. კლინიკა ასევე მიუთითებდა, რომ განმცხადებელი გარკვეული დროის პერიოდში საჭიროებდა დაკვირვებას დინამიკაში, რაზეც მან და მისმა თანმხლებმა პირებმა უარი განაცხადეს და შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ დატოვეს კლინიკა. კლინიკა წუხილს გამოთქვამდა კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის ფაქტის გამო, ემიჯნებოდა მას და ხაზგასმით უარყოფდა მედპერსონალის მხრიდან პაციენტის შეურაცხყოფას, დამცირებას და მის მიმართ ძალადობას.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. ამასთან, პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ წესს და კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა (მათ შორის, აღნიშნული პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე). ამასთან, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების, მათ შორის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე ითვალისწინებს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 27-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია, დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისას ასევე აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა. კერძოდ, მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად. მონაცემთა დამუშავების მიზანი უნდა იყოს მკაფიო, კონკრეტული და წინასწარ განსაზღვრული და ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა შეფასდეს რამდენად არის ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა.

ინსპექტორმა განმარტა, რომ პირის ინტერესი – დაცული იყოს მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები და თავად აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, მესამე პირისთვის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით. ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამომწურავად განსაზღვრავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, კლინიკის მიერ დასახელებული რეპუტაციის დაცვის ინტერესი ინსპექტორმა არ მიიჩნია განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების საგამონაკლისო შემთხვევად. ინსპექტორმა აღნიშნა, რომ საზოგადოების ინფორმირების მიზნის მიღწევა კლინიკას შეეძლო ნაკლები მოცულობით მონაცემთა დამუშავებითაც ისე, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ თავად განმცხადებელს საჯარო არ გაუხდია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის არც მედია საშუალებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განმცხადებლის მონაცემების სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით გასაჯაროების გამო, კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. კლინიკას ასევე დაევალა

პაციენტების პერსონალური მონაცემის შემცველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, ამასთან, სოციალურ ქსელ Facebook-ის საკუთარ გვერდზე განთავსებული განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი შეტყობინების წაშლა.

საქმე №4 – სტომატოლოგიური კლინიკის მიერ პაციენტის მონაცემების გამჟღავნება

ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 13 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა მოქალაქემ (შემდგომში – განმცხადებელი), უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. განმცხადებლის მითითებით, 2018 წლის 19 იანვარს სტომატოლოგიური მომსახურების მიღების მიზნით მიაკითხა ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკას (შემდგომში – კლინიკა). პროცედურის დასრულების შემდგომ, სამედიცინო ანკეტის შევსების მიზნით, კლინიკის ექიმს (შემდგომში – ექიმი) მიაწოდა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, უთხრა, რომ იყო „აივ“ ინფიცირებული. განმცხადებლის განმარტებით, კლინიკის დატოვებიდან რამდენიმე წუთში კვლავ მიბრუნდა ექიმთან და შეესწრო ფაქტს, თუ როგორ საუბრობდა ის ტელეფონზე მესამე პირთან და ახსენებდა, რომ ჰყავდა „შიდსიანი პაციენტი“.

განმცხადებლის განმარტებით, კლინიკიდან გასვლის შემდგომ, დაახლოებით 10 წუთში, დაურეკეს კლინიკიდან, რა დროსაც კვლავ მოისმინა, თუ როგორ უყვებოდა ექიმი მესამე პირებს, რომ მომსახურება გაუწია „შიდსიან პაციენტს“, რომელიც ასევე იყო ჰომოსექსუალი კაცი (განმცხადებელმა, მისი განმარტებით, წარმოადგინა აღნიშნული საუბრის ჩანაწერი).

განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ ექიმის მიერ შევსებული სამედიცინო ანკეტა, რომელშიც მითითებული იყო მისი ვინაობა, ღია ფორმით იდო მაგიდაზე.

კლინიკის განმარტებით, კლინიკაში განმცხადებლის დაბრუნებისას ექიმი ესაუბრებოდა კლინიკის დირექტორს, რომ ჰყავდა აივ ინფიცირებული პაციენტი, რადგან კლინიკის დირექტორი დროებით წარმოადგენდა ხელსაწყოების სტერილიზაციაზე პასუხისმგებელ პირს. შესაბამისად, მან განმცხადებლის ვინაობის დასახელების გარეშე მიაწოდა კლინიკის დირექტორს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რათა კლინიკის დირექტორს ხელსაწყოების სტერილიზაციის დროს გაეთვალისწინებინა ინფიცირების საშიშროება. ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით განმცხადებლის ხმამაღალი საუბარი ხელმისაწვდომი გახდა კლინიკაში სხვა სამუშაო ოთახში მყოფი კლინიკის თანამშრომლისთვის, რომელსაც ასევე განმცხადებლის ვინაობის დასახელების გარეშე მიაწოდა ექიმმა ზოგადი ინფორმაცია პაციენტის მიერ გამოთქმული პრეტენზიის შესახებ, ხოლო კლინიკის დირექტორის მისვლის შემდგომ სამივე ერთად განიხილავდა კლინიკაში მომხდარ ინციდენტს. საუბრისას განმცხადებლის ვინაობის გამჟღავნება ასევე უარყო კლინიკის დირექტორმა და კლინიკის ზემოაღნიშნულმა თანამშრომელმა. წარმოდგენილი განმარტებებით, განმცხადებლის ვინაობის გამხელის გარეშე განიხილებოდა მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოყენებული ხელსაწყოების სათანადოდ სტერილიზაციის მიზნით. ამასთან, კლინიკამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის სამედიცინო ანკეტა მისი შევსებიდან რამდენიმე წუთში შეინახა დაცულ ადგილას (მაგიდის ქვედა უჯრაში).

განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ექიმსა და მესამე პირებს (დანარჩენ ორ პირს) შორის მიმდინარე საუბრის ჩანაწერით განმცხადებლის ვინაობის დასახელების ფაქტი არ გამოიკვეთა. ისინი განმცხადებლის ვინაობის ხსენების გარეშე განიხილავენ კლინიკაში მომხდარ ინციდენტს.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სპეციალურ წესს. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლი გამონაკლისის სახით ადგენს იმ საფუძვლებს, რა შემთხვევაშიც დასაშვებია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის ან ფუნქციონირებისათვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების, მათ შორის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე ითვალისწინებს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 27-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია, დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელიც აწარმოებს აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პროფილაქტიკას, მხარდაჭერას/ხელშეწყობას ან/და მოვლას, ასევე ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია პირის აივ ინფიცირების/შიდსით დაავადების შესახებ, ვალდებულნი არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, აივ ინფიცირებულს/შიდსით დაავადებულს უფლება აქვს, თავად განსაზღვროს პირი/პირები, რომელსაც/რომელთაც შეიძლება მიეწოდოს ინფორმაცია მისი აივ სტატუსის შესახებ.

აქვე გასათვალისწინებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, რომელიც მონაცემთა დამმუშავებელს აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნებისა და მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირებისთვის იდენტიფიცირებული ფორმით გამჟღავნებისა და პაციენტის სამედიცინო ანკეტის ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით მაგიდაზე განთავსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები. ამასთან, როგორც განმცხადებელი, ასევე, კლინიკა (მათ შორის, ექიმი და კლინიკის თანამშრომელი) წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეებს, რაც საქმის განხილვის პროცესში ზრდის მათი განმარტებების მოპოვებისას კერძო სახის დაინტერესების არსებობის ალბათობას, ხოლო სხვა უტყუარი მტკიცებულებები განცხადების განხილვის ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული *(განმცხადებლის ვინაობის დასახელების ფაქტი არ დგინდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სატელეფონო საუბრის ჩანაწერში).* ამდენად, უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ვერ დადგინდა კლინიკის მიერ 2018

წლის 19 იანვარს განმცხადებლის მონაცემების იდენტიფიცირებული ფორმით გამჟღავნებისა და სამედიცინო ანკეტის ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით მაგიდაზე განთავსების ფაქტი.

რაც შეეხება განმცხადებლის ვინაობის გარეშე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების ფაქტს, ხელსაწყოების სათანადოდ სტერილიზაციის მიზნით, „სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №185 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰყავდეს ინსტრუმენტების/სამედიცინო დანიშნულების საგნების სტერილიზაცია/დეზინფექციაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, უნდა ჰქონდეს გაწერილი ოპერირების წესი/პროცედურა სტერილიზაცია-დეზინფექციისა და გამოყენებაში არსებული სადეზინფექციო საშუალებების სამუშაო ხსნარების შესახებ.

ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაცემთა სათანადო უსაფრთხოება, ასევე, დაიცვას ამავე კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პრინციპები, მათ შორის, მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.

ინსპექტორის შეფასებით, ზემოაღნიშნული დადგენილების ნორმების ანალიზის საფუძველზე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სტერილიზაციაზე პასუხისმგებელი პირისათვის გაზიარების საჭიროება არ არსებობს. შესაბამისად, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, მისი ვინაობის დასახელების გარეშე) შესაბამისი მიზნისა და საჭიროების გარეშე გამოყენება წარმოშობს მონაცემთა არაკანონიერი მიზნით დამუშავებისა და მასზე წვდომის უფლების არმქონე პირთათვის გამჟღავნების საფრთხეს.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

კლინიკას დაევალა, მომავალში მონაცემთა სუბიექტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დაამუშაოს მხოლოდ კანონიერი მიზნით, შესაბამისი საჭიროებისა და აუცილებლობისას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და უსაფრთხოების დაცვით.

საქმე №5 – გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის პირადი მიზნით მოპოვება და გამჟღავნება

ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2019 წლის 11 მარტს განცხადებით მიმართა მოქალაქემ (შემდგომში – განმცხადებელი) წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც მიუთითებდა თავისი თანამშრომლის მიერ მისი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის უკანონოდ მო-

პოვებასა და სხვა თანამშრომლებისთვის გამჟღავნებაზე.[33]

კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, ის იყო ტრანსგენდერი ქალი და დასაქმებული იყო კერძო კომპანიაში. აღნიშნულ კომპანიაში ერთ-ერთმა თანამშრომელმა (შემდგომში – თანამშრომელი) მის მიერ გარკვეული სახელით შექმნილი მომხმარებლის პროფილებიდან, სამუშაო ადგილზე შევიწროების მიზნით, მოიპოვა და დაამუშავა შემდგომ კი ბოროტი განზრახვით გაავრცელა სხვა თანამშრომლებში მისი პირადი ხასიათის ფოტოსურათები და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა რა ფორმით (ზეპირად თუ ფიზიკურად) და ვისთვის მოახერხა თანამშრომელმა მისი ფემინური ფოტოების მიწოდება, განმცხადებლისთვის უცნობია. წნეხისა და შევიწროების გამო, განმცხადებელს პირადი განცხადების საფუძველზე მოუწია კომპანიის დატოვება, რის გამოც არ აქვს კონტაქტი ყოფილ თანამშრომლებთან და არ შეუძლია გაარკვიოს ამ პირების საკონტაქტო ინფორმაცია და გვარები.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებელს სოციალურ ქსელ „ფეისბუქსა“ და „ოდნოკლასნიკში“ რეგისტრირებული ჰქონდა კონკრეტული სახელით პროფილი, სადაც ყოველგვარი აკრძალვის გარეშე, საჯაროდ იყო განთავსებული განმცხადებლის გენდერული იდენტობის ამსახველი ფოტოსურათები. თანამშრომელმა სწორედ ზემოაღნიშნული პროფილების საშუალებით მოიპოვა განმცხადებლის მითითებული ფოტოსურათები.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგინდა დამსაქმებელი კომპანიის მონაწილეობა მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების პროცესში. თანამშრომელი სამსახურებრივად წარმოადგენდა განმცხადებლის ზედამხედველს, თუმცა, მისივე განმარტების თანახმად, სამსახურებრივად განმცხადებელზე ინფორმაციის შეგროვება არ ევალებოდა. თანამშრომელმა განცხადების განხილვის ფარგლებში მიუთითა, რომ განმცხადებლის გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია და ფოტოსურათები (სადაც ის გენდერული იდენტობის შესაბამისად გამოიყურება) მისთვის ხელმისაწვდომი გახდა შემთხვევით, როდესაც პირადი ცნობისმოყვარეობის გამო სოციალურ ქსელებში კონკრეტული სახელით არსებული პროფილის დათვალიერებისას აღნიშნულ პროფილზე ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით, საჯაროდ განთავსებული ფოტოსურათებით ამოიცნო განმცხადებელი. აღნიშნულის შემდეგ მისმა არაერთმა თანამშრომელმა იხილა განმცხადებლის მიერ საჯაროდ განთავსებული ფოტოსურათები.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

ამავე კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს კანონის მოქმედების სფეროს და იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც მონაცემთა დამუშავებაზე არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება და შესაბამისად, ინსპექტორის კომპეტენცია. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე, როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან.

ამასთან, რამდენადაც მონაცემთა დამუშავების ფაქტი შეეხებოდა ერთ დაწესებულებაში დასაქმე-

33 *ინსპექტორის 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელს უარი ეთქვა 2019 წლის 11 მარტის განცხადების განსახილველად მიღებაზე და მისი განცხადება შესაბამისი რეაგირებისთვის გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. 2019 წლის 19 აპრილს ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში განმცხადებლის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 02 აპრილის წერილის თანახმად, ინსპექტორის მიერ გადაგზავნილი განცხადება და დოკუმენტაცია არ შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც აღნიშნულ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნილ იქნა, ინსპექტორს ხელახლა განეხილა 2019 წლის 11 მარტის განცხადება და მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები.*

ბული პირის მიერ ამავე დაწესებულებაში დასაქმებული მეორე პირის მონაცემების დამუშავებას, მონაცემთა დამუშავების საკითხზე მსჯელობისას ინსპექტორმა ასევე გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – ANTOVIĆ AND MIRKOVIĆ v. MONTENEGRO განმარტა, რომ, ვინაიდან ადამიანების უმეტესობისთვის სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს სწორედ სამსახურებრივი ცხოვრების პროცესი, ხშირად შეუძლებელია, მკაფიოდ განისაზღვროს, პირის რომელი ქმედება ექცევა უშუალოდ სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში და რომელი არა. ინსპექტორის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული განმარტება ცხადყოფდა, რომ პროფესიული კავშირი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოირიცხოს პირადი მიზნით მონაცემების დამუშავება, ვინაიდან პირადი ცხოვრება, პირადი ურთიერთობის არსებობა შესაძლებელია სამსახურებრივი საქმიანობის პროცესშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციითა და მტკიცებულებებით არ დადგინდა, რომ მონაცემთა დამუშავების პროცესში თანამშრომელი მოქმედებდა პროფესიული ან კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში, განცხადების განხილვისას გამოვლენილი გარემოებები მიუთითებდა პირადი მიზნით მონაცემების დამუშავებაზე.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

ვინაიდან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული კანონი არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე (როდესაც მათი დამუშავება არ უკავშირდება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას), ინსპექტორმა ვერ შეაფასა მითითებული მონაცემთა დამუშავების შემთხვევა. ამასთან, განმცხადებელს მიეცა რეკომენდაცია, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის 1[1] პუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის, შევიწროების შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით შეეძლო, მიემართა საქართველოს სახალხო დამცველისთვის.

დასკვნა

ინსპექტორის ზემოაღნიშნული 5 გადაწყვეტილების (რომლებიც გამოთხოვილია ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველი ორგანიზაციების მოძიებულ ანგარიშებში მითითებული საქმეების/ინსპექტორისადმი მიმართვის ინფორმაციის გათვალისწინებით) ანალიზი ცხადყოფს, რომ ფიქსირდება ლგბტ+ პირთა მონაცემების უკანონო გამჟღავნებისა და გასაჯაროების ფაქტები, მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და მონაცემების უსაფრთხოების არასათანადოდ დაცვის შემთხვევები.

ამასთან, შესაბამისი სტატისტიკის არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ შესწავლილი ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების სხვა საქმეების შესახებ ინფორმაციის მიღება და ანალიზი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ლგბტ+ თემის წევრთა პრობლემების იდენტიფიცირებისა და საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკის სრულყოფილად გაანალიზების მიზნით, მნიშვნელოვანია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა აწარმოოს და გამოაქვეყნოს სტატისტიკა ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შესწავლილი საქმეების თაობაზე.

ასევე, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა სფეროში არსებობს მთელი რიგი პრობლემები/ხარვეზები ლგბტ+ პირების მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, მათ შორის, მონაცემთა უსაფრთხოების ზომების მიუღებლობის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის, მონაცემების სამართლებრივი საფუძვლისა და კანონიერი მიზნის გარეშე, არასათანადო მოცულობით, ღირსების შემლახავი ფორმით დამუშავების შემთხვევები და სხვა. მონაცემთა დამუშავების პროცესში სისტემური ხარვეზების დიდი ნაწილი გამოიკვეთა ჯანდაცვის სექტორში, განსაკუთრებით, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“, სადაც ლგბტ+ პირები სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში იღებენ უფასო სამედიცინო სერვისებს.

გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მხრიდან არსებითად მნიშვნელოვანია მონაცემთა კანონიერი დამუშავების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარების უზრუნველსაყოფად და მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად, რაც საბოლოო ჯამში მონაცემთა სუბიექტების უფლებების რეალიზებას და მონაცემთა დამმუშავებლების მიმართ ნდობის განმტკიცებას ემსახურება.

შესაბამისად, ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით გამოვლენილი პრობლემების ხასიათის, შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეამოწმოს სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“. ასევე, შემოწმებების გეგმაში გაითვალისწინოს ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი.

XVII. შეჯამება

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პრობლემებისა და გამოწვევების, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკის ანალიზს და მცდელობას, აღნიშნულ პრობლემებზე დაყრდნობით შეფასდეს ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობა საქართველოში. ამავე ანგარიშში გაცემულია რეკომენდაციები მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით.

ლგბტ+ თემის წევრთა და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწოდებული ინფორმაციის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკისა და პერსონალურ მონაცემთა მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზმა გამოავლინა, რომ ყველაზე ხშირად თემის წევრები მათი მონაცემების დარღვევით დამუშავების შემთხვევებს აწყდებიან ჯანდაცვის სექტორსა და სამართალდამცავ სფეროში. ასევე, პრობლემურია: სახელის/გვარის ან/და სქესის ჩანაწერის შეცვლის შემდგომ მონაცემთა დამუშავება და განახლება; ასევე, ფსიქოლოგების, ადვოკატების, სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ ლგბტ+ პირთა მონაცემების უკანონო მოპოვება, გამოყენება, გასაჯაროება, გამჟღავნება; პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლით სხდომების დახურვის გარანტიის არარსებობა ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვის დროს. ბევრ დაწესებულებაში არ არის შექმნილი ლგბტ+ პირების ე.წ. იძულებითი ქამინგ აუთისგან დასაცავად სათანადო გარანტიები. ასევე, ხშირად პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება არაეთიკური, ღირსების შემლახავი ფორმით, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მათ ფსიქიკას. გამოწვევებია, ასევე, მედიასაშუალებების მიერ ლგბტ+ პირთა მონაცემების გასაჯაროების მხრივაც. თემის წევრების მიერ პირადი მიზნით ერთმანეთის მონაცემების გასაჯაროება/გამჟღავნებაც გამოვლინდა სერიოზულ გამოწვევად. მონაცემთა არაკანონიერად დამუშავება ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის თემის იმ წევრებთან მიმართებით, რომლებსაც არა აქვთ გაკეთებული ე.წ. ქამინგ აუთი.

ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზით, ასევე დგინდება, რომ ლგბტ+ პირები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, მათი დაცვის მნიშვნელობისა და მექანიზმების შესახებ. ასეთი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაშიც ნაკლებად რეაგირებენ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავების, ხელყოფის, გახმაურების მუქარით გამოძალვის ფაქტებზე და თავს იკავებენ შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვისაგან.

ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვა მნიშვნელოვანია როგორც მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების, ასევე, სხვა ფუნდამენტური უფლებების რეალიზებისთვის. აღინიშნა, რომ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, აივ სტატუსის შესახებ ინფორმაციისა თუ სხვა პერსონალური მონაცემის გამჟღავნების მრავალი ფაქტისა და შიშის გამო, თემის წევრები თავს იკავებენ, მაგალითად, სამედიცინო დაწესებულებების, სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვისაგან, მაშინ როცა საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლგბტ+ თემის წევრთა მონაცემების დაცვა საჭიროებს სისტემურ მიდგომას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას როგორც მონაცემთა დამმუშავებლების, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მხრიდან.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ საზედამხედველო ორგანო არ აწარმოებს სტატისტიკას ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შესწავლილი საქმეების თაობაზე, რაც შეუძლებელს ხდის ასეთი საქმეების სრულყოფილ ანალიზს.

ასევე, ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველ ორგანიზაციებს მიღებული აქვთ მთელი რიგი ზომები თემის წევრთა მონაცემების დასაცავად, თუმცა, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების ზომების გაძლიერებისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით, საჭიროა ამ მიმართულებით ორგანიზაციების მხარდაჭერა და გაძლიერება.

მნიშვნელოვანია, მონაცემთა შესაბამისმა დამმუშავებლებმა და საზედამხედველო/მარეგულირებელმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ანგარიშში ასახულ მიგნებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დარღვევით დამუშავების შემთხვევები.

ცენტრი იმედოვნებს, რომ ანგარიშით შემოთავაზებულ რეკომენდაციებს გაიზიარებენ მონაცემთა დამმუშავებლები, ზემოაღნიშნული ორგანოები და იგი პოზიტიურად აისახება ლგბტ+ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

XVIII. რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დაევალოთ სამედიცინო დაწესებულებებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დეტალური ინსტრუქციის შემუშავება;
- დაევალოთ სამედიცინო დაწესებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
- დაევალოთ სამედიცინო დაწესებულებებს მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება;
- დაევალოთ სამედიცინო დაწესებულებებს სამედიცინო პერსონალის პერიოდული გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წევრთა, საბჭოს სამდივნოს თანამშრომელთა გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დისკრიმინაციის საკითხებში.

სამედიცინო დაწესებულებებს/მედიცინის მუშაკებს:

- ზედმიწევნით იქნას დაცული პაციენტის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია დამუშავდეს, მათ შორის გამჟღავნდეს, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას;
- პაციენტის წერილობითი თანხმობის მოპოვებისას, მოხდეს მისი სათანადო ინფორმირება პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე;

- პერსონალური მონაცემები დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, პირის ღირსების შეულახავად და მონაცემების მინიმიზაციის პრინციპის დაცვით;
- წერილობით შემუშავდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დეტალური ინსტრუქცია და განისაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;
- უზრუნველყოფილი იქნეს ექიმთან ვიზიტზე ჩაწერის სისტემის ორგანიზება და მართვა, სხვადასხვა პაციენტის ვიზიტებს შორის გონივრული ინტერვალის განსაზღვრა;
- დაინერგოს ექიმთან ვიზიტის მომლოდინე პირებისთვის რიგის ნომრის სისტემა. პაციენტის გამოძახება უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი რიგის ნომრით და არა პაციენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემის მესამე პირთა წინაშე გამოცხადების გზით;
- ექიმთან კონსულტაცია და სხვა სამედიცინო მომსახურება განხორციელდეს იზოლირებულ სივრცეში, მესამე პირების დასწრების გარეშე;
- უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალური დოკუმენტაციის იზოლირებულ ოთახში, საკეტით აღჭურვილ კარადაში ან სხვა სათანადოდ დაცულ საცავში შენახვა, მათზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომის თავიდან ასაცილებლად;
- მკაცრად განისაზღვროს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე და სამედიცინო დაწესებულების პერსონალს მათზე წვდომა მიენიჭოს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო, პროპორციული მოცულობით;
- შემუშავდეს პაციენტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისათვის გამჟღავნების დეტალური წესი, რომელშიც გაწერილი იქნება ინფორმაციის გაცემის პირობები, უფლებამოსილ ადრესატთა წრე, უსაფრთხოების საკითხები და ა.შ.;
- განისაზღვროს მედიცინის მუშაკებისა და სამედიცინო დაწესებულების სხვა თანამშრომლების პასუხისმგებლობა მონაცემთა დამუშავების წესების უგულებელყოფისთვის;
- უზრუნველყოფილი იქნეს მედიცინის მუშაკებისა და სამედიცინო დაწესებულების სხვა თანამშრომელთა მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დადგენილი ინსტრუქციების შესრულების რეგულარული მონიტორინგი;
- უზრუნველყოფილი იქნეს მედიცინის მუშაკებისა და სამედიცინო დაწესებულების სხვა თანამშრომლების პერიოდული გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულმა ცენტრმა“ მიიღოს ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომელიც უზრუნველყოფს აივ ინფიცირებულთა, აივ ინფექციის პრევენციის პროგრამაში ჩართულ პირთა მონაცემების დაცვას შემთხვევითი გამჟღავნებისგან, ე.წ. „დაავადებულთა სივრცის“ გაქრობას;
- სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულმა ცენტრმა“ შეიმუშაოს ისეთი მექანიზმი, რომელიც კვლევის პასუხების პაციენტისთვის გაცნობისას გამორიცხავს ამ პაციენტის მიერ სხვა პაციენტების მონაცემებზე ხელმისაწვდომობას.

ფსიქოლოგებს:

- უზრუნველყოფილი იქნეს კონსულტაციის ფარგლებში ლგბტ+ თემის წევრისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს ლგბტ+ თემის წევრის პერსონალური მონაცემების დამუშავება სამართლიანად და კანონიერად, პირის ღირსების შეულახავად, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის თანხმობით დამუშავების შემთხვევაშიც;

- მონაცემების არაიდენტიფიცირებადი ფორმით გავრცელებისას, მიღებული იქნეს ყველა საჭირო ზომა პირის არაპირდაპირი იდენტიფიცირების გამოსარიცხად (ლგბტ+ პირის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით (მაგ.: პოსტში ან/და ნაშრომში მითითების გზით) გასაჯაროებისას, პირის სახელისა და გვარის მიუთითებლობის შემთხვევაში, ფსიქოლოგი უნდა დარწმუნდეს, რომ გავრცელებული სხვა ინფორმაციით შეუძლებელია კონკრეტული პირის იდენტიფიცირება ან ამ პირთან გავრცელებული ინფორმაციის დაკავშირება არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას საჭიროებს).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ლგბტ+ თემის წევრთა მონაცემების დაცვა და მათი დამუშავება მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას;
- უზრუნველყოფილი იქნეს ლგბტ+ თემის წევრთა მონაცემების კანონიერი მიზნით, სამართლიანად, პირის ღირსების შეულახავად, მხოლოდ საჭირო მოცულობით, მონაცემების მინიმიზაციის პრინციპის დაცვით დამუშავება;
- წერილობით შემუშავდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დეტალური წესები და პროცედურები;
- პროცესის მონაწილეები გამოიკითხონ იზოლირებულ სივრცეში, მესამე პირთა დასწრების გარეშე. სამომავლოდ, სამინისტროს შენობების სივრცითი მოწყობისას გაითვალისწინონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები;
- პროცესის მონაწილეს შეკითხვები დაუსვას და გაესაუბროს მხოლოდ ის გამომძიებელი, რომელიც უშუალოდ ატარებს გამოკითხვას და ადგენს გამოკითხვის/გასაუბრების ოქმს;
- მაქსიმალურად შეიზღუდოს ლგბტ+ პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებელთა რაოდენობა და გამოძიების პროცესში ჩართული იქნეს საქმის სირთულის პროპორციული რაოდენობის გამომძიებელი;
- შემუშავდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენების დეტალური ინსტრუქცია, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მისი გამოყენება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით;
- შემუშავდეს ტრენინგ-მოდული პოლიციის მუშაკებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს გამომძიებლების, ასევე მენეჯმენტის (პოლიციის, სამმართველოს, დეპარტამენტების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების), გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა პერიოდული გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- გამოკითხვის ოქმები და სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები შენახული იქნეს იზოლირებულ სივრცეში, სათანადოდ დაცულ საცავში (საკეტით დაცულ კარადაში, უჯრაში) ისე, რომ მესამე პირებისთვის არ გახდეს ხელმისაწვდომი პროცესის მონაწილეთა პერსონალური ინფორმაცია;
- უზრუნველყოფილი იქნეს სამინისტროს თანამშრომლების მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესების რეგულარული, პროაქტიული მონიტორინგი, სამართალდამცველთა მიერ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრება (მათ შორის, შემუშავდეს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამასა და სხვა ელექტრონულ ბაზებზე არასანქცირებული წვდომის პერიოდული მონიტორინგის ქმედითი მექანიზმი);
- უზრუნველყოფილი იქნეს დეტალური სტატისტიკის წარმოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლზე (რაც შესაძლებელს გახდის შემდეგი ინფორმაციის მოპოვებას – რამდენი მათგანი შეეხებოდა გენდერული იდენტობის ან/და სექსუალური

ორიენტაციის შესახებ მონაცემების გახმაურების მუქარით გამოძალვას, ასევე, მათგან რამდენი იყო ჩადენილი ლგბტ+ თემის წევრის მიერ);

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა მონიტორინგი გაუწიოს ლგბტ+ პირთა მონაწილეობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- მაქსიმალურად შეიზღუდოს ლგბტ+ პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე გამომძიებელთა რაოდენობა და გამოძიების პროცესში ჩაერთოს საქმის სირთულის შესაბამისი პროპორციული რაოდენობის გამომძიებელი;
- ლგბტ+ პირთა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფილი იქნეს თემის წევრთა მიმართ ჩადენილ დანაშაულზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმის ტერიტორიული ქვემდებარეობით სხვა საგამოძიებო დანაყოფისთვის გამოსაძიებლად გადაცემა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოფილი იქნეს დეტალური სტატისტიკის წარმოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლზე (რაც შესაძლებელს გახდის შემდეგი ინფორმაციის მოპოვებას – რამდენი მათგანი შეეხებოდა გენდერული იდენტობის ან/და სექსუალური ორიენტაციის შესახებ მონაცემების ხელყოფას, ასევე, მათგან რამდენი იყო ჩადენილი ლგბტ+ თემის წევრის მიერ).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას/ადვოკატებს:

- ადვოკატებმა, საადვოკატო საქმიანობისას უზრუნველყონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვა და მონაცემთა დამუშავება მხოლოდ ამ კანონში მითითებული საფუძვლების არსებობისას და პრინციპების დაცვით;
- მომზადდეს ადვოკატებისთვის ტრენინგ-მოდული პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს ადვოკატების გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე.

სსიპ – იუსტიციის სახლს:

- უზრუნველყოფილ იქნას ლგბტ+ პირთა პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა და მათი მონაცემები გამჟღავნდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას;
- მიღებული იქნეს იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს იუსტიციის სახლის მომსახურების სივრცეებში მოქალაქეებთან კომუნიკაციის პროცესში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვას;
- უზრუნველყოფილი იქნეს დასაქმებულთა პერიოდული გადამზადება/ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს თანამშრომლების მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის რეგულარული მონიტორინგი, მონაცემებზე არაკანონიერად წვდომის შემთხვევების გამოვლენა და ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სააფთიაქო ქსელებს:

- უზრუნველყოფილი იქნეს ლგბტ+ პირის მიერ განახლებული, შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე მისი მონაცემების განახლება, ყოველგვარი ზედმეტი დაყოვნების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და სწორი მონაცემების დამუშავება.

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს:

- უზრუნველყოფილი იქნეს მონაცემთა სუბიექტებისთვის გზამკვლევის/ბროშურის მომზადება, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სახელის, გვარის ან/და სქესის ჩანაწერის ცვლილების შემდგომ მონაცემთა სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში განახლების პროცედურების შესახებ.

დამსაქმებელ ორგანიზაციებს:

- უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მედიასაშუალებებს:

- დაცული იქნეს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-10 პრინციპი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს მონაცემების დამუშავების საჭიროება;
- განსაკუთრებული სიფრთხილით გაშუქდეს ლგბტ+ თემის წევრთა საკითხები, შეირჩეს მათი გაშუქების ფორმა, მოცულობა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს, რა უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ფორმით ინფორმაციის გასაჯაროებამ ლგბტ+ თემის წევრის პირად ცხოვრებაზე;
- უზრუნველყოფილი იქნეს ლგბტ+ პირის თანხმობის მოპოვება მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისას;
- ლგბტ+ თემის წევრის მონაცემების არაიდენტიფიცირებადი ფორმით გავრცელებისას მიღებული იქნეს ყველა საჭირო ზომა პირის არაპირდაპირი იდენტიფიცირების გამოსარიცხად (გავრცელებამდე ჟურნალისტი უნდა დარწმუნდეს, რომ დამუშავებული მასალით (კადრის დაბლარვით, ხმის შეცვლით) და სიუჟეტში მოცემული ინფორმაციით (საცხოვრებელი ბინა, შენობა, ეზო და სხვა) შეუძლებელია კონკრეტული სუბიექტის იდენტიფიცირება ან მასთან გავრცელებული ინფორმაციის დაკავშირება არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას საჭიროებს).

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას:

- პერიოდულად უზრუნველყოს ჟურნალისტებისთვის ტრენინგების გამართვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე.

ლგბტ+ თემის წევრების უფლებების დამცველ ორგანიზაციებს:

- შემუშავდეს მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დეტალურად დაარეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებსა და პირობებს, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს, თანამშრომელთა მიერ მონაცემთა არაკანონიერად გამოყენების თანმდევ შედეგებს და სხვა;
- უზრუნველყოფილი იქნეს თანამშრომელთა გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე.

საქართველოს პარლამენტს:

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ დაემატოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ჩამონათვალს;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოღებული იქნეს მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც ამუშავებენ დიდი მოცულობით მონაცემებს. ამგვარი ინსტიტუტის არსებობა აამაღლებს მონაცემთა დაცვის სტანდარტს;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლითაც შესაძლებელი გახდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით სასამართლოში საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს:

- შეამოწმოს სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“ მონაცემთა დამუშავების კანონიერება;
- შემოწმებების გეგმაში გაითვალისწინოს ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი;
- აწარმოოს და გამოაქვეყნოს დეტალური სტატისტიკა ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შესწავლილი საქმეების თაობაზე.